ჩვენ ინფორმაციის, საინფორმაციო ეპოქაში ვცხოვრობთ. 21-ე საუკუნეში თითოეული ჩვენგანი გამუდმებით იღებს უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციას. ტექნოლოგიების განვითარება თითოეულ ადამიანს, ერთსა და იმავე დროს, გვაქცევს როგორც მედიამომხმარებლად, ასევე მედიაპროდუქტის ავტორად.

თანამედროვე სამყაროს კი სჭირდება ადამიანი, რომელმაც იცის, როგორ მიმართოს ინფორმაციის ქაოსი წესრიგისკენ, ანუ უნდა შეძლოს: განსაზღვროს საჭირო ინფორმაციის მოცულობა; შეაფასოს საჭირო ინფორმაცია ეფექტურად; შეაფასოს ინფორმაცია და მისი წყაროები კრიტიკულად; გააერთიანოს შერჩეული ინფორმაცია საკუთარი ცოდნის ბაზაში; ეფექტურად გამოიყენოს ინფორმაცია სპეციფიკური მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს ინფორმაციის გამოყენების თანამდევი ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური საკითხები და ეთიკურად და სამართლიანად გამოიყენოს ინფორმაცია.

ინფორმაციის მიმართ შიშები კარგად ჩანს ცნობილი მწერლების ოლდოს ჰაქსლისა და ჯორჯ ორუელის შიშების მაგალითზე (წიგნებიდან ორუელის – „1984“ და ჰაქსლის – „საოცარი ახალი სამყარო“).

„ორუელს ეშინოდა მათი, ვინც წიგნებს აკრძალავდა. ჰაქსლის ეშინოდა, რომ წიგნების აკრძალვა აზრს მოკლებული შეიქნებოდა, რადგან მათ ისედაც არავინ წაიკითხავდა. ორუელს ეშინოდა მათი, ვინც ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას შეგვიზღუდავდა. ჰაქსლის ეშინოდა, რომ ინფორმაციას იმხელა რაოდენობით მოგვაწვდიდნენ, რომ ყველა ნიჰილიზმში და ეგოიზმში ჩაეფლობოდა. ორუელს ეშინოდა, რომ სიმართლეს დაგვიმალავდნენ, ჰაქსლის ეშინოდა, რომ სიმართლე დაიკარგებოდა და დაიხშობოდა უსარგებლო ინფორმაციულ ხმაურში, ორუელს ეშინოდა, რომ კულტურა მორჩილი გახდებოდა, ჰაქსლის კი იმისა, რომ ტრივიალური, უმნიშვნელო აქტივობით გაჯერებული კულტურა ჩამოყალიბდებოდა. ორუელს ეშინოდა, რომ დაგვიმონებდნენ ტკივილის მოყენებით, ჰაქსლი კი ფიქრობდა, რომ ადამიანი სიამოვნების მიყენებით იმართებოდა. მოკლედ, რომ შევაჯამოთ მათი შიშები, ორუელი ფიქრობდა, რომ ჩვენ გაგვანადგურებს ის, რაც გვძულს, ხოლო ჰაქსლის აზრით, გაგვანადგურებს ის, რითაც ვერთობით“.

გულუბრყვილობა იქნება ვთქვათ, რომ ეს შიშები უსაფუძვლოა. მაგრამ შიშებთან გასამკლავებლად მხოლოდ ამ შიშების აღიარება არ იქნება საკმარისი. რა უნდა გააკეთოს ადამიანმა მათთან გასამკლავებლად. უპირველესი პასუხია – იცოდეს სიმართლე ან იყოს სიმართლესთან ახლოს მაინც! მაგრამ თუ ადამიანი მედიაწიგნიერების უნარების მიღმაა, მას ეს ძალიან გაუჭირდება. თანამედროვეობაში ინფორმაციის მენეჯმენტი ისეთივე მნიშვნელოვანი და საბაზისო უნარია, როგორიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე წერისა და კითხვის უნარები იყო.

ბოლო წლებში ინფორმაციის ნაკლებობას კი არა, ზედმეზირებას განვიცდით, – ამბობს მწერალი ერიკ შმიდტი. ჩვენ, ამჟამად, ყოველ ორ დღეში იმდენ ინფორმაციას მოვიპოვებთ, რამდენსაც ცივილიზაციის დასაწყისიდან 2003 წლამდე „ვაწარმოებდით“. ახლა ჩვენი ამოცანა უდაბნოში იშვიათი ყვავილის პოვნა კი აღარ არის, არამედ ჯუნგლებში კონკრეტული მცენარის პოვნა. ჩვენ გვჭირდება დახმარება ნავიგაციაში, რათა ინფორმაციის ზღვაში ის ვიპოვოთ, რაც დანამდვილებით გვაინტერესებს და გვჭირდება. მასწავლებლებმა ეს უპირველესად უნდა ვიცოდეთ.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N6(43), 2016

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 ბ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორები:** მანანა ბოჭორიშვილი, ნანა მაჭავარიანი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, მანანა რატიანი, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე, თამარ მოსიაშვილი, ანა ჯანელიძე, მანანა ბოჭორიშვილი, ირმა კახურაშვილი, დიანა ანფიმიადი, ირმა ტაველიძე, ლუკა ბაქანიძე, მარიკა კაპანაძე, მაია ინასარიძე, მარიამ გოდუაძე, სომონ ჯანაშია.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge



ინტერვიუ

ირმა კახურაშვილი

4 „უკეთესი განათლების გზაზე“

როდესაც ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ განათლებას, რომლის გარეშე პროფესიონალს ვერ მოვამზადებთ. ყველაფრის ბაზისი ზოგადი განათლებაა. თუ სკოლაში მაღალი ხარისხის განათლება არ გვექნება, ვერც პროფესიულ და ვერც უმაღლეს განათლებაში მოვამზადებთ მაღალი კვალიფიკაციისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარების მქონე კადრს.

შეფასება

მარიკა კაპანაძე

18 განმავითარებელი შეფასება საბუნებისმეტყველო საგნებში

განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს როგორც მოსწავლის ცოდნისა და უნარების, ასევე საკუთარი სასწავლო მეთოდების შეფასების საშუალებას აძლევს. შეფასების ეს ფორმა აჩვენებს მას, თუ რამდენად ეფექტურია მისი მიდგომები და რა მიმართულებით უნდა გააგრძელოს მუშაობა მოსწავლეთა წარმატების უზრუნველსაყოფად.

რესურსი

მაია ფირჩხაძე

15 ტიპური დავალებები და უნივერსალური სასწავლო ქმედებები

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსების მნიშვნელობა პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო კონცეფციის შესრულებისთვის. ამ მიზანს ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპიც – შედეგზე ორიენტირება, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით.

მანანა ბოჭორიშვილი

20 ახალი მასალის მაუზრების მარტივი გზები

კარგად დასმული შეკითხვა მთელი გაკვეთილის მანძილზე „აიძულებს“ კლასს, იყოს კონცენტრირებული ამ შეკითხვის მთავარ სულისკვეთებაზე, ცუდად დასმული შეკითხვას კი პირიქით, მოსწავლეს განაწყობს სწრაფადვე უპასუხოს მას.

მაია ჯალიაშვილი

24 საშინაო დავალება: მითი და რეალობა

საგანმანათლებლო სივრცეში საშინაო დავალება სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, გავლილი მასალის განმტკიცებას. აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ რა ტიპისა და რაოდენობის საშინაო დავალება უნდა მიეცეს მოსწავლეს, რომ მისი შესრულება არ იქცეს რუტინულ საქმიანობად; რომ ხელი შეუწყოს ცოდნის გამრავალფეროვნებას, სასწავლო უნარების სრულყოფას.

მამოცდილება

მაია ინასრიძე

51 აღმოჩენის გზით სწავლება – პასუხი თანამედროვე გამოწვევებზე

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი ხომ ის არის, რომ არასოდეს გავაკეთოთ მასწავლებლებმა ის, რის გაკეთებასაც მოსწავლე თავად შეძლებს. შეძლებით კი მათ ბევრი რამ შეუძლიათ. მთავარია, მივცეთ ამის შესაძლებლობა.

შინაარსი

მოსაზრება

ანა ჯანელიძე

31 | **მშობლიურ ენაზე დაფუძნებული ბილინგვური და მულტილინგვური განათლება**

არ არსებობს ბილინგვური და მულტილინგვური განათლების ერთი მოდელი, რომელიც ყველა გარემოებასა თუ სიტუაციას იდეალურად მოერგებოდა. ამიტომ რეკომენდებულია სხვადასხვა მიდგომის გამოყენება მშობლიური და მეორე ენის სწავლებისას.

მარიამ გოდუაძე

54 | **უკუკავშირი წინსვლისთვის**

მოსწავლეებს გარკვეული მოთხოვნები აქვთ მასწავლებლების მიმართ, ამიტომ მნიშვნელოვანია, ასეთ ბავშვებს დავანახოთ სასწავლო მიზნები და ვასწავლოთ მათი მიღწევის გზები. თუ ასე არ მოვიქცევით, ჩავაქრობთ მათ შთაგონებას და შინაგან მოტივაციას.

მლობიერი განათლება

სიმონ ჯანაშია

12 | **სკოლა და თანამედროვეობისთვის საჭირო კომპეტენციები**

საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სკოლის ერთმანეთისგან აცდენა მხოლოდ კომპეტენციების დაბალ განვითარებას არ იწვევს. მოსწავლეებისა და მშობლების ნაწილში ამგვარი დაშორება სკოლის შესახებ დაბალი წარმოდგენების ფორმირებასაც უნდა იწვევდეს. რთული წარმოსადგენია, სკოლა მაღალი რეპუტაციით სარგებლობდეს, თუ ის ახალგაზრდობას სათანადოდ არათუ მომავლისთვის, არამედ თანამედროვეობისთვისაც ვერ ამზადებს.

საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე

დიანა ანფიმიადი

34 | **სია**

მასწავლებელიც ვერაფერზე ფიქრობდა, ვერც ქვეყნის მომავალსა და საშიშროებაზე, ვერც დიდი ქვეყნების დახმარების იმედზე, ვერც უზარმაზარ წითელ არმიაზე, ვერც მოღალატეებზე, უკვე მეორე ბანაკში გადაბარგებას რომ გეგმავდნენ. ფიქრობდა თავის მოსწავლეებზე, მათ სახეებსა და თვალებზე, მათ ზოგჯერ ჭკვიანურ, ზოგჯერ გულუბრყვილო და უმწიფარ აზრებზე, მათ ყოველდღიურ პროტესტზე, მათ კალიგრაფიაზე და გული უკვდებოდა იმის წარმოდგენაზე, თუ როგორ შეიძლებოდა, რომელიმეს ტყვია მოხვედროდა, ნაღმზე აფეთქებულიყო...

ირმა ტაველიძე

40 | **ალმა და ჩალის ქუდი**

მეხუთეკლასელები აფორიაქებულები და შეშინებულები დამდევდნენ, სულ რაღაცებს მეკითხებოდნენ. ჩემი მეხუთე. უცნაურად გულმოდგინეები. ძალიან პატარებს მოუწიათ რთულ კითხვებზე პასუხების ძებნა. ამ ამბავზე მარტო ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. სხვა მასწავლებლებისთვის კითხვების დასმა არც უფიქრიათ. სიმართლე უნდა მეთქვა, ოღონდ ისე, რომ დამნაშავის ძებნა და ასეთი რამეები არ დაეწყოთ. თუ ვინმეს დაადანაშაულებდნენ, იმწამსვე გაწირავდნენ კიდეც, დაუფიქრებლად.

ლუკა ბაქანიძე

45 | **სად ხარ, ლაზარე...**

რეკავს ზარი, მაგრამ რატომღაც გარეთ არავინ გადის, თითქოს ელიანო რაღაცას. არც ზარიძე გადის, ფურცლავს თავისთვის ჟურნალს. ავდექი და ვხედავ, ის ტიპიც წამოდგა, რუსი ხარო, რო მკითხა და მოდის ჩემკენ კევის ღლაჭუნით. გზადაგზა კიდევ ორნი შემოუერთდნენ და მომადგნენ სამივე...

ინტერვიუ

ირმა კახურაშვილი

„უკეთესი განათლების გზაზე“ – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი

მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტს, რომელიც „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ მიერ ათასწლეულის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში 14 მლნ დოლარით დაფინანსდა, წარმატებული სტარტი აქვს. პროფესიულ გადამზადებას ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის, ინგლისურისა და გეოგრაფიის 18 ათასზე მეტი მოქმედი მასწავლებელი ორი მიმართულებით ეტაპობრივად გაივლის. პირველი მიმართულება ზოგადი პროფესიული უნარების სამმოდულიან სასწავლო კურსს, „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს“ მოიცავს, მეორე – ერთმოდულიან საგნობრივი მეთოდიკის კურსს, „საგნის აქტიურ სწავლებას“. გრძელვადიან ტრენინგმოდულებს დირექტორები და სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორებიც გაივლიან ლიდერობის აკადემიის სახით.

პროექტის მნიშვნელობისა და მიმდინარეობის თაობაზე ჟურნალ „მასწავლებლის“ შეკითხვებს მაგდა მაღრაძე, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი პასუხობს.

ქალბატონო მაგდა, 2013 წლიდან, ამერიკის მთავრობის დაფინანსებით, საქართველოს განათლების სისტემაში „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო“ მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს. ფონდი გვეხმარება ადამიანური კაპიტალის განვითარებაში ისეთ სექტორებში, სადაც ამის დეფიციტს განიცდით. რატომ დაისმის მთავარი აქცენტი განათლებაზე?

– ფონდი ახორციელებს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე, 140 მილიონი დოლარის კომპაქტს (გრანტს). კორპორაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ამერიკის პარტნიორ ქვეყნებს დაეხმაროს სიღარიბის დაძლევასა და ეკონომიკის ზრდაში. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მრავალწლიანი სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში კორპორაცია 2005 წლიდან ახორციელებს ჩვენი ეკონომიკის გაძლიერებისთვის საჭირო პროექტებს და ჯამში ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პირველი და მეორე კომპაქტით 600 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციაა განხორციელებული. პირველი კომპაქტი, რომელიც 2005-2011 წლებში ხორციელდებოდა, 395 მილიონი ამერიკული დოლარის გრანტი გახლდათ. მის ფარგლებში აქცენტი დაისვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე. უკვე მაშინ დადგინდა, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი გამოწვევა ადამიანური კაპიტალი იყო. საქართველოში დიდი რესურსის მობილიზება და ინვესტირება ხდება, მაგრამ პროფესიონალი კადრების ნაკლებობა გვაქვს,

დღეს ძალიან ცოტა ქვეყანას აქვს კომპაქტის მიღების შესაძლებლობა. ამისათვის მრავალი კრიტერიუმია დასაკმაყოფილებელი. კომპაქტის მიმღებ ქვეყანაში უნდა მიმდინარეობდეს დემოკრატიული პროცესები, არ უნდა იყოს კორუფცია და ქვეყანას ასევე უნდა ჰქონდეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების მაღალი მაჩვენებელი.

რომ პროექტები და დაწყებული საქმეები წარმატებით განხორციელდეს. ქვეყანაში მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური კაპიტალის (კადრების) და შესაბამისი დარგის სპეციალისტების დეფიციტია, ამდენად, ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტი – 140 მილიონი დოლარი – მთლიანად განათლებაში ჩაიდება. აქცენტი დაისმის საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიურ დარგებში განათლების ხარისხის ამაღლებაზე.

დღეს ძალიან ცოტა ქვეყანას აქვს კომპაქტის მიღების შესაძლებლობა. ამისათვის მრავალი კრიტერიუმია დასაკმაყოფილებელი. კომპაქტის მიმღებ ქვეყანაში უნდა მიმდინარეობდეს დემოკრატიული პროცესები, არ უნდა იყოს კორუფცია და ქვეყანას ასევე უნდა ჰქონდეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების მაღალი მაჩვენებელი. ბევრ მეზობელ ქვეყანას სურს ამგვარი დაფინანსების მიღება, მაგრამ შესაბამის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს. საქართველომ კი ეს უნიკალური შესაძლებლობა მდგრადი და უწყვეტი რეფორმების შედეგად მიიღო.

ჩავატარეთ არაერთი კვლევა, დავაზუსტეთ, სად გვქონდა ყველაზე სუსტი მხარე ადამიანური კაპიტალის ჭრილში. ამის საფუძველზე, საერთაშორისო კონსულტანტებთან ერთად, მომზადდა და დაიგეგმა კომპაქტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორში.

როდესაც ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ განათლებას, რომლის გარეშეც პროფესიონალს ვერ მოვამზადებთ. ყველაფრის ბაზისი ზოგადი განათლებაა, რაზეც დღეს ვსაუბრობთ. თუ სკოლაში მაღალი ხარისხის განათლება არ გვექნება, ვერც პროფესიულ და ვერც უმაღლეს სასწავლებლებში ვერ მოვამზადებთ მაღალი კვალიფიკაციისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარების მქონე კადრს.

საკმაოდ დიდი ყურადღება ინფრასტრუქტურულ აქტივობებს ექცევა. რატომ?

– ინფრასტრუქტურული აქტივობები მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებსა და სოფლებში საჯარო სკოლების რეაბილიტაციასა და ქვეყნის მასშტაბით მოქმედი საჯარო სკოლებისთვის მოვლა-პატრონობის სისტემის შექმნას. ამერიკულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ იმ რაიონებში, სადაც კეთილმოწყობილი სასკოლო გარემოა, მოსწავლეები სკოლაში მეტ დროს ატარებენ, უკეთესად სწავლობენ, მასწავლებლების მოტივაციაც გაზრდილია. ამიტომ გადაწყდა სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით საქართველოს რეგიონებში სკოლების შერჩევა და მათი რეაბილიტაცია. შედეგად, შეირჩა 100-მდე საჯარო სკოლა. მათი რეაბილიტაციის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს. ეს გულისხმობს ყველა ინფრასტრუქტურული კომპონენტის შეცვლას, სველი წერტილების დამატებას, გამწმენდი ნაგებობების დადგმას, კანალიზაციის პრობლემის გადაწყვეტას და სხვ.

თუ სკოლაში მაღალი ხარისხის განათლება არ გვექნება, ვერც პროფესიულ და ვერც უმაღლეს სასწავლებლებში ვერ მოვამზადებთ მაღალი კვალიფიკაციისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარების მქონე კადრს.

საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით 12 სკოლის სრული რეაბილიტაცია უკვე დასრულდა. თანადაფინანსების ფარგლებში საჭირო თანხის 15%-ს მთავრობა გაიღებს. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსთვის 30-მდე რეაბილიტირებული სკოლა გვექნება. ეს პროცესი 2019 წლის ბოლომდე გაგრძელდება. პირველი სარეაბილიტაციო სეზონი მოიცავს საჯარო სკოლების რეაბილიტაციას მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში, მეორე სარეაბილიტაციო სეზონი – კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებს, ხოლო მესამე სარეაბილიტაციო სეზონი – იმერეთის, გურიის, სამეგრელოს რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

აღსანიშნავია, რომ სკოლების რეაბილიტაციის პროცესში ხდება დასაქმების სტიმულირება. პირველი 12 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაახლოებით 500 ადამიანი დასაქმდა. ესენი არიან საქართველოს მოქალაქეები, ადგილობრივი მოსახლეობა. უცხოელ, გამოცდილ პროფესიონალებთან მუშაობის შედეგად, მათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარები და გამოცდილება შეიძინეს, რასაც სამომავლო მუშაობის ხარისხსა და დასაქმების პერსპექტივაზე პოზიტიური გავლენა ექნება.

აღსანიშნავია, რომ, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ყველა სკოლა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ასევე, სკოლები აღიჭურვება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით.

რაიმე გაუთვალისწინებელ პრობლემებს აწყდებით?

– სკოლების რეაბილიტაცია მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა სკოლას უტარდება გეოტექნიკური კვლევა. ვიკვლევთ შენობა-ნაგებობის მდგომარეობას – სჭირდება თუ არა გამაგრებითი სამუშაოები, ვსწავლობთ ნიადაგს და სხვ. ეს პირველი ეტაპია. ზოგჯერ სკოლა ჩვენს სარეაბილიტაციო სიაშია, მაგრამ გვიწევს სიიდან ამოღება, რადგან ისეთ პრობლემებს ვაწყდებით, რომლებიც რეაბილიტაციის საშუალებას არ გვაძლევს.

საქართველოში 2085 სკოლაა და კარგად გვესმის, რომ ბევრს სჭირდება რეაბილიტაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, დონორის მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ყველა სკოლა ჩვენს სიაში ვერ მოხვდება.

ჩვენ ასევე ვიკვლევთ, რამდენად განსხვავებულ შედეგს მივიღებთ სწავლა-სწავლებისა და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების კუთხით, რეაბილიტირებულ სკოლებში. გვაქვს საკვლევი სკოლების ჩამონათვალი, რომელსაც შემდგომ რეაბილიტირებულ სკოლებს შევადარებთ. თუ მნიშვნელოვანი განსხვავება მივიღეთ სწავლა-სწავლების შედეგების მიხედვით, ეს იქნება კარგი დასაბუთება იმისა, რომ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტირება უნდა გაიზარდოს.

არსებობს მოსაზრება, რომ მთავარია მასწავლებელი და არა ინფრასტრუქტურა, მაგრამ საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელთან ერთად უსაფრთხო, მოწესრიგებულ სასკოლო ინფრასტრუქტურას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ქალბატონო მაგდა, ახსენეთ, რომ საქართველოში სკოლების მოვლა-პატრონობის ტრადიცია არასოდეს გვქონია...

– ჩვენ, ფაქტობრივად, არ გაგვაჩნია შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობის გამართული სისტემა. ქვეყანაში ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, თუმცა გვიჭირს დასრულებული პროექტების გრძელვადიან პერსპექტივაში მოვლა, შენარჩუნება. ამჟამად საქართველოს მთავრობისთვის ვამზადებთ პროექტს „საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის პროგრამა“, რომელიც ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას, ინფრასტრუქტურულ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები უფრო ხარჯეფექტიანი გახადოს.

გამოკითხვამ გვაჩვენა, რომ საკმაოდ ბევრი სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაო საჭირო არ გახდებოდა, სკოლების სწორი მოვლა-პატრონობის ტრადიცია და გამართული სისტემა რომ გვქონოდა. აუცილებელია, სკოლამ ან შესაბამისმა უწყებამ იცოდეს, თუ როგორ უნდა მოუაროს საქვაბეს, როგორ მოაგვაროს შენობის გადახურვის პრობლემა და სხვ. ცხადია, არის სკოლები, სადაც

ამ მხრივ უკეთესი ვითარებაა, მაგრამ ეს მეტწილად ცალკეული პირების დამსახურება უფროა, ვიდრე სისტემური გამოცდილებისა და ცოდნის.

მოვლა-პატრონობის სისტემის პოლიტიკის დოკუმენტი დაწერილია. ახლა ნორმატივებსა და დეტალებზე ვმუშაობთ. მომავალ წელს საპილოტე რეჟიმში გამოვცდით სისტემას, შემდეგ წელს კი საქართველოს მხარეს დასანერგად გადავცემთ.

მომდევნო კომპონენტი სკოლის მასწავლებლებისა და დირექტორების პროფესიულ განვითარებას ეხება. როგორ შეაფასებდით მას?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც განაპირობებს ფონდის სხვა პროექტების წარმატებასაც. მასწავლებლებისა და დირექტორების პროფესიული განვითარების მიმართულების ფარგლებში აქცენტს საბუნებისმეტყველო საგნებსა და ინგლისურ ენაზე ვსვამთ. ყველა მასალა, რასაც ამ პროექტში დავაგროვებთ, საქართველოს მხარეს გადაეცემა იმისათვის, რომ პროექტის დასრულების შემდეგ მსგავსი პროფესიული განვითარების კურსები კვლავ ხელმისაწვდომი დარჩეს.

ამ კომპონენტის მომზადებას, პროექტის დიზაინს დიდი დრო დავუთმეთ. ბევრი კვლევა იყო ჩასატარებელი, რათა გვენახა, რა იმუშავებდა საქართველოში, როგორი საწყისი პირობები გვქონდა.

მთავარი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაა. აუცილებელია, რომ სკოლაში ბავშვმა შეიძინოს ის უნარები, რომლებიც განვითარებაში დაეხმარება, რაც სამწუხაროდ, დღესდღეობით არცთუ ისე ხშირია.

რაც შეეხება პროფესიულ განვითარებას, ასეთი ხანგრძლივი ტრენინგები და სასწავლო კურსები მასწავლებლებს ჯერ არ გაუვლიათ. ჩვენ მიერ შეთავაზებული მოდელი უნიკალურია. ჩვენ ვასწავლით თანამედროვე და ძალიან საინტერესო ტექნიკებს, თუ როგორ უნდა ასწავლონ და როგორ შეუძლიათ განვითარდნენ როგორც პედაგოგები. ჩვენ მიერ შეთავაზებული ტრენინგების პროგრამა დაეხმარება მასწავლებლებს, აიმაღლონ მოტივაცია და ისარგებლონ სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიით.

პროფესიული განვითარების გრძელვადიანი კურსი, ტრენინგების გარდა, მოიცავს კონფერენციებსა და ტრენინგის შემდგომ სამუშაო შეხვედრებს, სადაც მასწავლებლებს ექნებათ შესაძლებლობა, ერთმანეთს გაუზიარონ ტრენინგზე მიღებული გამოცდილება, ერთობლივად დაგეგმონ საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობები. აქამდე მასწავლებლებს არ ჰქონიათ პლატფორმა, სადაც თავს ერთი დიდი გუნდის ნაწილად იგრძნობდნენ.

ჩვენი უცხოელი კონსულტანტების დახმარებით, ტრენინგები ძალიან ინტერაქტიულია. მათში ყველა მონაწილეობს. ისინი ერთნაირად საინტერესოა განვითარების ნებისმიერ დონეზე მყოფი მასწავლებლისთვის.

მასწავლებლების პროფესიული განვითარების ტრენინგების გარდა, ფონდი ახორციელებს ლიდერობის აკადემიის კურსებს სკოლის დირექტორებისათვის. ყველა საჯარო სკოლის დირექტორს აქვს შესაძლებლობა, გაიაროს ინტენსიური გადამზადების კურსი, რომელიც სკოლის ეფექტიან მართვაში დაეხმარება. ტრენინგები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის: 21-ე საუკუნის სკოლა და მისი მახასიათებლები, სკოლის ეფექტიანი მართვა, დროის, ფინანსების, შესყიდვებისა და ადამიანური რესურსების მართვა, სასწავლო პროცესის მართვა, სასწავლო თემების განვითარება, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება სკოლაში, ლიდერობა, გუნდის დინამიკა, სამართლებრივი საკითხები, მშობლებთან ურთიერთობა და სხვა. ლიდერობის აკადემია სამეტაპიანია და მთლიანობაში მოიცავს 160 საკონტაქტო საათს. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში გაიმართება კვარტალური შეხვედრები და ყოველწლიური კონფერენციები დირექტორებისათვის.

დაბოლოს, რას იტყვით შეფასების ნაწილზე, რომელიც არა მარტო საკლასო შეფასებების, არამედ ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების ხელშეწყობას გულისხმობს, რაც, ალბათ, ზოგადი განათლების პოლიტიკის კურსისთვისაა მნიშვნელოვანი?

– ეს არის კომპაქტის 6 მილიონი დოლარის ოდენობის კომპონენტი. არსებობს საერთაშორისო შეფასებები PISA, TALIS, TIMSS, რომლებიც გვაჩვენებს, რამ-

დენად წარმატებულია ქვეყნის განათლების პოლიტიკა, რამდენად სწორ ნაბიჯებს ვდგამთ, გვაქვს თუ არა ცვლილებები წინა შეფასებებთან შედარებით, რა შეიძლება გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან და რა ნაბიჯები გადავდგათ წარმატებისთვის.

შეფასებების ერთი რაუნდი 2008-2009 წლებში ჩატარდა, მაგრამ მომდევნო რაუნდში საქართველოს მონაწილეობა აღარ მიუღია, რამაც შედარების საშუალება არ მოგვცა. ამიტომ გადავწყვიტეთ, დაგვეფინანსებინა ამ შეფასებებში საქართველოს მონაწილეობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილობრივი, ეროვნული შეფასებებიც. ჩვენ საბუნებისმეტყველო და მათემატიკის (*STEM*) საგნებზე ვსვამთ აქცენტს მეშვიდე და მომდევნო კლასებში (ამ საგნებში ეროვნული შეფასებებიც ჩვენ მიერ ფინანსდება).

ზოგადი განათლების პროექტი ასევე მოიცავს საკლასო შეფასებას. ეს არის მასწავლებლების მიერ გამოყენებული მეთოდი სწავლების პროცესში, რომელიც მოსწავლის განვითარებაზეა ორიენტირებული. საკლასო შეფასების მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი გაიგებს, რამდენად კარგად ესმის მოსწავლეს ესა თუ ის თემა და რა დამატებითი აქტივობებია აუცილებელი ცოდნის გასაღრმავებლად. ჩვენი მასწავლებლების ნაწილს ასეთი ცოდნა სისტემურად არ მიუღია. მოსწავლეს ნიშანს უწერენ, მაგრამ ის ვერ ხვდება, რაზე უნდა დასვას მეტი აქცენტი. კარგი მასწავლებელი ყოველთვის მიუთითებს ამაზე, მაგრამ ეს გამონაკლის შემთხვევებში ხდება.

საკლასო შეფასების დანერგვა მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს, რეგულარულად შეაფასოს თითოეული მოსწავლის პროგრესი. ტრენინგების ფარგლებში პედაგოგებს ვასწავლით, როგორ გააკეთონ საკლასო შეფასება.

მთლიანობაში, განათლების კომპაქტი ლოგიკურად არის აწყობილი და მოიცავს ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას. ვიმედოვნებ, რომ მომდევნო წლებში სამივე მიმართულებით კარგ შედეგებს მივიღებთ.

მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის მიმდინარეობის დეტალებს კი ჟურნალ „მასწავლებელს“ პროექტის მენეჯერი ირინა აბულაძე უზიარებს:

ქალბატონო ირინა, ოდნავ შორიდან დავიწყოთ: რატომ დადგა დღის წესრიგში ამ პროექტის აქტუალიზაციის საჭიროება?

– პროექტის საჭიროება გამოიკვეთა არა მხოლოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე. შეგახსენებთ, რომ ეს პროექტი იმ დიდი პროგრამის ნაწილია, რომელიც საქართველოს მთავრობამ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდ – საქართველოსთან“ ერთად განათლების სისტემაში 2019 წლამდე უნდა განახორციელოს. გლობალურ პროექტზე მუშაობა რადენიმე წელი მიმდინარეობდა, ჩატარდა არაერთი კვლევა, შეფასდა ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები.

2013 წლის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელი მოეწერა მეორე კომპაქტის ხელშეკრულებას, რომლის მიზანია საქართველოში სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა როგორც ტექნიკური, პროფესიული და უმაღლესი, ისე ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების გზით.

კვლევებმა დაადასტურა, რომ ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების დეფიციტია, განსაკუთრებით – საინჟინრო და საბუნებისმეტყველო დარგებში. ამდენად, ჩვენი სამიზნე ჯგუფი ამ მიმართულების, კონკრეტულად, მე-7-მე-12 კლასების მასწავლებლები არიან, ასევე – დირექტორები და სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორები, რომლებსაც ცენტრი პროფესიული განვითარების კურსებს სატრენინგო მოდულებითა და სხვადასხვა რესურსით სთავაზობს.

მასწავლებელმა მოსწავლეთა ინდივიდუალობა უნდა გაითვალისწინოს, უნდა მისცეს თანაბარი შესაძლებლობები, რომ ყველა ჩაერთოს კლასში მიმდინარე პროცესში. აუცილებელია მოსწავლეთა წინარე ცოდნის, გამოცდილებისა და შეხედულებების გათვალისწინება...

პროექტის სამიზნე ჯგუფები გრძელვადიანი პროფესიული განვითარების კურსს გადიან. როგორია პირველი შედეგი?

– შედეგებზე საუბარი ნაადრევია. აგვისტოში ეს პროცესი დირექტორების მომზადებით, ე. წ. ლიდერობის აკადემიით დავიწყეთ. აკადემიის მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო სკოლების დირექტორებს სკოლის ეფექტიანად მართვაში.

თითოეული აკადემია რამდენიმე მოდულს მოიცავს (სულ 160 საკონტაქტო საათს). გარდა ამისა, გაიმართება ყოველკვარტალური შეხვედრები და კონფერენციები, სადაც დირექტორები მიღებულ ცოდნასა და პროფესიულ გამოცდილებას კოლეგებს გაუზიარებენ.

პირველი ლიდერობის აკადემია საკმაოდ ბევრმა დირექტორმა დაასრულა. აკადემია სამი მოდულისგან შედგებოდა: ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვა, ეფექტიანი დირექტორი თეორიიდან პრაქტიკისკენ და 21-ე საუკუნის მახასიათებლები. დირექტორები სწავლობდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს არა მხოლოდ მენეჯმენტთან დაკავშირებულ ნიუანსებს, არამედ ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის სკოლა, როგორ უნდა უმაღლებდნენ მოტივაციას მასწავლებლებს, როგორ უნდა ქმნიდნენ მოსწავლეზე ორიენტირებულ, დემოკრატიულ და ღია გარემოს, სადაც ერთმანეთთან თანამშრომლობენ და სხვ.

ყველა მოდულში დიდი ყურადღება მოტივაციას ეთმობა. ბევრი ამ საკითხს სკეპტიკურად უყურებს. მათი აზრით, თუ ხელფასი არ არის იმდენი, რამდენიც უნდათ, ან რესურსები არ აქვთ იმდენი, რამდენიც სჭირდებათ, მოტივაცია როგორ უნდა ამაღლდეს? მაგრამ მასწავლებლის მოტივაციის ამაღლებისა და სკოლის გარადაქმნისთვის მხოლოდ ხელფასის გაზრდა საკმარისი არ არის. სკოლა უნდა იყოს გარემო, სადაც მოსწავლეს მისვლა უხარია!

მასწავლებლის პროფესიული განვითარების კურსი როგორია?

– მასწავლებლის პროფესიული განვითარების კურსი შედგება პროფესიული უნარების სამი მოდულისაგან, ასევე – საგნობრივი მეთოდიკის მოდულისაგან. საგნობრივი მეთოდიკის კურსს მასწავლებლები 2017 წლის ზაფხულში გაივლიან. 2017-2018 სასწავლო წელს ამავე კურსს მასწავლებელთა მეორე ნაკადი გაივლის.

მასწავლებელთა პირველი ნაკადისთვის ზოგადი პროფესიული უნარების კურსი წელს, ოქტომბერში დაიწყო. დასრულდება 2017 წლის მაისში. წელს 9 ათას მასწავლებელთან ვიმუშავებთ.

პირველი მოდული, რომელსაც ვატარებთ, „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლებია“. ტრენინგი არ არის ლექციური ტიპის, ორიენტირებულია ჩართულობაზე, აბსოლუტურად ინტერაქტიულია. არ შეიძლება მასწავლებელს ასწავლო, იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული კლასში, თუ თავად არ იქნები მასზე ორიენტირებული სატრენინგო გარემოში.

ჩვენ უნდა დავივიწყოთ ძველი მიდგომები. დღევანდელ სამყაროში იმდენი ინფორმაცია აქვს მოსწავლეს, რომ ლექციური გაკვეთილი მისთვის უინტერესოა. მასწავლებელმა დროულად, საჭირო დოზით და ეფექტიანი მეთოდებით უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია. როდესაც მოსწავლე პროცესის თანამონაწილეა და თავად ქმნის, ის უფრო მეტ ინფორმაციას ითვისებს, ვიდრე მაშინ, როცა პასიურია.

ჩვენ მასწავლებლებს ვუვითარებთ უნარებს, თუ როგორ მოახდინონ თითოეულ მოსწავლეზე ფოკუსირება კლასში. არსებობს უამრავი სტრატეგია. მაგალითად, როგორ მოახდინო ისეთი მოსწავლის იდენტიფიკაცია, რომელიც კლასში პასიურია. ასევეა სატრენინგო გარემოშიც. მასწავლებლებს შორის ვიღაც ძალიან აქტიურია, ვიღაც კი მხოლოდ ისმენს. აქ – ტრენერის, საკლასო ოთახში კი მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს გარემოს მართვას.

ტრენინგზე, რომელიც 4 ათასმა მასწავლებელმა უკვე გაიარა (ის ყოველ შაბათ-კვირას ტარდება), მასწავლებლები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ვერც კი შეამჩნიეს, ისე ჩქარა გაირბინა ორმა დღემ. სწორედ ეს არის ინტერაქტიული და დინამიკური საგაკვეთილო პროცესის ხიბლი. მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს იმის დრო, რომ მოიწყინოს, ვერ მიჰყვეს პროცესს. მთავარია, მასწავლებელმა გაკვეთილი ისე დაგეგმოს, რომ მთელი საგაკვეთილო საათი შეკრული იყოს.

ჩვენ უნდა დავივიწყოთ ძველი მიდგომები. დღევანდელ სამყაროში იმდენი ინფორმაცია აქვს მოსწავლეს, რომ ლექციური გაკვეთილი მისთვის უინტერესოა. მასწავლებელმა დროულად, საჭირო დოზით და ეფექტიანი მეთოდებით უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია. როდესაც მოსწავლე პროცესის თანამონაწილეა და თავად ქმნის, ის უფრო მეტ ინფორმაციას ითვისებს, ვიდრე მაშინ, როცა პასიურია.

როგორია მოდულის „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები“ სასწავლო შედეგები?

– მასწავლებელმა მოსწავლეთა ინდივიდუალობა უნდა გაითვალისწინოს, უნდა მისცეს თანაბარი შესაძლებლობები, რომ ყველა ჩაერთოს კლასში მიმდინარე პროცესში. აუცილებელია მოსწავლეთა წინარე ცოდნის, გამოცდილებებისა და შეხედულებების გათვალისწინება... ფაქტობრივად, რაც ტრენინგზე ხდება, ეს არის ნიმუში იმისა, თუ რა უნდა მოხდეს საგაკვეთილო გარემოში. ჩვენს ტრენინგებზე მასწავლებელი არის მოსწავლის როლში. ის თავის თავზე გამოცდის, თუ რამდენად ეფექტიანია ჩართულობა, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, განხილვებში მონაწილეობა, მსჯელობა და კოლეგისგან განსხვავებული აზრის ქონა.

ამ სიახლეების აღქმა ხომ არ ურთულდებათ შედარებით ასაკოვან მასწავლებლებს, რომლებსაც მყარი პედაგოგიური პრინციპი აქვთ?

– არა. გვყავს საშუალოზე უფროსი ასაკის მასწავლებლები, რომლებიც პრაქტიკულად ისრუტავენ ახალ ინფორმაციას. ჩვენ დავრწმუნდით, რომ თუ ადამიანებს საინტერესო პროდუქტს ვთავაზობთ, ისინი სიამოვნებით მოდიან და ასაკს მნიშვნელობა არ აქვს.

რასაკვირველია, ვერც ერთ სატრენინგო და პროფესიული განვითარების სისტემაში ვერ მიიღებთ ისეთ შედეგს, რომელიც თანაბრად მაღალი იქნება ყველა მასწავლებლისთვის, თუმცა ამ პროექტის იდეა ის არის, რომ შეიცვალოს სკოლის გარემო, ატმოსფერო. სკოლაში უნდა იყოს კარგი დირექტორი, რომელიც მასწავლებლისა და მოსწავლეებისთვის მოტივაციის მიმცემი იქნება. ყველაფერი მხოლოდ მასწავლებელზე არ არის დამოკიდებული. მას სჭირდება ძალიან კარგი ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელთა ჯგუფი. ამ ტრენინგებმაც აჩვენა, რომ იქ, სადაც დირექტორები თანამშრომლობენ, სახელმწიფოებრივად აზროვნებენ, ხედავენ პოტენციალს და აქვთ სურვილი, რომ მათი სკოლა განვითარდეს, ყველა ჩვენი პროექტი ბევრად უფრო ეფექტიანად მიმდინარეობს.

ამ პროექტის ფარგლებში, დირექტორთა და მასწავლებელთა ერთობლივი ტრენინგებიც ჩატარდება?

– ჩვენი პროექტის ფარგლებში თითოეული სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ერთი ფასილიტატორი იქნება. ფასილიტატორის როლს ამავე სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი შეითავსებს. ის ჩვენს ტრენინგებს დირექტორთან ერთად დაესწრება. ეს იქნება „ლიდერობის აკადემია 2“, რომელსაც დეკემბრიდან დავიწყებთ.

ფასილიტატორები დირექტორებს მასწავლებელთა კორპუსთან კომუნიკაციაში დაეხმარებიან. შეუძლებელია, მხოლოდ დირექტორი იყოს ჩართული სკოლის მართვაში. მასში ბევრი ჯგუფი უნდა მონაწილეობდეს: მოსწავლეები, სამეურვეო საბჭო, კათედრები, დირექტორის მოადგილე და სხვ.

ფასილიტატორი დირექტორს სასწავლო პროცესის მართვაში დაეხმარება. საზოგადოდ, დირექტორის პროფესიული კომპეტენციები უნდა გაიზარდოს სასწავლო პროცესის მართვის ნაწილში. ხშირ შემთხვევაში დირექტორები კარგი მენეჯერები არიან და მოისუსტებენ სწავლების მიმართულებით. კომბინაცია, სადაც დირექტორს სწავლების გამოცდილებაც აქვს და თან მენეჯერია, ნაკლებად გვხვდება. გვინდა, ამ მხრივ დავეხმაროთ ადამიანებს და მივცეთ გამზადებული რესურსი, მაგალითად, მოდული მონიტორინგსა და შეფასებაზე, მოდული სასკოლო თემთან ურთიერთობასა და მართვაზე, მოდული მშობლებთან ურთიერთობის კომპონენტზე და სხვ.

ჩვენს ქვეყანაში სკოლის დონეზე განსხვავებული კონტექსტებია. სკოლების 65% მცირეკონტინგენტიანია. ამიტომ ლეგიტიმურია კითხვა: როგორ ვაპირებთ, ერთი ტრენინგ-მოდული მოვარგოთ ყველა სკოლის საჭიროებებს? მაგრამ სწორედ ამითაა ჩვენი ტრენინგ-მოდულები საინტერესო. ჩვენ ვცდილობთ, შევასწავლოთ ზოგადი პრინციპები, რომლებიც კონკრეტულ თემას „ქეისებად" და კონტექსტებად დაყოფს. მერწმუნეთ, ამ ტრენინგებს სოფლის სკოლის დირექტორიც ისეთივე ინტერესით მოისმენს, როგორც თბილისის 51-ე სკოლის დირექტორი მოისმენდა. მარტივია – თუ სკოლის განვითარების მიზანი, რომელსაც მთავაზობ, მიუღწეველია უახლოესი 5-6 წლის განმავლობაში, დემოტივირებული ვხდები. შესაბამისად, უნდა ვეცადოთ, ვასწავლოთ ადამიანებს, რომ დაისახონ მიზნები, რომლებიც მათი კონტექსტისთვის არის რელევანტური და რეალისტური.

იგივეა მასწავლებლებთან მიმართებითაც. გვაქვს ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, რომელ საფეხურზე რას უნდა მიაღწიოს მასწავლებელმა, მაგრამ მასწავლებლები „იკარგებიან" ამაში, ურთულდებათ კონკრეტული მიზნების დასახვა რაღაცის ფარგლებში – ჩვენ სწორედ ამას ვასწავლით.

მაგალითად, შემდეგი მოდული განმავითარებელ შეფასებაზეა. დღესდღეობით შეფასება სკოლებში აქილევსის ქუსლია. ჩვენ ვამბობთ, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს მხოლოდ ქულა კი არ უნდა დაუწეროს, არამედ უნდა იზრუნოს პროგრესზე. ეს პროგრესი არ გამოისახება მაინცდამაინც ქულით, ნიშნით. პრაქტიკოსი მასწავლებელი კი სვამს კითხვას: როგორ მოვახდინო ცალკეულ მოსწავლეზე ფოკუსირება, როდესაც კლასში 30 მოსწავლეა?

აქვე აღვნიშნავ, რომ ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა არ განსხვავდება სხვა ქვეყნებისგან – არც ერთი ქვეყნის საჯარო სკოლის კლასში 12 ბავშვი არ ზის. მეტიც, საქართველო, მასწავლებლისა და მოსწავლის პროპორციის მიხედვით, ერთ-ერთი გამორჩეულია – ჩვენთან 8 მასწავლებელი მოდის 1 მოსწავლეზე.

ახლა ისმის კითხვა: როგორ გავხადო საკლასო გარემო მოსწავლეზე ორიენტირებული? პირველი: მასწავლებელმა გაკვეთილი ისე უნდა დაგეგმოს, რომ მაქსიმალური იყოს ჩართულობა. კლასი ჯგუფებად უნდა დაყოს, შეიტანოს შესაბამისი აქტივობები, იყოს მუდმივად ინტერაქტიული. მეორე: უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი რესურსი, არ იყოს მხოლოდ სახელმძღვანელოს ამარა. ამაზე ჩვენ ვზრუნავთ. ყველა მოდულზე გვაქვს უამრავი დამატებითი მასალა, რომლის გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ.

შეფასების მოდული ორიენტირებულია იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვუმუშაოთ მასწავლებელს უნარი, მარტივად მოახდინოს მოსწავლის დიაგნოსტირება და მიხვდეს, აქვს თუ არა პროგრესი მოსწავლეს. აქცენტს ვსვამთ იმაზე, თუ როგორ აკვირდება მასწავლებელი ამ პროცესს კლასში, როგორ აკეთებს ჩანაწერებს და სხვ.

მოკლედ, ვცდილობთ, მასწავლებელს მივცეთ პრაქტიკული რჩევები, რესურსები. არ ვაპირებთ, ვინმეს საქმე გავურთულოთ. პირიქით, მეორე მოდული, რომელიც შეფასებას ეხება, ძალიან საინტერესოა და მასწავლებლებს მოეწონებათ. ცალკე მოვამზადებთ სახელმძღვანელოს განმავითარებელ შეფასებაზე, სადაც მასწავლებელი ნახავს, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენება შეუძლია კლასში.

ტრენინგები მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება?

– დიახ, რესურსცენტრების სამოქმედო ტერიტორიაზე შერჩეულ პარტნიორ სკოლებში. ტრენინგების მონაწილეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით.

სიმონ ჯანაშია

სკოლა და თანამედროვეობისთვის საჭირო კომპეტენციები

რამდენიმე თვის წინ პედაგოგებისთვის კონფერენციის მოწყობაზე ვმუშაობდი. დარეგისტრირებულებს ელექტრონული ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) საკუთარი დასწრების დადასტურება ვთხოვე. ზოგიერთი მონაწილე ამ ინფორმაციას SMS-ით თავისი სახელის და გვარის მითითების გარეშე მიგზავნიდა.

მსგავსი შეცდომები უნივერსიტეტის სტუდენტებსაც ხშირად მოსდით. ზოგიერთი მათგანი უცნობი ელექტრონული ფოსტის მისამართიდან კითხვას საკუთარი სახელისა და გვარის მითითების გარეშე აგზავნის. არ ითვალისწინებენ, რომ პასუხის გაცემა ადვილი არ არის, როდესაც ადამიანი კითხვას „რა მივიღე?“ გზავნის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან vampira99@gmail.com, საკუთარი ვინაობის მითითების გარეშე.

განათლების რა სახის ნაკლთან გვაქვს ასეთ შემთხვევებში საქმე? ალბათ კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენების ან, საზოგადოდ, ურთიერთობის თანამედროვე ფორმების არასათანადოდ განვითარებულ ჩვევებთან. თუმცა, თუ განვაზოგადებთ, პედაგოგიურ პროცესსა და თანემედროვეობის მოთხოვნებს შევაპირისპირებთ, მივხვდებით, რომ ისინი ხშირად აცდენილია ერთმანეთს. შედეგად ვიღებთ ვითარებას, როდესაც ატესტატის აღების შემდეგ ჩვენს მოქალაქეებს მრავალი ისეთი საბაზისო კომპეტენციის შეძენა ესაჭიროებათ, რომლებიც, წესით, ადრეული ასაკიდანვე უნდა განევითარებინათ.

სკოლადამთავრებულებში თანამედროვეობისთვის საჭირო კომპეტენციების ნაკლებობას ხელს უწყობს ის, რომ ტექნოლოგიების გამოყენებას ჩვენი სკოლების უმეტესობაში ცუდად ასწავლიან. სკოლის გარეთ ინფორმაციის გაცვლისთვის თანამედროვე ადამიანი პრაქტიკულად ყოველდღე იყენებს მობილურ ტექნოლოგიებს. ეფექტიანი კომუნიკაციის უნარებს კი მათ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ნაკლებად უვითარებენ. სკოლების ნაწილში მობილური ტელეფონების გაკვეთილებზე გამოყენება ისევე იკრძალება, როგორც, მაგალითად, საღეჭი რეზინის ან საბავშვო სათამაშოსი. კარგ მასწავლებელს კი სინამდვილეში მობილური ტექნოლოგიები არამხოლოდ გაკვეთილების უკეთესად ჩატარებაში

საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სკოლის ერთმანეთისგან აცდენა მხოლოდ კომპეტენციების დაბალ განვითარებას არ იწვევს. მოსწავლეებისა და მშობლების ნაწილში ამგვარი დაშორება სკოლის შესახებ დაბალი წარმოდგენების ფორმირებასაც უნდა იწვევდეს. რთული წარმოსადგენია, სკოლა მაღალი რეპუტაციით სარგებლობდეს, თუ ის ახალგაზრდობას სათანადოდ არათუ მომავლისთვის, არამედ თანამედროვეობისთვისაც ვერ ამზადებს.

ეხმარება. მობილურების გაკვეთილებზე ეთიკურად მოხმარება იმის სწავლებისთვისაც სასარგებლოა, თუ როგორ უნდა იყენებდეს მას ადამიანი სკოლის გარეთ არსებულ საზოგადოებაში.

ადამიანების დიდი ნაწილი, მათ შორის საქართველოშიც, დღეს აქტიურად იყენებს ინტერნეტში არსებულ ვირტუალურ სოციალურ ქსელებს, თუმცა კომუნიკაციის ამ საშუალებების გამოყენება საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად იშვიათად ხდება. სოციალური ქსელების სასწავლო პროცესში გამოუყენებლობით მასწავლებლები უმდიდრეს შესაძლებლობებს კარგავენ. სხვა სკოლების, დასახლებების ან საერთოდ, უცხო ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებთან ურთიერთობა მოსწავლეებს მრავალ შესაძლებლობას მისცემდა ენობრივი კომპეტენციებისა და თანამშრომლობის უნარების განსავითარებლად. ვირტუალური სოციალური ქსელები საუკეთესო საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, აღმოაჩინონ ახალი ინტერესები, ისწავლონ დისკუსიების წარმართვა და განივითარონ განსხვავებული მსოფლმხედველობის ან კულტურების მატარებელ ადამიანებთან ურთიერთობის უნარები.

სოციალურ ქსელებში გაჩენილი ურთიერთობები მნიშვნელოვანია ე.წ. სოციალური კაპიტალის დასაგროვებლადაც. თანამედროვე სამყაროში, არამხოლოდ საქართველოში, ნაცნობებისა და მეგობრების ქსელი მნიშვნელოვნად ეხმარება პიროვნებას, გაიუმჯობესოს ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრის შანსები. სოციალური კაპიტალი ეხმარება ღარიბებს, თავი დააღწიონ შეზღუდულ შესაძლებლობებს, რომელშიც ისინი იზრდებიან. არასასურველი გარემოს გარღვევა აკადემიური წარმატების გარდა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ წარმატების რა მაგალითებს იცნობენ, ვის შეუძლია, მათ რჩევები მისცეს ან რამდენად შეუძლიათ იპოვონ თანამოაზრეები ან მხარდამჭერები ახალი გადაწყვეტილების მიღებისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სკოლები, სოციალური უნარების განსავითარებლად, არამხოლოდ ტექნოლოგიებს იყენებენ სუსტად. სასწავლო პროცესი იშვიათად არის ისე დაგეგმილი, რომ მოსწავლეებს ერთმანეთთან ან ზრდასრულებთან გააზრებულად ურთიერთობა ასწავლოს. სკოლაში უფრო მეტად მოსწავლეების ინდივიდუალურ



ვირტუალური სოციალური ქსელები საუკეთესო საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, აღმოაჩინონ ახალი ინტერესები, ისწავლონ დისკუსიების წარმართვა და განივითარონ განსხვავებული მსოფლმხედველობის ან კულტურების მატარებელ ადამიანებთან ურთიერთობის უნარები.

ძალისხმევას აფასებენ და ნაკლებად – კოლექტიურს. უმეტეს შემთხვევაში მოსწავლე წარმატებულად მაშინ ითვლება, თუ ის დამოუკიდებლად წყვეტს საგანმანათლებლო პრობლემებს, დამოუკიდებლად კითხულობს, დამოუკიდებლად წერს, დამოუკიდებლად პოულობს სავარჯიშოების ამონახსნებს და სხვ. სკოლის გარეთ არსებული ცხოვრება კი სრულიად სხვა მოთხოვნებს აყენებს.

ჯგუფში მუშაობის უნარები დღევანდელ სამყაროში უმეტესად საქმიანობასა თუ პროფესიულ წარმატებას წარმართავს. ექიმები, ინჟინრები, მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანები, მეცნიერები, საჯარო სამსახურსა თუ ბიზნესში დასაქმებულები და თავად სკოლაში მომუშავე პედაგოგებიც ყოველდღიურად არიან სამუშაო თუ სოციალური ჯგუფის წევრები. მათ მუდამ უწევთ როლების დანაწილება, საერთო შეთანხმებების მისაღწევად მოლაპარაკებებსა და კომპრომისებზე წასვლა, ახალი იდეების გენერირება და განხორციელება.

მართალია, ჩვენს სკოლებში ჯგუფური მუშაობის მიდგომები სულ უფრო ხშირად გამოიყენება, მაგრამ გუნდური მუშაობის პრინციპი განათლების საფუძვლად ჯერ კიდევ ნაკლებად აღიქმება. მაგალითად, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობა იშვიათად არის სოციალური ჯგუფის წარმატებული მუშაობის მაგალითი. მასწავლებლები და მოსწავლეები როგორც ერთი გუნდის წევრები არ მოქმედებენ. მოსწავლეები და მასწავლებლები იშვიათად თანხმდებიან სწავლების მიზნების, საშუალებებისა და მიდგომების შესახებ. მასწავლებლები უმეტესად ადმინისტრატორების როლში არიან, ხოლო მოსწავლეები – დაქვემდებარებულების. მასწავლებლები მეტწილად ბრძანებებს გასცემენ, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ. ასეთი გამოცდილების ფარგლებში კი რთულია, მოსწავლეებმა თანამშრომლობის ფორმები შეისწავლონ.

სწავლების შინაარსიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსწავლეების გარკვეული ნაწილის ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მაგალითად, თანამედროვე საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა იშვიათად ხდება სასკოლო სივრცის ნაწილი. უფრო მეტიც, სერიოზული აცდენაა მოსწავლეებისა და მასწავლებლების ლიტერატურულ გამოცდილებას შორის. მასწავლებლების მცირე ნაწილს აქვს წაკითხული თანამედროვეობაში პოპულარული სერიული ნაწარმოებები, როგორიც არის, მაგალითად, „ჰარი პოტერი“ ან „პერსი ჯეკსონი და ოლიმპიელები“.

ვითარებას ისიც ართულებს, რომ მოსწავლეებისა და მასწავლებლების კულტურული გამოცდილების დაშორება მხოლოდ ლიტერატურით არ შემოიფარგლება. მასწავლებლებს უჭირთ თანამედროვე მუსიკის ჟანრებისა თუ შემსრულებლების ამოცნობა. მათ ძალიან მცირე აქვთ კომპიუტერული თამაშებით გართობის გამოცდილება. მასწავლებლების უმეტესობა აღიზარდა ისეთ გარემოში, სადაც, დღევანდელი სამყაროსგან განსხვავებით, ნაკლები იყო კომუნიკაციის საშუალებები, ნაკლებად იცვლიდნენ ადამიანები პროფესიებს, სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებს. მასწავლებლების დიდი ნაწილი აღიზარდა სახელმწიფოში, რომელსაც ჩაკეტილი და მკაცრად გაკონტროლებული ჰქონდა სახელმწიფოს საზღვრები, როგორც გადაადგილებისთვის, ისე ინფორმაციისთვის.

საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სკოლის ერთმანეთისგან აცდენა მხოლოდ კომპეტენციების დაბალ განვითარებას არ იწვევს. მოსწავლეებისა და მშობლების ნაწილში ამგვარი დაშორება სკოლის შესახებ დაბალი წარმოდგენების ფორმირებასაც უნდა იწვევდეს. რთული წარმოსადგენია, სკოლა მაღალი რეპუტაციით სარგებლობდეს, თუ ის ახალგაზრდობას სათანადოდ არათუ მომავლისთვის, არამედ თანამედროვეობისთვისაც ვერ ამზადებს. ამიტომაც მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია, განათლების პოლიტიკაში ჩართული ადამიანები და ინსტიტუტები უნდა დაფიქრდნენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს საგანმანათლებლო პროცესი, ტექნოლოგიები, განათლების მიზნები და შინაარსი, რომ ქართული სკოლა მართლაც ოცდამეერთე საუკუნისთვის ამზადებდეს ჩვენი საზოგადოების წევრებს, მასწავლებლები კი მაქსიმალურად უნდა ეცადონ, გამოსცადონ ის, რაც ჩვენს მოსწავლეებს აინტერესებთ.



მაია ფირჩხაძე

ტიპური დავალებები და უნივერსალური სასწავლო ქმედებები

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსების მნიშვნელობა პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო კონცეფციის შესრულებისთვის. ამ მიზანს ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპიც - შედეგზე ორიენტირება, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით.

დასახული მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს ბევრი მუშაობა სჭირდებათ, რაც მათგან დიდ ძალისხმევას და შემოქმედებითობას მოითხოვს. სხვა პრაქტიკულ საქმიანობებთან ერთად, შედეგების მიღწევაში მოსწავლეებს დაეხმარება ტიპური დავალებებისა და უნივერსალური სასწავლო ამოცანების შესრულება. ტიპური ანუ სტანდარტული ნიმუშის მსგავსი დავალებები ააქტიურებს აზროვნებასა და უნარ-ჩვევებს, ხოლო უნივერსალური სასწავლო ქმედებები ხელს უწყობს შემეცნებითი უნარების გაუმჯობესებას, სოციალური გამოცდილების – პიროვნული და თანამშრომლობითი (მარეგულირებელი) თვისებების ჩამოყალიბებას/ განვითარებას და კომუნიკაციური უნარების სრულყოფას.

ტიპურ დავალებებთან ერთად, უნივერსალური სასწავლო ქმედებები მოსწავლეს ეხმარება როგორც სხვადასხვა საგნობრივი მოთხოვნის შესრულებაში, ასევე, საზოგადოდ, სასწავლო პროცესში. საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლისას ეს ხელს უწყობს განსხვავებული დონის ინფორმაციების ათვისებას, საგნობრივი პროგრამისა და სასწავლო კომპეტენციების დაუფლებას, სამყაროს მთლიანობად აღქმას და მასში საქართველოს ადგილის განსაზღვრას, პატრიოტ და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად ჩამოყალიბებას, საგანგებო სიტუაციებში შეუცდომლად და უსაფრთხოდ მოქმედების უნარის გამომუშავებას.

ტიპური დავალებებისა და უნივერსალური სასწავლო ამოცანების ნიმუშები

მიმართულება – საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია, სამოქალაქო განათლება)

I პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული მაგალითები:

დავალება N1: „წინაპართა გალერეა“ (საბაზო საფეხურისთვის)

მიზანი: ისტორიული გამოცდილების გააზრება, საკუთარი პოზიციის გამოკვეთა, დამოკიდებულების ჩამოყალიბება, პასუხისმგებლობის უნარის განვითარება და შესაბამისი ქცევის ანუ ადეკვატური მოქმედების განხორციელება საზოგადოებაში

შესრულების ფორმა: ინდივიდუალური და ჯგუფური

საგანი: ისტორია, სამოქალაქო განათლება

დავალების (ამოცანის) აღწერა: „წარმოიდგინეთ, რომ უნდა მოაწყოთ ფოტოგამოფენა თქვენი ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწეების შესახებ. ვის აირჩევდით საგამოფენოდ და რატომ?“

დავალება N2: „მტკიცებულებითი სამუშაო“ (საბაზო საფეხურზე)

> ტიპურ დავალებებთან ერთად, უნივერსალური სასწავლო ქმედებები მოსწავლეს ეხმარება როგორც სხვადასხვა საგნობრივი მოთხოვნის შესრულებაში, ასევე, საზოგადოდ, სასწავლო პროცესში.

მიზანი: მორალური ცნობიერების განვითარება ანალიტიკური, კვლევითი და დისკუსიური სავარჯიშოების გზით

შესრულების ფორმა: ინდივიდუალური და ჯგუფური

საგანი: სამოქალაქო განათლება

დავალების (ამოცანის) აღწერა: „იმუშავეთ მტკიცებულებებზე“

თანამედროვე მოზარდები ნაკლებად არიან მზად დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის

არგუმენტი „დაამტკიცე“

არგუმენტი „უარყავი“

შეფასების კრიტერიუმები მოცემული ორი დავალებისთვის: სრულად და ადეკვატურად აფასებს პიროვნებებს და ახასიათებს ზნეობრივი ნორმების მიხედვით; მოაქვს დამარწმუნებელი მტკიცებულებები, მაგალითები; მაქსიმალურად სრულად ასახავს რეალობას.

II თანამშრომლობითი (მარეგულირებელი) უნარების მანვითარებაზე ორიენტირებული მაგალითები:

დავალება N1: „დაჯგუფება“ (საბაზო საფეხურის საწყისი პერიოდი)

მიზანი: შესწავლილი მასალის საფუძველზე საკუთარი საქმიანობის დაგეგმვის უნარის ფორმირება

საგანი: ისტორია, სამოქალაქო განათლება

შესრულების ფორმა: ინდივიდუალური და ჯგუფური

დავალების აღწერა:

- დაწერეთ დაფაზე სიტყვები, მაგალითად: ევფრატი, ტიგროსი, შუმერები, შუამდინარეთი, ური, ურუქი, ლურსმული დამწერლობა.
- 5 წამის განმავლობაში წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ ეს სიტყვები.
- ჩამოწერეთ რვეულში სიტყვები, რომლებიც დაიმახსოვრეთ.
- დაითვალეთ, რამდენი სიტყვის დამახსოვრება შეძელით.
- სიტყვებიდან ამოარჩიეთ ისინი, რომლებიც რაიმე სახით უკავშირდება ერთმანეთს.
- მოახდინეთ კლასიფიცირება და შეარჩიეთ ყოველი ჯგუფიდან განმაზოგადებელი სიტყვა.

დავალება N2: „მომავალი მეწარმე“ (საბაზო და საშუალო საფეხურზე)

მიზანი: არსებული სიტუაციის შეფასების უნარის განვითარება

შესრულების ფორმა: ინდივიდუალური და ჯგუფური

საგანი: სამოქალაქო განათლება

დავალების (ამოცანის) აღწერა: გააანალიზეთ სიტუაცია და უპასუხეთ შეკითხვებს: „ქალაქში პენსიონერმა ბებიებმა და ბაბუებმა ბიზნესი წამოიწყეს – ეზოში დარაჯობენ მანქანებს და ამაში გასამრჯელოს იღებენ. ზოგიერთი პენსიონერი ერთდროულად 10 მანქანასაც კი დარაჯობს. პენსიასთან ერთად ეს არც ისე ცუდი შემოსავალია. მეპატრონეებიც კმაყოფილები არიან, რადგან ოფიციალური ავტოპარკი შედარებით ძვირი ღირს“.

შეკითხვები: ა) მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, ჩამოთვალეთ მეწარმეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები; ბ) ჩამოაყალიბეთ თანამედროვე პირობებში მეწარმეობის განვითარების თქვენეული ვარიანტები.

შეფასების კრიტერიუმები მოცემული ორი დავალებისთვის: არგუმენტირების გზით ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს და პოზიციებს.

III ნიმუშები შემეცნებითი უნარების მანვითარებისთვის

დავალება N1: „წინასწარმეტყველება“ (საბაზო საფეხურზე)

მიზანი: სასწავლო ამოცანების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების, მტკიცებულებებისა და მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარების უნარის ფორმირება

საგანი: ისტორია, სამოქალაქო განათლება

შესრულების ფორმა: ინდივიდუალური და ჯგუფური

დავალების აღწერა: წაიკითხეთ ნაწყვეტი, შეეცადეთ აღწეროთ ავტორის ხასიათი, ვინ იყო წარმომავლობით, როგორი ცხოვრების წესი შეიძლება ჰქონოდა, ან შეიძლება თუ არა რაიმე ვთქვათ მის სოციალურ მდგომარეობაზე. „ძვ.წ. II ათასწლეულის ეგვიპტურ ხელნაწერში ვკითხულობთ: „მე არ ჩავდიოდი უსამართლობას ადამიანების მიმართ, მე არ ვხოცავდი ჩემს ახლობლებს, მე არ ჩავდიოდი საზიზღრობას სიმართლის ნაცვლად... მე არ ვაიძულებდი ჩემს მონებს ეშიმშილათ, მე

დასახული მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს ბევრი მუშაობა სჭირდებათ, რაც მათგან დიდ ძალისხმევას და შემოქმედებითობას მოითხოვს. სხვა პრაქტიკულ საქმიანობებთან ერთად, შედეგების მიღწევაში მოსწავლეებს დაეხმარება ტიპური დავალებისა და უნივერსალური სასწავლო ამოცანების შესრულება.

არ ვიყავი დამნაშავე ღატაკთა უმწეობაში, არავის ვატირებდი, არ ვკლავდი...“

მიზანი: სასწავლო ამოცანების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების, მტკიცებულებებისა და მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარების უნარის ფორმირება

საგანი: ისტორია, სამოქალაქო განათლება

შესრულების ფორმა: ინდივიდუალური და ჯგუფური

დავალების აღწერა: ახსენით, რა დანიშნულებით გამოიყენება ტერმინი „მოქალაქე“ შემდეგ სიტუაციებში:

- **სიტუაცია 1**: განცხადება – „მოქალაქეები, სანერვიულო არაფერია, საბანკო მომსახურება შეფერხებულია ტექნიკური მიზეზებით“.
- **სიტუაცია 2**: ამონაწერი სასამართლოს განჩინებიდან – „მოქალაქე X-მა ჩხუბის დროს მოქალაქე Y-ს სერიოზული ტრავმები მიაყენა“.
- **სიტუაცია 3**: ამონარიდი კონსტიტუციიდან – „პიროვნების თავისუფლებისა და უფლებების დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა“.

შეფასების კრიტერიუმები მოცემული ორი დავალებისთვის: ეძებს დავალების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციას, გაიაზრებს და ადეკვატურად იყენებს ტექსტს, გამოყოფს პირველხარისხოვან და მეორეხარისხოვან ნიშნებს და შეუძლია მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება.

IV ნიმუშები კომუნიკაციური უნარების მანვითარებისთვის

დავალება N 1: „კვარტეტი“ (საბაზო საფეხური)

მიზანი: კომუნიკაციის დამყარება, რომელიც ორიენტირებულია ინფორმაციის სტრუქტურირების, ახსნა-განმარტებისა და ინფორმაციის მიწოდების საკითხებზე, ერთობლივი მოღვაწეობა საერთო პროდუქტის შექმნის პროცესში.

საგანი: ისტორია, სამოქალაქო განათლება

შესრულების ფორმა: ჯგუფური

დავალების აღწერა: მოვამზადოთ ერთნაირი ბარათები 2-3 ჯგუფისთვის 4 ცალად (მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით). თითოეულ ჯგუფს ეძლევა 4 შერეული „კვარტეტი“ (გამზადებული 4 ბარათი). ბარათებზე უნდა იყოს: 1. ცნობილი სახელმწიფო მმართველების გამოსახულებები, 2. მათი მმართველობის წლები ,3. ცნობილი მოვლენები მმართველობის პერიოდიდან და 4. მნიშვნელოვანი თარიღები. მთავარია, ბარათებს აერთიანებდეს ერთი ძირითადი იდეა (მაგალითად, დავით IV აღმაშენებლის მეფობის მნიშვნელოვანი მოვლენები და თარიღები, ან შუა საუკუნეების ევროპაში განათლების ცენტრების მუშაობა და ა. შ.).

დავალება N2: „იურისტის კონსულტაცია“ (საბაზო საფეხური)

მიზანი: მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, საჭირო ინფორმაციის გაანალიზების, ჯგუფური მუშაობის, კომუნიკაციის კულტურის, საჯარო გამოსვლების გამომუშავების უნარი

საგანი: სამოქალაქო განათლება

შესრულების ფორმა: ჯგუფური

დავალების აღწერა: შრომითი ურთიერთობების მართვა, საჭირო პასუხების მოძებნა და კონსულტაციის გაწევა (საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელს პასუხებში შეაქვს შესწორებები).

შეფასების კრიტერიუმები მოცემული ორი დავალებისთვის: პროდუქტიულობა, რთულ კითხვებზე პასუხის გაცემა, ემოციების მართვა, ურთიერთკონტროლი და ურთიერთდახმარება.

ტიპური დავალებებისა და შესაბამისი უნივერსალური სასწავლო ქმედებების განხორციელებით მოსწავლე შეძლებს სწავლის კონკრეტული საფეხურების მოთხოვნების დაძლევას და გაიხალისებს სასწავლო პროცესს, ამიტომაც ეს ეფექტური სწავლის რეალურ საშუალებადაა აღიარებული.

მარიკა კაპანაძე

განმავითარებელი შეფასება საბუნებისმეტყველო საგნებში

განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს როგორც მოსწავლის ცოდნისა და უნარების, ასევე საკუთარი სასწავლო მეთოდების შეფასების საშუალებას აძლევს. შეფასების ეს ფორმა აჩვენებს მას, თუ რამდენად ეფექტურია მისი მიდგომები და რა მიმართულებით უნდა გააგრძელოს მუშაობა მოსწავლეთა წარმატების უზრუნველსაყოფად.

სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვის. შეფასების ამ ფორმის გამოყენებისას მასწავლებელი ხედავს, სად უნდა გააუმჯობესოს საკუთარი პრაქტიკა, ხოლო მოსწავლე ხედავს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მიღწეული შედეგის გაუმჯობესების გზებს (1).

ბუნებისმეტყველების სწავლებისას პედაგოგები ხშირად მიმართავენ პროექტით სწავლებას. პროექტით სწავლება და განმავითარებელი შეფასება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ამ დროს მასწავლებლის როლი იცვლება და ის მხოლოდ შინაარსის „გადამცემი, მიმწოდებელი“ აღარაა. პროექტით სწავლებისას მოსწავლეები იყენებენ არსებულ ცოდნას, მასზე აშენებენ ახალს და ივითარებენ სხვადასხვა უნარს. შესაბამისად, პედაგოგი აფასებს როგორც მოსწავლის ცოდნას, ასევე განვითარებულ უნარებსაც.

შეფასების პროცესში პედაგოგს ეხმარება რუბრიკა. რუბრიკის შექმნა სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. ძალიან მნიშვნელოვანია, რუბრიკაში ზუსტად აისახოს, თუ რა ცოდნა უნდა მიიღოს მოსწავლემ და რა უნარების დემონსტრირება უნდა შეძლოს პროექტის დასრულების შემდეგ. ასევე ზუსტად უნდა განისაზღვროს მოსწავლეთა მიერ, შესრულებული დავალებების დონე და ის, თუ რა მოლოდინი აქვს მასწავლებელს. როდესაც მოსწავლეებს ეცოდინებათ, როგორ გაიზომება მათი წარმატება, ექნებათ სამართლიანობის განცდა. გარდა ამისა, ეს დაეხმარება მათ, სრულად ჩაერთონ სამუშაოში, წაახალისონ ჯგუფის წევრები. შეფასების რუბრიკების შესახებ ჟურნალ „მასწავლებლის” წინა ნომერში უკვე გამოქვეყნდა სტატია (2). ამ სტატიაში რუბრიკებს დაწვრილებით აღარ განვიხილავ და მხოლოდ ერთ ნიმუშს მოგაწვდით.

საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ხშირად იყენებენ ჯგუფური მუშაობის ფორმას, მაგ., ექსპერიმენტების ჩატარებისას, პრობლემების გადაჭრისას. ამ დროს მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს თანამშრომლობითი გარემოს შექმნას კლასში. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ინტერესით ჩაერთონ ჯგუფურ სამუშაოში, მისცენ ერთმანეთს რჩევები, გაარკვიონ ბუნდოვანი საკითხები და ხელი შეუწყონ ერთმანეთს მუშაობის პროცესში. ამრიგად, კლასში იქმნება ჯანსაღი კონკურენცია და ერთი ჯგუფი მეორის წარმატებას დამსახურებულად მიიჩნევს.

როდესაც ჯგუფის საერთო ნამუშევარი ფასდება, რთულია, პედაგოგმა თითოეული მოსწავლის წვლილი შეაფასოს. სწორედ მოსწავლეთა ინდივიდუალური შეფასების მიზნით წარმოგიდგენთ თვითშეფასების რუბრიკის ნიმუშს. ამ შემთხვევაში ჯგუფის თითოეული წევრი თავად აფასებს საკუთარ ნამუშევარს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ასეთი შეფასების რუბრიკა მუშაობის დროსაც გამოიყენონ და არა მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ. მასწავლებელს საშუალება უნდა ჰქონდეს, მიმართოს განმავითარებელ შეფასებას და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა წარმატებას.

განმავითარებელი შეფასებისას ერთი-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია შეკითხვების დასმა. ის ეხმარება მასწავლებელს, შეაფასოს, რამდენად ღრმაა მოსწავლის ცოდნა ამა თუ იმ საკითხის შესახებ. შეკითხვები ზოგჯერ დისკუსიას იწვევს კლასში, რაც კიდევ უფრო ეხმარება მოსწავლეებს არსებული ცოდნის განმტკიცებასა და ახალი ცოდნის შეძენაში. განმავითარებელი შეფასების

კრიტერიუმი	მიღწევის დონე			
	4	3	2	1
თანამშრომლობა/ სამუშაოს გადანაწილება	კარგად ვმუშაობ ჯგუფის ყველა წევრთან, სამუშაოს თანაბრად ვინაწილებთ.	კარგად ვმუშაობ ჯგუფის თითქმის ყველა წევრთან, სამუშაოს ყოველთვის თანაბრად არ ვინაწილებთ.	ჯგუფში კარგად ვმუშაობ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ჯგუფის სხვა წევრები ასრულებენ ძირითად სამუშაოს.	არ ვმუშაობ კარგად ჯგუფში, არ ვასრულებ ჩემთვის განკუთვნილ სამუშაოს.
ჩართულობა	სრულად ვარ ჩართული სამუშაო პროცესში, ვასრულებ ყველა სამუშაოს.	დროის ძირითად ნაწილში ჩართული ვარ სამუშაო პროცესში, თითქმის ყველა სამუშაოს ვასრულებ.	მუშაობისას ბევრ დროს ვკარგავ სხვა საქმიანობაზე, სამუშაოს დიდ ნაწილს არ ვასრულებ.	არ ვარ ჩართული სამუშაო პროცესში, დიდი ხნის მანძილზე სხვა საქმით ვარ დაკავებული.
მოსმენა	ყურადღებიანი ვარ და ყოველთვის ვუსმენ ჯგუფის წევრების მოსაზრებებს.	ჯგუფის წევრებს ვუსმენ ძირითადი დროის განმავლობაში და ყურადღებას ვაქცევ, თუ რას იტყვიან ისინი.	იშვიათად ვუსმენ ჯგუფის წევრებს, ხშირად ვაწყვეტინებ საუბარს.	საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას, რაზე საუბრობენ ჯგუფის წევრები. მე ჩემი მოსაზრებები მაქვს.
უკუკავშირი	ძირითადად კონსტრუქციულ უკუკავშირს ვაძლევ ჯგუფის წევრებს.	კონსტრუქციულ უკუკავშირს ხშირად ვაძლევ ჯგუფის წევრებს.	უკუკავშირს მხოლოდ მაშინ ვაძლევ ჯგუფის წევრებს, როდესაც მეკითხებიან.	არასოდეს ვაძლევ უკუკავშირს ჯგუფის წევრებს.
ლიდერობა/ ხელმძღვანელობა	სიამოვნებით ვარ/ვიქნები ლიდერი ჯგუფში, დავეხმარები ჯგუფის დანარჩენ წევრებს აქტიურ მუშაობაში.	უმეტესი ხნის განმავლობაში ვარ/მზად ვარ, ვიყო ჯგუფის ლიდერი.	შემიძლია ვიყო ჯგუფის ლიდერი, მაგრამ ამას ჩემი სურვილით არ გავაკეთებ.	არ მსურს ჯგუფის ლიდერობა, ვიქნები ჯგუფის ჩვეულებრივი წევრი.
პასუხისმგებლობა/ მუშაობის ჩვევა	ყოველთვის ვასრულებ ჩემს სამუშაოს და არასოდეს მჭირდება შეხსენება. ყოველთვის ვცდილობ წავახალისო ჯგუფის სხვა წევრებიც.	ძირითადად ვასრულებ ჩემს სამუშაოს და ძალიან იშვიათად მჭირდება შეხსენება.	რამდენჯერმე დამჭირდა შეხსენება, რათა შემესრულებინა ჩემი სამუშაო.	ყოველთვის მჭირდება შეხსენება, რათა შევასრულო ჩემი სამუშაო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. P. Black and C. Harrison, (2010). Formative assessment in science. *Good Practice in Science Teaching. What Research has to say?* Edited by J. Osborne and J. Dillon. Open University Press (გვ.183-210)
2. ნ. ედიშერაშვილი, (2016). შეფასების რუბრიკების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში და მათი ტიპები. ჟურნალი „მასწავლებელი," N5 (გვ. 20 – 23)
3. ს. გორგოძე, (2016). ეფექტური განმავითარებელი შეფასება. ჟურნალი „მასწავლებელი," N5 (გვ. 15 -19)
4. J. A. Vasquez, C. Sneider & M. Comer, (2013). STEM. Lesson Essentials, Grades 3-8, (გვ.123-136)

ამ ინსტრუმენტის შესახებ ჟურნალ „მასწავლებლის" წინა ნომერში იყო საუბარი (3). აქ მხოლოდ ერთ ნიმუშს წარმოგიდგენთ, რომელიც აღწერს შემთხვევას სამეცნიერო მუზეუმში.

მუზეუმის თანამშრომელმა ქვეწარმავლების შესახებ საუბრისას დამთვალიერებლებს აჩვენა ერთ-ერთი ქვეწარმავალი და დასვა შეკითხვა: „გველის რა ნაწილია კუდი და რა ნაწილია სხეული?" იმისათვის, რომ ვიზიტორები წაეხალისებინა, მათ ასეთი ინფორმაცია მიაწოდა: „ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ გველი მთლიანად სხეულია, ზოგი კი ფიქრობს, რომ ის მთლიანად კუდია. თქვენი აზრით, რომელი მოსაზრებაა სწორი? ან იქნებ სხვა მოსაზრება გაქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით?" მუზეუმის თანამშრომელმა ამ შეკითხვების დახმარებით დამთვალიერებლები საინტერესო დისკუსიაში ჩართო და მისცა საშუალება, გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

ერთმა ბავშვმა თქვა, რომ კუდი შუა ნაწილიდან იწყება. მუზეუმის თანამშრომელმა სთხოვა, აეხსნა, რატომ ფიქრობდა ასე. პასუხის მოსმენის შემდეგ მუზეუმის თანამშრომელმა კვლავ მიმართა დამთვალიერებლებს: „ვინ ეთანხმება ამ მოსაზრებას და არგუმენტებს?" რამდენიმე სტუმარმა ხელი ასწია. „გთხოვთ დამისაბუთოთ, რატომ ეთანხმებით ამ მოსაზრებას", - მიმართა მათ და ყველამ მოისმინა პასუხები. შემდეგი შეკითხვა კი მან იმ დამთვალიერებლებს დაუსვა, ვინც არ იზიარებდა ამ მოსაზრებას და საპირისპირო არგუმენტები ჰქონდა. არც ერთი გამოთქმული მოსაზრება არ იყო სწორი.

მუზეუმის თანამშრომელმა დამთვალიერებლებს უთხრა: „წარმოიდგინეთ კატა ან ძაღლი და მოიფიქრეთ, როგორ დაახასიათებდით იმ ადგილს, სადაც კუდი სხეულს უერთდება" მოსაზრებების გამოთქმის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ ეს არის ადგილი, სადაც ხდება ექსკრეციის გამოყოფა. ამის შემდეგ მუზეუმის თანამშრომელმა მიიწვია ერთ-ერთი ვიზიტორი გველის უფრო ახლოდან დასათვალიერებლად – შენიშნავდა თუ არა ის გველის სხეულზე ასეთ ადგილს. მან მართლაც იპოვა სხეულზე პატარა ხვრელი (4).

მოცემული მაგალითი ნათლად ასახავს, თუ როგორ შეუძლია მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეთა თვითშეფასება მიუთითებს მას, თუ სად სჭირდება დახმარება თითოეულ მოსწავლეს. ასევე, რაც უფრო მეტ ღია, მაპროვოცირებელ კითხვას დასვამს მასწავლებელი, მით მეტი შესაძლებლობა ექნება, შეაფასოს მოსწავლეთა ცოდნა და უნარები.

ამრიგად, განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს როგორც მოსწავლის ცოდნისა და უნარების, ასევე საკუთარი სასწავლო მეთოდების შეფასების საშუალებას აძლევს. შეფასების ეს ფორმა აჩვენებს მას, თუ რამდენად ეფექტურია მისი მიდგომები და რა მიმართულებით უნდა გააგრძელოს მუშაობა მოსწავლეთა წარმატების უზრუნველსაყოფად.

მანანა ბოჭორიშვილი

ახალი მასალის გააზრების მარტივი გზები

განათლების სფეროში ჩატარებული კვლევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სწორად დასმული შეკითხვები მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში ეხმარება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც გარკვეული სირთულეები აქვთ შინაარსის დამახსოვრებასა და გააზრებასთან დაკავშირებით, მაგრამ, ამავე დროს, არაჩვეულებრივი შემოქმედებითი პოტენციალითა და ინტუიციით გამოირჩევიან.

როგორ უნდა მივხვდეთ, ჩვენი შეკითხვა საინტერესო და შინაარსიანია თუ არა?

მასწავლებლებს მარტივი ახსნა აქვთ: **კარგად დასმული შეკითხვა მთელი გაკვეთილის განმავლობაში „აიძულებს“ კლასს, იყოს კონცენტრირებული ამ შეკითხვაზე, ცუდად დასმული შეკითხვა კი, პირიქით, მოსწავლეს პასუხის სწრაფად გაცემისთვის განაწყობს.**

საკმარისი არ არის მხოლოდ მაღალი ინტელექტუალური კოეფიციენტის მქონე მოსწავლეების აზროვნების სტიმულირება. მნიშვნელოვანია ყველა დანარჩენი მოსწავლის აზროვნების განვითარებისთვის საჭირო სტრატეგიების შემუშავებაც.

რა მიდგომები ეხმარება მასწავლებელს ახალი მასალა იოლად და ძალდაუტანებლად გააზრებინოს მოსწავლეებს?

1. განსხვავების დადგენა

მიზანი: ვთხოვოთ მოსწავლეებს, იპოვონ განსხვავებული ელემენტები.

აღწერა: ვთხოვოთ მოსწავლეებს, განასხვაონ ერთმანეთისგან ორი ელემენტი.

ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მაგალითი:

- რა განსხვავებაა ორწერტილსა და წერტილ-მძიმეს შორის?
- ზმნასა და ზმნიზედას შორის?
- შექსპირსა და ჰამლეტს შორის?
- წინდებულსა და საკუთარ სახელს შორის?
- ლიდერსა და თანამდებობის პირს შორის?
- კანონმდებლობასა და კანონმდებელს შორის?

შეგვიძლია, ორი რამ ერთმანეთისგან დეტალურად განვასხვაოთ მაშინაც კი, როცა მათ შორის დიდი მსგავსებაა. მაგალითად, რა განსხვავებაა:

- მოწყენილსა და მწუხარეს შორის?
- სანტიმეტრსა და მეტრს შორის?
- მოხარშვასა და შეწვას შორის?

2. მსგავსების დადგენა

მიზანი: ვთხოვოთ მოსწავლეებს, იპოვონ მსგავსი ელემენტები.

აღწერა: ვთხოვოთ მოსწავლეებს, იპოვონ ორ ელემენტს შორის მსგავსება.

მაგალითად:

- რა მსგავსებაა ღრუბელსა და ნისლს შორის?
- ლიდერებსა და მიმდევრებს შორის?

კარგად დასმული შეკითხვა მთელი გაკვეთილის განმავლობაში „აიძულებს“ კლასს, იყოს კონცენტრირებული ამ შეკითხვაზე, ცუდად დასმული შეკითხვა კი, პირიქით, მოსწავლეს პასუხის სწრაფად გაცემისთვის განაწყობს.

- კარგ კვებასა და ბუნებაში გასეირნებას შორის?

სტრატეგია ძალიან საინტერესო და სახალისოა, როდესაც მაგალითებად მოცემულია სრულიად განსხვავებული საგნები.

მაგალითად, ვთხოვოთ მოსწავლეებს, თქვან, რა მსგავსება შეიძლება იყოს:

- ერთ ხესა და ორ ზებრას შორის?
- ხუთშაბათსა და ორთქლის წარმოქმნას შორის?
- ჯორჯ ვაშინგტონსა და დიდ დივიზიას შორის?
- რთულ პროცენტებსა და ელექტროობას შორის?
- გაზეთებსა და გულკეთილობას შორის?

3. შედარება

მიზანი: დისკრიმინაციისა და შემეცნების უნარ-ჩვევების განვითარება

აღწერა: ვთხოვოთ მოსწავლეებს, შეადარონ ორი საგანი და იპოვონ მსგავსება და განსხვავება.

მაგალითად, შეგვიძლია, ვთხოვოთ მოსწავლეებს, შეადარონ ადამიანები თაგვებს და აღმოაჩინონ როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. ეს უფრო კომპლექსური სამუშაოა, ვიდრე ორ საგანს შორის მხოლოდ მსგავსების ან მხოლოდ განსხვავების დადგენა.

4. დახარისხება

მიზანი: ვთხოვოთ მოსწავლეებს, მთლიანად გადახედონ ნასწავლ მასალას.

აღწერა: ვთხოვოთ მოსწავლეებს, დაახარისხონ და ცალკეულ ჯგუფებად დაალაგონ საკითხები.

ამ სტრატეგიის გამოყენებით საშუალება გვეძლევა, მოსწავლეებს მივაწოდოთ იდეათა, საგანთა და სიტყვათა ასორტიმენტი, რომელსაც ისინი დაახარისხებენ რომელიმე მაჩვენებლის მიხედვით, მაგალითად:

- საკვების ისეთი ჩამონათვალის გაკეთება, რომელიც დაყოფილია მაღალკალორიულ და დაბალკალორიულ ჯგუფებად;
- ცხოველთა დაყოფა ხორცისმჭამელ და არახორცისმჭამელ ჯგუფებად;
- კუბების მწკრივების დალაგება წითელ და ყვითელ ჯგუფებად;
- სიტყვათა ჩამონათვალში სინონიმთა წყვილების პოვნა;
- მოთხრობაში მეტაფორების პოვნა.

5. მიზეზ შედეგობრივი მიმართება

მიზანი: ვთხოვოთ მოსწავლეებს, შენიშნონ მიზეზშედეგობრივი კავშირები.

აღწერა: ვთხოვოთ მოსწავლეებს, გაიხსენონ და განიხილონ, თუ რისი ახსნა შეიძლება კონკრეტული შემთხვევის დროს.

როდესაც ვეკითხებით მოსწავლეებს: „რა მოხდა აქამდე?“, ან „რითი ხსნით ამ შემთხვევას?“ – ჩვენ ვაძლევთ მათ მოტივაციას, იფიქრონ მიზეზისა და შედეგის ურთიერთკავშირზე.

მაგალითად, შეგვიძლია ვკითხოთ:



- „რა ფაქტორებს შეეძლო ამ სიტუაციაში გამოეწვია წყლის ადუღება?“
- „რა შეიძლება იყოს გადატვირთული გზების ძირითადი მიზეზი?“
- „ვის შეუძლია ახსნას, რატომ არის მარკ ტვენი ასეთი პოპულარული?“

გაითვალისწინეთ, რომ ახსნა-განმარტებათა დიდი რაოდენობა შეიძლება იყოს არასრული, რადგან ყოველთვის არ არის შესაძლებელი შემთხვევათა მიზეზის ცოდნა. შესაბამისად, სასურველია, არ დავსვათ კითხვა „რატომ“. მის ნაცვლად გამოვიყენოთ უფრო უშუალო კითხვები, როგორიცაა: „შეგიძლიათ, როგორმე ახსნათ?“, „შეგიძლიათ, მითხრათ მიზეზი?“, „რა ფაქტორებით ახსნიდით?“

6. შეჯამება

მიზანი: დავეხმაროთ მოსწავლეებს, იფიქრონ თემის შესახებ.

აღწერა: ვთხოვოთ მოსწავლეებს თემაში მოცემული ინფორმაციის შეჯამება.

შედეგების შეჯამება ავტომატურად იწვევს სხარტი აზროვნების განვითარებას.

შეუძლებელია, რაიმე ეფექტურად შეაჯამო, თუ არ შეგიძლია განიხილო ის სრულყოფილად, თუ ვერ ერკვევი მის ძირითად ელემენტებში. ჩვენ შეგვიძლია, ვთხოვოთ მოსწავლეებს:

- დაწერონ თემა ოცდაათზე ნაკლები სიტყვით;
- ზეპირად შეაჯამონ, რა ისწავლეს დღემდე;
- დახაზონ ესკიზი ან დიაგრამა, რომელიც გამოხატავს რაიმე ნაშრომს;
- შექმნან რუკა ან ცხრილი, რომელიც შეაჯამებს მოცემული თავის მნიშვნელოვან დეტალებს.

7. პარამეტრების შეფასება

მიზანი: კრიტიკული აზროვნების განვითარება

აღწერა: პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში მოსწავლეებს ვთხოვოთ, მოიფიქრონ შესაძლო გადაწყვეტილებები „გონებრივი იერიშის“ საშუალებით და შემდეგ შეაფასონ ყოველი მათგანი.

მასწავლებლები სვამენ უამრავ კითხვას, რომლებზეც არსებობს სწორი პასუხები. თუმცა რეალურ ცხოვრებაში პასუხების

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ვასწავლოთ, მაქსიმალური ცოდნა მიიღონ გაკვეთილებიდან და რეალური ცხოვრებიდან. ამისათვის ძალიან ეფექტურია, დავამკვიდროთ მარტივი, მაგრამ მიზანმიმართული ტრადიცია — გაკვეთილის ბოლოს ვთხოვოთ მოსწავლეებს, განხილული საკითხების გათვალისწინებით დაწეროონ შემაჯამებელი წინადადება.

სისწორის დადგენა არცთუ ისე ადვილია. ზოგიერთს შეიძლება არც დავეთანხმოთ. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ამ საკითხზე ფიქრში.

- რამდენი განსხვავებული გზა არსებობს იმისთვის, რომ დავითვალოთ წუთები მთელი წლის მანძილზე?
- როგორ შეგვიძლია განვსაზღვროთ გლობალური დათბობის შედეგად მოსალოდნელი სერიოზული პრობლემები?
- საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ შექსპირმა ნამდვილად დაწერა ის, რაც დაწერა?
- რამდენი ხერხი შეიძლება არსებობდეს წრის ფართობის გამოსათვლელად?
- რა შეიძლება გაკეთდეს ჩვენი სპორტული მოედნის გასაუმჯობესებლად?
- რა არგუმენტები არსებობს სიკვდილით დასჯის გასამართლებლად? მის საწინააღმდეგოდ?
- როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ კაპიტალიზმი როგორც ეკონომიკური სისტემა?

მოსწავლეები ჯერ ინდივიდუალურად, შემდეგ წყვილებში, ბოლოს კი ჯგუფურად იწყებენ განხილვას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ზემოთ ჩამოთვლილი კითხვების პასუხები და რომელი მათგანია უფრო აქტუალური. შემდეგ მასწავლებელი იწყებს შეფასებას:

„დღევანდელი დღე იყო საკმაოდ ნაყოფიერი, რადგან მოგეცათ საშუალება, შინაარსიანად გეაზროვნათ, რის შედეგადაც წარმოიშვა უამრავი იდეა. ხშირად პრობლემის გადაჭრის არაერთი გზა არსებობს. ზოგჯერ, როდესაც ვაწყდებით პრობლემას ცხოვრებაში, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ მისი გადაჭრის სხვადასხვა გზა არსებობს. რაც უფრო მეტი იდეა იბადება, მით უფრო მეტი საშუალება ჩნდება. ჩვენ გონებაში ვირჩევთ, რომელი იდეის განხორციელება იქნება უკეთესი პრობლემის მოსაგვარებლად. მოგვარებაში ასევე გვეხმარება პრობლემაზე მსჯელობა მეგობრებთან, როგორც ეს დღეს გავაკეთეთ. ამა თუ იმ იდეაზე ხმამაღალი მსჯელობა საშუალებას გვაძლევს, ვავარჯიშოთ როგორც ჩვენი, ისე მეგობრების აზროვნება. იმედია, დამეთანხმებით“.

ასეთი სახით ჩატარებული გაკვეთილები ნამდვილად დასაფასებელია, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს არ უთქვამს, ყოველი კითხვის პასუხი სწორი იყო თუ არასწორი.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ მსგავსი სტრატეგიები მოსწავლეებს პროდუქტიული აზროვნების განვითარებაში უწყობს ხელს.

იდეალურია სკოლა, სადაც მოსწავლეები განსაკუთრებით კარგად მუშაობენ შინაარსის ყველაზე საგულისხმო ნაწილზე. იგულისხმება შინაარსის შემდეგი ოთხი დონე:

1. **სპეციფიკური ინფორმაცია.** ფაქტები და დეტალები, სახელები და თარიღები, დამოუკიდებელი მოვლენები, ცალკეული უნარ-ჩვევები; სწავლა ამ დონეზე ნაკლებად ღირებული და არამყარია.
2. **კონცეფციები და განზოგადებები.** მასშტაბური იდეები და ინტეგრირებული უნარ-ჩვევები. სწავლა ამ დონეზე გაცილებით ფასეულია, განსაკუთრებით – იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ აბსტრაქტული ცნებების გაგება და მათზე მუშაობა.
3. **გამოყენება.** ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება. სწავლა ამ დონეზე მოსწავლეთა უმრავლესობისთვის ყველაზე რეალურია.
4. **ინდივიდუალური ფასეულობები.** საკითხები, რომლებიც მოსწავლეებს აწუხებთ. სწავლა ამ დონეზე ხშირად ყველაზე რეალური, პერსონალური და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი და მყარია.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ვასწავლოთ, მაქსიმალური ცოდნა მიიღონ გაკვეთილებიდან და რეალური ცხოვრებიდან. ამისათვის ძალიან ეფექტურია, დავამკვიდროთ მარტივი, მაგრამ მიზანმიმართული ტრადიცია – გაკვეთილის ბოლოს ვთხოვოთ მოსწავლეებს, განხილული საკითხების გათვალისწინებით დაწეროონ შემაჯამებელი წინადადება, რომელიც დაიწყება შემდეგი ფრაზებით: „მე ვისწავლე...“, „მე აღმოვაჩინე...“, „გამიჩნდა აზრი, რომ...“ ეს მარტივი ტრადიცია გაკვეთილს გახდის შინაარსიანს და შესასწავლი საკითხი არ იქნება მხოლოდ „სიტყვათა ერთობლიობა“, რომელსაც უაზროდ დაიზეპირებენ. ასეთი დამოკიდებულება მოსწავლეს შეუქმნის განწყობას, რომ სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე გააგრძელოს.

მაია ჯალიაშვილი

საშინაო დავალება: მითი და რეალობა

საგანმანათლებლო სივრცეში საშინაო დავალება სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, გავლილი მასალის განმტკიცებას. აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ რა ტიპისა და რაოდენობის საშინაო დავალება უნდა მიეცეს მოსწავლეს, რომ მისი შესრულება არ იქცეს რუტინულ საქმიანობად; რომ ხელი შეუწყოს ცოდნის გამრავალფეროვნებას, სასწავლო უნარების სრულყოფას.

გაკვეთილზე მოსწავლე ცოდნას კი იღებს, მაგრამ მხოლოდ საშინაო დავალების შესრულებისას უვითარდება მას ანალიზის, სინთეზისა თუ თეორიული მასალის პრაქტიკულად გამოყენების უნარები. კვლევებმა აჩვენა, რომ ის მოსწავლეები, რომელთა ინტელექტუალური უნარებიც საშუალოზე დაბალი იყო და საშინაო დავალებას კვირაში 1-3 საათს უთმობდნენ, შედეგებით უტოლდებოდნენ იმ საშუალო დონის მოსწავლეებს, რომლებიც საშინაო დავალებას არ ასრულებდნენ. საშუალო გონებრივი მონაცემების მქონე მოსწავლე, რომელიც კვირაში 3-5 საათს უთმობდა საშინაო დავალებას, შედეგებით უთანაბრდებოდა იმ კარგ მოსწავლეებს, რომლებიც საშინაო დავალებას არ ასრულებდნენ. ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ საშინაო დავალება ბუნებრივად უნდა იქცეს სწავლების ნაწილად, საკლასო და საშინაო დავალებებს შორის ზღვარი უნდა წაიშალოს; მოსწავლე კლასშივე უნდა მიეჩვიოს ინდივიდუალურ, დამოუკიდებელ მუშაობას.

განათლების ექსპერტი ბენ ჯონსონი ამ თემაზე მსჯელობისას ასეთ საოჯახო მაგალითს მოიხმობს:

„დღეს რაიმე საშინაო დავალება გაქვს? – ვკითხე ჩემს ქალიშვილს, მერსედესს.

– არა, არანაირი დავალება არა მაქვს, – წამოიძახა.

– როდის გაქვთ შემდეგი ტესტირება ან გამოკითხვა? – არ მოვეშვი.

– პარასკევს, – ხალისიანად მიპასუხა.

– დღეს ოთხშაბათია და არ უნდა შეასრულო საშინაო დავალება, რომ მოემზადო? – დაეჭვებით ჩავეკითხე.

– ეს საშინაო დავალება კი არა, სწავლაა, - ისე მიპასუხა, თითქოს ამისა არაფერი გამეგებოდა.

–გასაგებია, საშინაო დავალება არ არის სწავლა, - გამოვთქვი ვარაუდი, მერსედესმა კი გააგრძელა:

– ეს არის კითხვები და დავალებები სახელმძღვანელოს ყოველი თავის ბოლოს. უაზრო სამუშაოა“ (https://www.edutopia.org/blog/debunking-homework-myths-ben-johnson).

ამ გოგონასავით ბევრი მოსწავლე ფიქრობს. ამიტომაც ბენ ჯონსონი დაასკვნის: მითია, თითქოს მოსწავლეს სჯეროდეს, რომ საშინაო დავალება სასარგებლოა. ბავშვების უმრავლესობას მიაჩნია, რომ საშინაო დავალება მხოლოდ იმისთვისაა, მასწავლებელმა შეაფასოს და ნიშანი დაუწეროს. ამიტომაც ყველა მასწავლებლისთვის ნაცნობია სიტუაცია, როდესაც მოსწავლეები საშინაო დავალებას გაკვეთილზე ან შესვენებაზე ერთ-

საგანმანათლებლო სივრცეში საშინაო დავალება სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, გავლილი მასალის განმტკიცებას. აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ რა ტიპისა და რაოდენობის საშინაო დავალება უნდა მიეცეს მოსწავლეს, რომ მისი შესრულება არ იქცეს რუტინულ საქმიანობად; რომ ხელი შეუწყოს ცოდნის გამრავალფეროვნებას, სასწავლო უნარების სრულყოფას.

მანეთისგან იწერენ და შემოწმებისას აჩვენებენ. პედაგოგი იძულებულია, გადაწერილი დავალება შესრულებულად ჩათვალოს. ეჭვის შეტანას შეიძლება მოსწავლის პროტესტი მოჰყვეს - არავისგან გადამიწერია და თვითონ ვიწვალეო. მასწავლებელი, ხშირ შემთხვევაში, არ მოჰყვება იმის დასაბუთებას, რომ მოსწავლე იტყუება. რა თქმა უნდა, რთული არ არის იმის გარკვევა, მართლაც თვითონ შეასრულა თუ არა მოსწავლემ საშინაო დავალება, მაგრამ მასწავლებელს ხან აქვს ამის დრო და ხან – არა. შესაბამისად, მთავარია, რვეულში გეწეროს საშინაო დავალება და მნიშვნელობა არ აქვს, მშობლებმა დაგიწერეს, ახლობლებმა თუ ინტერნეტიდან გადმოიწერე (დღეს უამრავი რესურსია ხელმისაწვდომი). კლასშიც ყოველთვის მოიძებნება მოხალისე „ჭკვიანი გოგონა", რომელიც დავალებას გადაგაწერინებს. არადა, საშინაო დავალებას მოსწავლე უნდა ასრულებდეს არა შეფასებისთვის, არა საჩვენებლად, არამედ ცოდნის გასაღრმავებლად.

ამას წინათ ჩემმა მეგობარმა, თბილისის ერთ-ერთი სკოლის ძალიან კარგმა პედაგოგმა, დაიჩივლა, რომ მის მეხუთეკლასელ ძმისშვილს ჯერ ინგლისურის მასწავლებელმა მისცა ისეთი თემა, რომელსაც დამოუკიდებლად ვერ შეასრულებდა და თვითონ დაუწერა, მერე კი ქიმიის პედაგოგმა ინტერნეტში იმგვარი მასალის მოძიება დაავალა, რომლის შესახებაც გაკვეთილზე არაფერი უთქვამს. ამ შემთხვევაშიც მამიდამ აიტკივა თავი და „დავალება შეასრულა". შესაბამისად, ბავშვს უყალიბდება რწმენა, რომ საშინაო დავალება ისეთი რამაა, რომლის დამოუკიდებლად შესრულებაც არ შეუძლია და სხვა უნდა დაეხმაროს. თან ეს დახმარება მას არაფერს მისცემს, გარდა იმისა, რომ მასწავლებელი დავალებას კარგი ნიშნით შეაფასებს; შეიძლება შეაქოს კიდეც. მერე მასწავლებელი მშობელს ეტყვის, რომ ბავშვი საშინაო დავალებას კი ასრულებს, მაგრამ ცოდნა არ აქვს, არ ვითარდება, გაკვეთილზე არ აქტიურობს, გონებაგაფანტულია და სხვა. გამოსავალი კი ისაა, რომ მასწავლებელმა უფრო მეტი დრო უნდა დაუთმოს გაკვეთილზე საშინაო დავალებას; მოსწავლეს ის უცხოდ და დაუძლეველად არ უნდა მოეჩვენოს. ამავე დროს აუცილებლად უნდა ხდებოდეს საშინაო დავალების გაანალიზება; უნდა გამოჩნდეს, მოსწავლე ერკვევა თუ არა იმ საკითხებში, რომლებიც ასე კარგად აქვს დაწერილი. მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს იმგვარ დავალებას, რომლის წინასწარ განხილვაც გაკვეთილზე ვერ მოასწრო.

ზემოთ ნახსენები ბენ ჯონსონი, განათლების ექსპერტი და პედაგოგი, საშინაო დავალებას ყოველ გაკვეთილზე ამოწმებს. მართალია, ამას ხშირად ნახევარი დრო მიაქვს, მაგრამ ამ შემოწმების, ანალიზის დროს ხსნის ახალ მასალასაც. მისი აზრით, სასურველია, პედაგოგმა საკუთარ თავს დაუსვას ასეთი შეკითხვები:

- რატომ მივეცი დავალება?
- რაიმეს შესასწავლად მივეცი დავალება თუ პასუხისმგებლობა მოვიხსენი („ვფიქრობ, მათ ეს უნდა იცოდნენ" სინდრომი)?
- დაეხმარა თუ არა მოსწავლეს ჩემ მიერ მიცემული საშინაო დავალება მეტის სწავლაში?
- რისი თქმა შემიძლია მოსწავლეებზე, რომლებმაც თვითონ იწვალეს და შეასრულეს დავალება; მოსწავლეებზე, რომლებმაც სხვისგან გადაიწერეს და მოსწავლეებზე, რომლებმაც საერთოდ არ შეასრულეს დავალება?
- საშინაო დავალების შესრულებამ რა სარგებლობა მოუტანა მათ?

კარგი იქნება, ამ კითხვებზე გამოცდილ პედაგოგთა პასუხები ახალგაზრდებმა მოისმინონ. საშინაო დავალება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა დროში გახანგრძლივებულ სწავლებად, თუ მოსწავლეები იმდენად დაინტერესდებიან გაკვეთილზე შესწავლილი მასალით, რომ გადაწყვეტენ, მეტი ივარჯიშონ და სხვადასხვა უნარი

ნებისმიერი ცოდნა, რა თქმა უნდა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვება. პედაგოგმა მოსწავლეს სწორი და ზუსტი ნაბიჯების გადადგმის საშუალება უნდა მისცეს. მასწავლებელმა, საშინაო დავალების საშუალებით, უნდა შეძლოს მოსწავლეს მნიშვნელოვნისა და უმნიშვნელოს გარჩევა ასწავლოს; მიაჩვიოს იმ აზრს, რომ ვარჯიშის გარეშე ვერც ერთ საქმეში ვერ დაოსტატდება და ვერც წარმატებას მიაღწევს.

გაიუმჯობესონ. თუ მოსწავლეს არ აინტერესებს დავალების შესრულება, შესაძლოა მისი ფორმა იყოს შესაცვლელი. ამიტომ მასწავლებელმა შაბლონური დავალებები ისე უნდა შეცვალოს, რომ მოსწავლეებს მათი შესრულების სურვილი გაუჩნდეთ, დაინახონ მათი სარგებელი. საშინაო დავალებასაც ისევე სჭირდება მოფიქრება და დაგეგმვა, როგორც სწავლების სხვა კომპონენტებს.

ყველა საგანს თავისი სპეციფიკა აქვს. შესაბამისად, განსხვავებულია საშინაო დავალებების სტრუქტურა და რაგვარობაც, თუმცა საერთოა ის, რომ პედაგოგს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, კონკრეტული თემის შესწავლისას როგორი დავალება დაეხმარება მოსწავლეებს მასალის უკეთესად ათვისებაში. რა თქმა უნდა, კარგია სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემების გამოცდილების გაცნობა, მაგრამ უპირველესად გასათვალისწინებელია ის რეალობა, რომელშიც პედაგოგს უხდება მუშაობა. სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს განსხვავებული ფსიქოემოციური დამოკიდებულება აქვთ სასწავლო პროცესისა თუ პედაგოგის მიმართ. შესაბამისად, მასწავლებლის მონდომებასა და შემოქმედებით უნარზეა დამოკიდებული, საშინაო დავალების მიწოდების რა მეთოდსა და სტრატეგიას აირჩევს.

ძველი დროის ბრძენნი, რომლებიც ცხოვრების ავ-კარგს ასწავლიდნენ, მოსწავლეებს იმგვარ დავალებებს აძლევდნენ, რომელთა შესრულებაც წინ გადადგმულ ნაბიჯს ნიშნავდა. პაოლო კოელიოს თავის წიგნში „მაქთუბი“ რამდენიმე საინტერესო ამბავი აქვს მოთხრობილი. მათ შორის – ორი ასეთიც:

„არსებობს თუ არა რაიმე ლოცვაზე მნიშვნელოვანი? – ჰკითხა მოწაფემ მოძღვარს.

– წადი და ხეს ტოტი მოაჭერი, – მისცა დავალება მოძღვარმა. მოწაფე წავიდა და დავალება შეასრულა.

– ხე ხომ არ გამხმარა? – ჰკითხა მოძღვარმა?

– ცოცხალია, ისევე ხარობს, როგორც ადრე, – უპასუხა მოწაფემ.

– მაშინ მიდი და ფესვები მოაჭერი, – ახალი დავალება მისცა მოძღვარმა.

– ამას თუ გავაკეთებ, ხე უთუოდ გახმება, – გაიოცა მოწაფემ.

– ლოცვა ხის ტოტებია, ფესვი კი – რწმენა, – დაარიგა მოძღვარმა. – რწმენა შეიძლება გადარჩეს ლოცვების გარეშე, ხოლო ლოცვა რწმენის გარეშე ვერაფერს აღწევს“. ამგვარად, ერთი შეხედვით, ალოგიკური დავალების მიცემით, მოძღვარმა მოწაფეს გზა აჩვენა, კითხვის პასუხი თვალსაჩინო გახადა და ახალი ცოდნის შეძენაშიც დაეხმარა.

„ერთხელ სულიერების მაძიებელი ახალგაზრდა მონასტრის წინამძღვარს ეწვია.

– ერთი წლის განმავლობაში თითო მონეტა გადაუხადე ყველას, ვინც შეურაცხყოფას მოგაყენებს, – დაარიგა მოძღვარმა.

მთელი წელიწადი ახალგაზრდა მორჩილად ასრულებდა დავალებას. გამოსაცდელმა დრომ რომ განვლო, კვლავ ესტუმრა წინამძღვარს შემდეგი დავალების მისაღებად.

– წადი ქალაქში, ცოტა საჭმელ-სასმელი მომიტანე, – დაავალა მოძღვარმა, თვითონ კი მათხოვრის სამოსში გამოეწყო, მოკლე გზით ისარგებლა და ქალაქის შესასვლელთან ახალგაზრდაზე ადრე მივიდა. როცა ის გამოჩნდა, ლანძღვა დაუწყო.

– მადლობა ღმერთს! – წამოიძახა ახალგაზრდამ, – მთელი წელიწადი ფულს ვიხდიდი ჩემი ლანძღვა-გინებისთვის, ახლა კი, როგორც იქნა, შემიძლია, უფასოდ მოვისმინო გინება და დამცირება.

ამის გაგონებაზე წინამძღვარი ნამდვილი სახით წარდგა მის წინაშე და უთხრა:

– სიძნელეებს სიცილით ხვდები, მაშასადამე, მზად ხარ შემდეგი ნაბიჯისთვის – სიბრძნის დასაუფლებლად“.

ნებისმიერი ცოდნა, რა თქმა უნდა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვება. პედაგოგმა მოსწავლეს სწორი და ზუსტი ნაბიჯების გადადგმის საშუალება უნდა მისცეს. მასწავლებელმა, საშინაო დავალების საშუალებით, უნდა შეძლოს, მოსწავლეს მნიშვნელოვნისა და უმნიშვნელოს გარჩევა ასწავლოს; მიაჩვიოს იმ აზრს, რომ ვარჯიშის გარეშე ვერც ერთ საქმეში ვერ დაოსტატდება და ვერც წარმატებას მიაღწევს.

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

თორნიკე ჭელიძე

ერთი აბი ლიტერატურა

ბოლო დროს ძალიან მაღიზიანებს კომპიუტერი. სოციალური ქსელი, სხვადასხვა პორტალი, ინტერნეტმისამართები, ფოტოები, ვიდეოები, ზღვა ინფორმაცია, რომლის დიდი ნაწილი სრულიად უსარგებლოა და მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად შემიძლია, თავიდანვე მხოლოდ ისეთ გვერდებზე შევიდე, სადაც საჭირო რაიმეს მოვიძიებ, მაინც ვხდები დროის დაკარგვის, სისულელეების ნახვის თუ წაკითხვის მსხვერპლი.

სამსახურებიდან, სასწავლებლებიდან მოსულ ადამიანებს, როდესაც ქვეყანაში მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობაა, ყველა და ყველაფერი ნეგატივით არის დამუხტული, ერთადერთ განტვირთვად თითქოს სოციალური ქსელები დაგვრჩენია და თუ ამ ფრაზაზე არ დამიჯერებთ, დააკვირდით ტრანსპორტში, სახლებში, ქუჩაში ადამიანებს.

ჩვენ, უფროსი ასაკის ადამიანები, ამას ვაკეთებთ გააზრებულად და, ასე თუ ისე, შედეგებიც ვიცით, თუმცა მეორე საკითხია, რა გავლენა ექნება ზემოთქმულს მოსწავლეებზე. ატვირთული ფოტოები, კომენტარები და მოწონებების დაფიქსირება მათზე, პირადი მიმოწერა – ესენია დროის ის ძირითადი შავი ხვრელები, რომლებიც მოსწავლეთა ყოველდღიურობას შეადგენს. არადა, ამ დროს სადღაც თაროებზე წიგნები იცდიან.

ბოლო თვეების განმავლობაში იშვიათად მქონდა დრო წიგნის კითხვისათვის და ძირითადად კომპიუტერით ვსაქმიანობდი, რამაც ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზე. შემდეგ, როცა ამაზე დავფიქრდი, მივხვდი, თუ რამდენად კარგად მოქმედებდა ჩემზე ლიტერატურა, თუნდაც რამდენიმე დღეში ერთხელ, ერთი საათით გადაშლილი წიგნი და წაკითხული რამდენიმე გვერდი. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ავად ვიყავი და ისე ვცხოვრობდი, სადღაც კი ყოველთვის მქონდა წამალი, რომელსაც ძალიან ცუდად ყოფნის დროს ვიღებდი.

ბოლო წლებში ძალიან აქტიურად ავალებენ მასწავლებლები მოსწავლეებს, ინფორმაცია მოიძიონ ინტერნეტსივრცეში. შემდეგ გააკეთონ პრეზენტაცია და ა.შ. ძალიან, ძალიან კარგია, როცა მოსწავლე ასე ივითარებს სხვადასხვა უნარს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა იცოდეს, თუ რა დროს ატარებს ზოგადად მოსწავლე კომპიუტერთან და ინტერნეტში მოსაძიებელი დავალება არ გახდება საბაბი კომპიუტერთან დამატებითი დროის ნაწილობრივ მაინც უქმად გატარებისათვის.

აქ არის კიდევ ერთი პრობლემა; ამ ეპოქაში, როცა არსებობს უმაღლესი გრაფიკის კომპიუტერული თამაშები, ტელეფონები, პორტატული კომპიუტერები და სხვადასხვა მოწყობილობები, როგორ უნდა დავაინტერესოთ მოსწავლეები ლიტერატურით. ვთვლი, რომ დაინტერესების მიზეზი სხვადასხვა იქნება სასწავლო საფეხურების და ასაკის მიხედვით, მაგალითად, თუ დაწყებითი და ნაწილობრივ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ინტერესს გაუღვიძებს მასწავლებელი ტექსტის შინაარსით, ფანტაზიის გამძაფრებით, საბაზო საფეხურის მოსწავლეებს ზემოთქმულთან ერთად უნდა დავანახოთ ამ ყველაფრის სწავლის, გააზრების საჭიროება.

სკოლაში სწავლის დროსაც და მერეც, ამ ბოლო დღეებამდე მეგონა, რომ მუდმივად, როცა წიგნს ვკითხულობდი, ეს დრო გამოყოფილი მქონდა წიგნისთვის. არ მგონია, რომ ახლა გონება გამინათდა და რაიმე საკაცობრიო სიახლეს მივაგენი, თუმცა მივხვდი, რომ დრო, როცა კითხულობ, ყველაზე მეტადაა შენი. დანარჩენ წუთებსა და საათებს ან უაზროდ ხარჯავ, ან სხვები ინაწილებენ.

ნინია მაჭარაშვილი

დახურული კარი, ღია ფანჯარა

ის, ვინც ბილისთვის იყო ჰატორი ჰანზო ან პეი მეი, ჩემთვის იყო კობა – ჩემი მასწავლებელი, რომელიც 2000-იანების დასაწყისში UGRAD-ის გაცვლითი პროგრამით აშშ-ში გაემგზავრა. მაშინ ჩემთვის, 8 თუ 9 წლის ბავშვისთვის, ამერიკის შეერთებული შტატები უხეში ადამიანების უხეშ ხელებთან ასოცირდებოდა. ხელებთან, რომლებიც მოულოდნელად ჩაგავლებდნენ კეფაში და გაიგონებდი ხმას: „გინდა, ამერიკა დაგანახო?“ – აქ მთავრდებოდა ჩემი ამერიკა. აქ და კიდევ რამდენიმე ჰოლივუდური ფილმის ტიტრებთან. მაშინ ნერვიულობით კინაღამ მოვკვდი. მეგონა, კობა უკან არასოდეს დაბრუნდებოდა, ვეღარავინ მასწავლიდა ინგლისურს, აღარავინ დამრთავდა კომპიუტერთან დაჯდომის ნებას. კობა თუ არა, სხვა ვინ მოისმენდა ყურადღებით ჩემს უამრავ შეკითხვას?

ამაზე დარდმა ერთ წელიწადს გასტანა, სანამ 12 თვის თავზე ჩემი მასწავლებელი უკან არ დაბრუნდა. კობამ საჩუქრად სურათების ალბომი ჩამომიტანა აშშ-ის ქალაქების ლამაზი ხედებით და მითხრა, რომ თუ მოვინდომებდი, მეც აუცილებლად წავიდოდი სასწავლებლად საზღვარგარეთ.

ყურებდაცქვეტილი ვუსმენდი მის მოყოლილ ამერიკულ ამბებს – როგორ მოჰყავდათ ოჰაიოში კარტოფილი, როგორ ზეიმობდნენ ნიუ-იორკში შობას, როგორ იცვამდნენ DC-ში ჭრელაჭრელა ტანსაცმელს და რაკი დაუძლეველი სურვილი მტანჯავდა, ეს ყველაფერი ჩემი თვალით მენახა, მთელ დღეებს ინგლისურის სწავლაში ვატარებდი.

მაშინ დღის წესრიგში ორი პრობლემა იდგა – სწავლის ხარჯები და საერთოდ, სადმე, შორს, სასწავლებლად შვილის გაშვება.

პირველი პრობლემის გადაჭრა საკუთარი ძალებით წარმოუდგენელი იყო, თუ რაიმე გრანტს არ მოვიპოვებდი. უცხოეთში ცხოვრების, კვებისა და სწავლის გადასახადს ჩემი ოჯახი ვერაფრისდიდებით ვერ გასწვდებოდა. მეორე პრობლემა კიდევ უფრო რთული იყო, ვიდრე პირველი. უცხოეთში წასვლა შავბნელ საქმეებთან ასოცირდებოდა და თუ უცხოეთის გზას დამდგარი გოგო გახლდათ, მის ირგვლივ ბურუსი და ჭორი 50%-ით

იმატებდა. შინ იმის მტკიცება, რომ არასრულწლოვანი გოგონა მარტო წავიდოდი უცხოეთში, იქ ცხოვრებასა და თავის მოვლას შევძლებდი, წყლის ნაყვა იყო და სხვა არაფერი. საქართველოში ჯერ კიდევ აუთოებდნენ ადამიანებს კარადის გასაღებისთვის, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე ქილა მურაბა და ალუმინის ორი ქვაბი ეწყო. ამას ისიც დაემატა, რომ ჩემი მეზობელი უბნის ამოსახვევში შეაყენეს და ტყავის ქურთუკი რომ წაერთმიათ, დანით დაჭრეს.

კობა ჩემთვის ინგლისურის სწავლებას სრულიად უსასყიდლოდ დაჟინებით განაგრძობდა. შიგადაშიგ იმ ნაპერწკალს მესროდა, რომელიც მოტივაციისთვის აუცილებელი იყო, მელაპარაკებოდა ჩემთვის ისეთ უცნაურ და, იმავდროულად, საინტერესო თემებზე, როგორიც, მაგალითად, მოხალისეობრივი საქმიანობა და დებატების ხელოვნება იყო.

2000-იანების შუაგულში ქართულ სკოლებში ამერიკული დახმარების პროგრამა ამოქმედდა. პროგრამის ფარგლებში აშშ-ის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები საქართველოს სკოლებში ნახატებს, ტკბილეულს, სათამაშოებსა და სასკოლო ნივთებს გზავნიდნენ. მე ლუიზიანელი ქეითის გამოგზავნილი ამანათი მერგო, რომელშიც მას ჯოხიანი ფერადი კანფეტები, იქაურ ახალ წელზე დაწერილი წიგნი, გასაფერადებელი ალბომი, ფერადი ფლომასტერები და სათამაშო დათუნია ჩაეწყო. ქეითს წერილიც დაეწერა ჩემთვის, სადაც თავის ამბებს ისე მიყვებოდა, თითქოს ბავშვობის მეგობრები ვყოფილიყავით და აშშ-ში, თავისთან მეპატიჟებოდა. პროგრამა სასარგებლო იყო – კიდევ უფრო მოგვანდომა, კარგად გვესწავლა და პირადად გაგვეცნო ჩვენი თანატოლები, რომლებიც შორს, ოკეანის გადაღმა, სრულიად სხვა სამყაროში ცხოვრობდნენ. მეორე მხრივ, მწარედ მახსოვს, როგორ ველოდი ქეითისგან სხვა ამანათებს, მის ფოტოს, პასუხს ჩემს წერილზე, მაგრამ აღარაფერი მიმიღია. სწორედ იმ დროს, იმედგაცრუებული მოლოდინის პერიოდში, პირველად შევეპარე ბებიაჩემს, რომ სასწავლებლად წასვლაზე ვოცნებობდი. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ შეწყვიტა მოსწავლეების საკონტროლო ნაწერების შესწორება და როგორ ამომხედა სათვალის ქვემოდან გაოგნებულმა. დიდხანს მიყურა წარბაწეულმა და უჩვეულო, ძალიან მშვიდი კილოთი მითხრა: „გაიზრდები და წახვალ“.

იმ დღიდან დაიწყო ჩემი გაუთავებელი წანწალი მეზობელ-მეგობრებთან, რომლებსაც ინტერნეტი ჰქონდათ. ვიჯექი და საათობით ვეძებდი საგრანტო პროგრამებს, კონკურსებს, ოლიმპიადებს, სანამ ხალხს ისე არ მოვაბეზრე თავი, რომ კარს აღარ მიღებდნენ. მეჩვენებოდა, რომ ჩემი ოცნების ასახდენად წინ გადადგმული ერთი ნაბიჯის შემდეგ განგება ორს უკან მადგმევინებდა. პირველი ოთხი კონკურსი, რომლისთვისაც განაცხადი შევავსე, წარუმატებელი აღმოჩნდა. მეხუთე – მოულოდნელი, გამაგიჟებლად სასიხარულო და ისეთი, არასოდეს რომ არ ივიწყებენ. კონკურსი სულაც არ იყო მარტივი – ერთ-ერთმა ინგლისურ-ესპანურმა სკოლამ საქართველოში თარგმანების კონკურსი გამოაცხადა, რომელშიც მთელი საქართველოს მასშტაბით მონაწილეობდნენ მოსწავლეები. ოთხი წარუმატებლობით იმედგაცრუებული, თავხედურად შევვარდი საგამოცდო ოთახში და გამოცდის დაწყებამდე მთელი ხმით ვჩიოდი უსამართლობისა და ნეპოტიზმის გამო, ასეთ პროგრამებში რომ ხდებოდა. ასევე თავხედურად და სწრაფად ვთარგმნე ქართულიდან ინგლისურად მონაკვეთი გოდერძი ჩოხელის მოთხრობიდან “ბედისწერის თეატრი”. კიდევ ერთი პატარა მონაკვეთი გადმოვაქართულე ტრუმენ კეპოტეს წიგნიდან “საუზმე ტიფანისთან”. მერე ისევ გაბრაზებული დავბრუნდი შინ და სამ კვირაში, მეგობრის დაჟინებით, წავედი დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელზეც ლოკოკინას სისწრაფით აჯილდოებდნენ სხვადასხვა ენაში გამარჯვებულ მოსწავლეებს. მოჰყვებოდნენ მესამედან პირველი ადგილისკენ, ხოლო ნომინაციებს შორის სრულდებოდა ქართული ხალხური სიმღერა ან ცეკვა. მახსოვს, როგორ გავრბოდი გასასვლელისკენ ჯიუტად, მეგობარი კი მთხოვდა, ცოტაც მოიცადეო. უკვე კიბეზე ვიდექი, როცა ჩემი სახელი და გვარი გავიგონე. უხერხულია, არ გიამბობთ, რა ჩავიდინე, სანამ კიბიდან სცენაზე აღმოვჩნდებოდი. მითხრეს, რომ ლონდონში ვისწავლიდი, თანაც სამგზავრო, სასწავლო და საცხოვრებელ ხარჯებს მთლიანად ამინაზღაურებდნენ. ვგრძნობდი იმავეს, რასაც ჰარი პოტერი გრძნობდა ვოლდემორტზე გამარჯვების დროს.

ჩემი ოთახის კედელზე გაჩნდა კალენდარი – გამგზავრებამდე დღეების ათვლა დაიწყო. აქტუალური გახდა კეთილისმსურველი ნაცნობების დარიგებები, როგორ მოვქცეულიყავი საზღვარგარეთ. საბოლოოდ ორი მთავარი დარიგებით მიშვებდნენ: „არ ენდო სომხებს, ერიდე ზანგებს“.

8 ნოემბერი დგებოდა, როცა ჩემი ავიარეისი თბილისიდან ამსტერდამის გავლით ლონდონში გაფრინდა. სულ მალე 15 წლისა მარტოდმარტო აღმოვჩნდებოდი ვეებერთელა ქალაქში და ეს ხანმოკლე გამოცდილება იქნებოდა ყველა იმ მოტივაციისა და საქმის სიყვარულის წყარო, რომელიც მომავალში მექნებოდა. ყველა შიშისა და ფობიის დაძლევის უნარი, სიახლის სიყვარული და შეგრძნება, რომ თუ ძალიან ეცდები, ყველაფერს მიაღწევ. იმ არმენოფობიურმა და რასისტულმა დარიგებებმა მოსალოდნელზე სწრაფად დაკარგა აზრი, რადგან, სხირპულის აეროპორტში გზააბნეულს, ჯერ სომეხმა, ძალიან თავაზიანმა კაცმა მიმასწავლა სწორი გზა, შედეგად კი ფრენაზე დაგვიანებას გადამარჩინა, ჰითროუში ჩაფრენილი კი უსაყვარლესმა შავკანიანმა მიმაცილა საჭირო ავტობუსამდე. სწორედ ამ დროს ვიგრძენი თავისუფლების გემო.

მას შემდეგ ცხრა წელიწადმა გაიარა. ამ ხნის განმავლობაში კიდევ ხუთჯერ წავედი სასწავლებლად სხვადასხვა პროგრამით. ამათგან კანტიკუნტად მახსოვს დღეები სრულად, მიჭირს გავიხსენო, რა საგნებს ვსწავლობდი თითოეულ უნივერსიტეტში, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება პირველი ლექცია ლონდონის სკოლაში, მერხზე შემომჯდარი მასწავლებელი, ქუჩები, თანაკურსელები, მაღაზიები, შადრევნები, უცხო ადამიანების სახეები, ჭურჭელი, საიდანაც ვიკვებებოდი, მეზობლად მცხოვრები მოხუცები და ვეებერთელა შიშები, რომლებიც დავამარცხე.

მას შემდეგ ასზე მეტი თვე გავიდა. კობამ, თავისუფლების მოყვარულმა ადამიანმა, თავისი არ დაიშალა, ჩარჩოები ბოლომდე დაამსხვრია, პოლონელ გოგონაზე იქორწინა, ახლა სხვა ქვეყანაში ცხოვრობს და ისევ ჩემი მასწავლებელია.

ნინო ბილიხოძე

სიტყვის ემოციური კონტექსტის დადგენისთვის

სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებისა თუ რესურსების დიდი ნაწილი მიმართულია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებისკენ. ეს სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია და მისკენ არაერთ გზასა თუ საშუალებას მივყავართ. ერთი მათგანია მოსწავლეთა გათვითცნობიერება სიტყვის ემოციური კონტექსტის დადგენის არცთუ მარტივ საკითხებში. ერთია სიტყვის მნიშვნელობა, სემანტიკური არეალი თუ ეტიმოლოგია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ემოციები, განცდები, მგრძნობელობითი გავლენა, რომელიც თითოეულ სიტყვაშია დაუნჯებული. სწორედ ეს განსაზღვრავს სიტყვის სწორ გამოყენებას, მის „ჩასმას“ შესაფერისი ფრაზისა თუ წინადადების წიაღში.

კარგ, სასიხარულო ამბავს ვყვებით? კმაყოფილების გამომხატველი რამ გვაქვს სათქმელი? ამისთვის ქართულ ენას შესაბამისი ემოციური კონტექსტის სიტყვები მრავლად აქვს. წუხილს ვუზიარებთ სხვებს? მრისხანების, ბრაზის გამოხატვას ვცდილობთ? საამისო ლექსიკური მარაგიც უხვია ჩვენს ენაში. ჩვენი მეცადინეობით, მათი მიკვლევა და გამოყენება არ უნდა უჭირდეთ მოსწავლეებს. ვფიქრობთ, არ არის საჭირო რთული, დამაბნეველი დავალებების მიცემა ან ჩახლართული აქტივობების გამოყენება. პირიქით, ჩვენი მეთოდი რაც უფრო მარტივი, სახალისო იქნება, რაც უფრო მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას მათი კომპეტენციის ფარგლებში, მით უფრო კარგ შედეგს მივიღებთ. **ასეთად გვესახება ჩვენი ერთი ჩვეულებრივი „მუშა“ გაკვეთილი.**

გაკვეთილის თემა – „რასაც ვამბობ, იმას ვმღერი; რასაც ვმღერი, იმას ვამბობ...“

გაკვეთილის მიზანი – მოსწავლემ შეძლოს მხატვრული ნაწარმოების ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა, სიტყვის ემოციური კონტექსტის დადგენის უნარ-ჩვევის გაუმჯობესება.

სასურველი თემისკენ მოსწავლეთა აზრისა და ფიქრის მისამართავად შეგვიძლია კლასს დავუსვათ მარტივი შეკითხვები:

– თქვენი აზრით, ყოველთვის ვახერხებთ, ჩვენი ფიქრი, განცდა ზუსტად გამოვხატოთ?

– გაიხსენეთ, რა საშუალებები გვაქვს მათი გამოხატვისთვის.

მოსწავლეები გულწრფელად ისაუბრებენ იმის შესახებ, რომ ხშირად ვერ პოულობენ შესაფერის სიტყვებს, უჭირთ იმის გადმოცემა, რასაც განიცდიან... ამავე დროს, მათ არ გაუძნელდებათ იმაზე საუბარი, რომ გრძნობისა და ემოციების გამოხატვა შეგვიძლია სიტყვით (მაგალითად, ლექსით), ფერით (ფერწერული ნამუშევრით), მელოდიით, ფოტოხელოვნებით და ასე შემდეგ.

შესაძლოა, საგანგებოდ მომზადებული 2-3-წუთიანი ვიდეომასალაც ვაჩვენოთ, მაგალითად, მუსიკის ფონზე წაკითხული ლექსი ან რომელიმე ცნობილი ტილოს დეტალური ჩვენება... ან სხვა შესაფერისი რამ, რომელიც მათ განწყობებსა თუ ემოციებზე დააფიქრებდა.

ვფიქრობთ, სასურველი განწყობის შექმნისა და უკვე არსებული ცოდნის გამოწვევა-გააქტიურებისთვის გაკვეთილის დასაწყისი ათიოდე წუთი საკმარისი იქნება.

კლასი დაყოფილია 5 ჯგუფად:

1-ლი ჯგუფი იმ მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც მუსიკალური სკოლის ამა თუ იმ კურსს ეუფლებიან (ვიოლინო, ფორტეპიანო, გიტარა, სალამური, ვოკალი, ფოლკლორი...);

მე-2 შემოქმედებითი ჯგუფია, რომლის წევრებიც ორიგინალურ ტექსტებს შექმნიან.

მე-3 და მე-4 ჯგუფებს ეძლევა ერთნაირი დავალება. ესენი ერთგვარი „მუშა“ ჯგუფებია, რომელთაც სახელწოდებებს შევურჩევთ.

მე-5 შეფასების ჯგუფია.

„მუსიკალური“ ჯგუფი ასრულებს მის მიერ წინასწარ შერჩეულ მელოდიას ან სიმღერას. სრული შთაბეჭდილებისთვის შეიძლება, ამას თან ახლდეს ვიდეოჩვენება ან მცირე ქორეოგრაფიული ნომერი... თუმცა ამ „დანამატს“ უარყოფითი მხარეც აქვს – შესაძლოა, მოსწავლეთა ყურადღება მელოდიიდან სხვა მიმართულებითაც წავიდეს. ამის გადაწყვეტა უმჯობესი იქნება კონკრეტულ კლასში. „მუშა“ ჯგუფებს დავალებებს მელოდიის მოსმენამდე ვურიგებთ. ეს დავალებები, პირობითად, ასეთი იქნება:

ყურადღებით მოუსმინეთ შესრულებულ მელოდიას. ჩამოწერეთ ის სიტყვები, რომლებიც, თქვენი აზრით, იმავე გრძნობებსა და ემოციებს გამოხატავს, რაც ჩაქსოვილი იყო მუსიკაში. შეადგინეთ წინადადებები, გამოიყენეთ თქვენ მიერ შერჩეული სიტყვები.

განსხვავებული დავალება ეძლევა შემოქმედებით ჯგუფს: **მოსმენილი მელოდიის შთაბეჭდილებით, დაწერეთ 25-30-სიტყვიანი ამბავი. შეეცადეთ, თქვენს ტექსტში ისეთივე განწყობა თუ ემოცია იყოს გამოხატული, როგორსაც მელოდიაში შეიცნობთ.**

შეფასების ჯგუფი პედაგოგთან ერთად შემუშავებული სქემით ქულებით შეაფასებს ცალკეული ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოს.

ჯგუფებს სამუშაოდ მიეცემათ 10 წუთი, ხოლო პრეზენტაციებს დაეთმობა 15 წუთი. ეს შეადგენს გაკვეთილის II ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მიიღწევა ძირითადი მიზნები. დაგვრჩება უაღრესად მნიშვნელოვანი ბოლო 10 წუთი, რომელმაც უნდა გვიჩვენოს, მიგაღწიეთ გაკვეთილზე დასახულ მიზანს თუ ვერა. ფაქიზად უნდა შევარჩიოთ შეკითხვები და დავალებები, რომელთაც ამ დროს გამოვიყენებთ.

მაგალითად, შევთავაზებთ, ახსნან გაკვეთილის „სახელწოდება“ – „რასაც ვამბობ, იმას ვმღერი; რასაც ვმღერი, იმას ვამბობ...“. თუკი მათეულ ახსნაში გამოჩნდება გაკვეთილზე ნაფიქრ-ნაღვაწი და მოსწავლეთა მიერ გამოტანილი დასკვნები იქნება სწორი, მაშასადამე, მიზანიც მიღწეულია – მოსწავლეები სიტყვების წარმოთქმისა თუ დაწერის დროს, მათი მნიშვნელობის გარდა, ემოციურ კონტექსტზეც დაფიქრდებიან.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს გაკვეთილის ზოგადი შეფასების საშუალებასაც მივცემთ. რასაკვირველია, უნდა შევარჩიოთ საინტერესო საშინაო დავალება, რომელიც უკუგებად, ერთგვარ რეფლექსიად გამოგვადგება ჩატარებული გაკვეთილისათვის.

ეს, ერთი შეხედვით, „პროზაული“ გაკვეთილი შესაძლოა დიდ დღესასწაულად ვაქციოთ. მუსიკა თავისთავად ქმნის ესთეტიკური აღქმისთვის შესაფერის გარემოს. თუ შევძლებთ, მოსწავლეებს ამ აღქმის სიტყვიერ გამოხატვაში დავეხმაროთ, ან, უფრო ზუსტად, ამ ქმედებისთვის შევაგულიანოთ, შედეგად მათ გონებაში „ჩაიწერება“ კონკრეტული დადებითი ან უარყოფითი ემოციის გამომხატველი სიტყვები, რომელთაც ისინი მომავალში სწორად გამოიყენებენ. გარდა ამისა, ჩართულობით, ჯგუფური მუშაობით, თითოეულის ლექსიკურ მარაგს შეემატება 2-3 ათეული სიტყვა. ამ ლექსიკური სიმწირის ჟამს ესეც მნიშვნელოვანი რამაა, სწავლის პროცესისთვის სასიკეთო და სასარგებლო.

ანა ჯანელიძე

მშობლიურ ენაზე დაფუძნებული ბილინგვური და მულტილინგვური განათლება

მშობლიური ენის სწავლის, მისი შენარჩუნების მნიშვნელობა აღიარებული და განმტკიცებულია სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციითა და დეკლარაციით.

საერთაშორისო შეთანხმებებში განათლებასთან მიმართებით უმცირესობებისა და მკვიდრი მოსახლეობის ენობრივი უფლებები რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს მოიცავს:

- მშობლიურ ენაზე განათლების უფლება, თუკი უმცირესობის ჯგუფს ამის სურვილი აქვს;
- ფართო საზოგადოების ენისა და სახელმწიფო განათლების სისტემის ხელმისაწვდომობა;
- ინტერკულტურული განათლების ხელმისაწვდომობა, რაც ხელს უწყობს პოზიტიურ დამოკიდებულებებს უმცირესობებისა და მკვიდრი მოსახლეობის ენისა და კულტურის მიმართ;
- საერთაშორისო ენების ხელმისაწვდომობა.

მშობლიურ ენასთან დაკავშირებით საერთაშორისო შეთანხმებებში ჩამოყალიბებული მიზნებისა და პრინციპების რეალიზება ხშირად სხვადასხვა გამოწვევას უკავშირდება: ერთი მხრივ, ადგილობრივ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს, მეორე მხრივ კი უმცირესობის მშობლიური ენისა და სახელმწიფო ენის სწავლა-სწავლების პრაქტიკულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს.

ეთნიკური და ენობრივი უმცირესობებით დასახლებულ ქვეყნებში სხვადასხვა ჯგუფის მშობლიური ენა/ენები წარმოადგენს სოციალურ და კულტურულ სიმდიდრეს, რომელიც საჭიროებს დაცვასა და შენარჩუნებას. უმცირესობის ენა განიმარტება კონკრეტულ კონტექსტში, გეოგრაფიულ არეალში იმ ჯგუფის ენად, რომელიც წარმოადგენს უმცირესობას, თუმცა იმავდროულად სხვაგან ის შეიძლება უმრავლესობის ენა იყოს (მაგ., სომხური ენა სომხეთში უმრავლესობის ენაა, საქართველოში – უმცირესობის).

უმცირესობათა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უმცირესობათა ჯგუფებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც, ვინაიდან ეს ხელს უწყობს სხვადასხვა ჯგუფის ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ მშვიდობიან თანაცხოვრებას. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური გარემოებების გამო ხშირად ადგილობრივ დონეზე უმცირესობათა ენები იკარგება, სუსტდება მათი სოციალური სტატუსი. მკვლევართა აზრით, ენობრივი მარგინალიზაცია პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ მარგინალიზაციასთან, რაც მრავალმხრივ აზარალებს უმცირესობათა იდენტობას და მათი მიკუთვნებულობის გრძნობას ფართო საზოგადოებისადმი. ენა არ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება. ის არის ინდივიდისა და ჯგუფის კულტურული იდენტობის ძირითადი მახასიათებელი. ამდენად, მშობლიური ენის სწავლა და გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგანმანათლებლო კონტექსტში.

უმცირესობის წარმომადგენელი მშობლებისთვის, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ მათ შვილებს ჰქონდეთ საშუალება, ეზიარონ თავიანთი ჯგუფის კულტურას და შეინარჩუნონ მშობლიური ენა; მეორე მხრივ კი, ბუნებრივია, მათ აქვთ სურვილი, შვილებმა შეძლონ ფართო საზოგადოებაში სრული ინტეგრაცია და წარმატების მიღწევა სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში, რაც,

უმცირესობათა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უმცირესობათა ჯგუფებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის, ვინაიდან ეს ხელს უწყობს სხვადასხვა ჯგუფის ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ მშვიდობიან თანაცხოვრებას.

მშობლებს უნდა შეეძლოთ, არჩევანი სათანადო ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთონ — რა სავარაუდო ზეგავლენა ექნება ამა თუ იმ საგანმანათლებლო მიდგომასა და სწავლა-სწავლების ენას/ენებს ბავშვის სწავლაზე, განვითარებაზე, მის მომავალ შესაძლებლობებზე.

როგორც წესი, გულისხმობს სახელმწიფო და/ან საერთაშორისო ენების ცოდნას. მშობლიურ ენაზე დაფუძნებული ბილინგვური და მულტილინგვური განათლება შესაძლებლობას იძლევა, ბავშვმა არ დაკარგოს მშობლიური ენა და ამასთანავე წარმატებით დაეუფლოს მეორე (სახელმწიფო) ენას (და სხვა ენებს მულტილინგვური განათლების შემთხვევაში). მშობლიურ ენაზე სწავლა მნიშვნელოვანია, რადგან წარმოადგენს ხარისხიანი განათლების ბაზისს. იმავდროულად, ბილინგვური და მულტილინგვური განათლება მნიშვნელოვანია განათლების ყველა საფეხურზე როგორც სოციალური თანასწორობის ხელშეწყობის მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს მულტიკულტურული და მულტილინგვური გარემოს შენარჩუნებას.

ენა არის ინტერკულტურული განათლების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა ჯგუფს შორის ურთიერთგაგებას და ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას. ბუნებრივია, წარმატებული ბილინგვური/მულტილინგვური საგანმანათლებლო პროგრამები მრავალ მეთოდოლოგიურ და პედაგოგიურ საკითხს მოიცავს, რომლებიც ამ სფეროში არსებული მეცნიერული ცოდნისა და მტკიცებულებების საფუძველზე ყალიბდება.

ბილინგვური განათლება გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც სწავლა-სწავლების პროცესი ორ ენაზე მიმდინარეობს, მულტილინგვური განათლება კი სამ ან მეტ ენას მოიცავს. ამ შემთხვევაში ენის როგორც ცალკეული საგნის სწავლება კი არ იგულისხმება, არამედ მისი გამოყენება სწავლა-სწავლების *საშუალებად*. ბილინგვური/მულტილინგვური განათლების სფეროში მეცნიერთა საკვლევი თემატიკა შემდეგი საკითხებისგან შედგება: როგორია ენებს შორის სწავლა-სწავლებისთვის დროის/საგნების ოპტიმალური გადანაწილება? როდის არის უმჯობესი, ბავშვმა დაიწყოს მეორე ენის ათვისება? რა უფრო ეფექტურია – მეორე ენაში სწრაფი იმერსია თუ ეტაპობრივი გადასვლა? რა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას მეორე ენის ათვისებაზე? რომელი მეთოდების გამოყენებაა უფრო ეფექტიანი მშობლიური და მეორე ენის სწავლების პროცესში?

ბილინგვური და მულტილინგვური განათლების სფეროში დაგროვებული მეცნიერული ცოდნა და მტკიცებულებები შემდეგ ძირითად მიგნებებს გვთავაზობს:

ადრეული ასაკი

მნიშვნელოვანია, რომ ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდეს. არსებობს სკოლამდელი ბილინგვური განათლების პროგრამების წარმატებული მოდელები (მაგალითად, უელსში, სადაც უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები ორივე ენას ეუფლებიან). თუმცა აღსანიშნავია, რომ ხშირად ასეთ პროგრამებში მეორე ენა არ გამოიყენება სწავლა-სწავლების ენად. ის შემოდის როგორც

დამოუკიდებელი „საგანი“, რომელსაც სკოლამდელი ასაკის ბავშვები ეტაპობრივად, თამაშისა და ყოველდღიური რუტინული საქმიანობების დროს, არაფორმალურ გარემოში ეცნობიან ასაკისა და განვითარების საფეხურის შესაბამისად.

ბილინგვური განათლების პოზიტიური შედეგები

ეფექტიანი ბილინგვური განათლების უპირატეს შედეგს არ წარმოადგენს მხოლოდ ორი ენის სრულყოფილი ფლობა. კვლევები ადასტურებს, რომ ხელშემწყობი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში ორენოვან ბავშვებს ახასიათებთ მეტი კოგნიტიური მოქნილობა და უკეთ აქვთ განვითარებული მეტალინგვისტური ცნობიერება, ვიდრე მათ თანატოლებს.

მშობლიური თუ მეორე ენა? დროის ფაქტორი

იმისათვის, რომ ბავშვმა წარმატებით შეძლოს მეორე ენის დაუფლება, მას ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს გარკვეული კომპეტენციები მშობლიურ ენაში. მეცნიერებს შორის არ არსებობს შეთანხმებული პოზიცია მინიმალურ კომპეტენციებთან დაკავშირებით, თუმცა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ამ კომპეტენციების დასაუფლებლად ბავშვს მშობლიურ ენაზე სწავლა-სწავლების საშუალება უნდა ჰქონდეს 6-8 წლის განმავლობაში, ანუ დაახლოებით დაწყებითი საფეხურის დასრულებამდე. იმავდროულად, დაწყებით საფეხურზე უნდა ისწავლებოდეს მეორე ენა როგორც საგანი (და არა როგორც სხვა საგნების სწავლების ენა), რომელიც საბაზო საფეხურიდან ნელ-ნელა მეტ ადგილს დაიკავებს როგორც სწავლა-სწავლების ენა სხვადასხვა საგანში.

მშობლიური ენა როგორც სწავლა-სწავლების ბაზისი

ბილინგვურ განათლებაში ე. წ. ადრეული იმერსიის პროგრამები (ორენოვანი სწავლება მე-2-მე-3 კლასიდან) ნაკლებეფექტურია, ვიდრე გვიანდელი იმერსიის პროგრამები (ორენოვანი სწავლება დაწყებითი საფეხურის შემდეგ). თუმცა ადრეული იმერსიის პროგრამები შედარებით ეფექტურია, ვიდრე პირდაპირი იმერსიის პროგრამები, როდესაც ბავშვები პირველივე კლასში არამშობლიურ ენაზე იწყებენ სწავლას. როდესაც ადრეულ ასაკში ბავშვი მშობლიურ ენაზე არ სწავლობს, მაღალია ალბათობა იმისა, რომ მეორე ენის სწავლაც შეფერხდება, ვინაიდან ბავშვი ჯერ კიდევ არ ფლობს საჭირო კომპეტენციებს მშობლიურ ენაში, რაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მის კოგნიტიურ განვითარებასა და აკადემიურ წარმატებაზე.

მასწავლებლების ფაქტორი

წარმატებული ბილინგვური პროგრამებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეტაპობრივი გადასვლა (ნაწილობრივ ან სრულად) მეორე ენაზე, არამედ სათანადოდ მომზადებული აღმზრდელები და მასწავლებლებიც, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ ბავშვების მშობლიურ ენას. აგრეთვე, სწავლა-სწავლების პროცესისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ხელმისაწვდომი იყოს სათანადო ენობრივი რესურსები და სასწავლო მასალები (თვალსაჩინოებები, წიგნები, აუდიომასალები და ა. შ.).

ოჯახების ჩართულობა

იმისათვის, რომ ბავშვები წარმატებით დაეუფლონ, პირველ რიგში, მშობლიურ ენას, ხოლო შემდგომ – მეორე (უმრავლესობის) ენას, მნიშვნელოვანია ოჯახებთან თანამშრომლობა, მათი წახალისება, რომ მშობლიური ენის აქტიური გამოყენება ბავშვის აღზრდისას ოჯახშიც მიმდინარეობდეს.

მშობლიური ენა და უმცირესობათა იდენტობა

მშობლიურ ენაზე დაფუძნებული ეფექტიანი ბილინგვური/მულტილინგვური განათლება ხელს უწყობს არა მხოლოდ ენობრივი კომპეტენციების განვითარებას, არამედ უმცირესობების თვითშეფასების ამაღლებასა და საკუთარი და სხვების კულტურის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებასაც.

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ბილინგვური და მულტილინგვური განათლების ერთი მოდელი, რომელიც ყველა გარემოებასა თუ სიტუაციას იდეალურად მოერგო. ამიტომ რეკომენდებულია სხვადასხვა მიდგომის გამოყენება მშობლიური და მეორე ენის სწავლებისას. ამასთანავე, ოჯახებს არჩევანის გაკეთების საშუალება უნდა ჰქონდეთ. მშობლებს უნდა შეეძლოთ, არჩევანი სათანადო ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთონ – რა სავარაუდო ზეგავლენა ექნება ამა თუ იმ საგანმანათლებლო მიდგომასა და სწავლა-სწავლების ენას/ენებს ბავშვის სწავლაზე, განვითარებაზე, მის მომავალ შესაძლებლობებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ball, J. (2011). Enhancing learning of children from diverse language backgrounds. Mother-tongue based bilingual or multilingual education in the early years. UNESCO.
2. Cummins, J. (1986). Empowering minority students: A framework for intervention. Harvard Educational Review, 56, 18-35.
3. Li, X. (1999). How can language minority parents help their children become bilingual in a familial context? Bilingual Research Journal, 23(2&3), 211-224.
4. OECD (2001). Starting strong: Early childhood education and care. Paris: Author
5. Rubio. M-N. (2007). Mother tongue plus two: Can pluralingualism become the norm? In Children in Europe, 12, 2-3.
6. Shonkoff, J., & Phillips, D. (Eds.). (2000). From neurons to neighborhoods: The science of early childhood development. Washington, DC: National Academy Press.
7. Tarone, E., & Bigelow, M. (2005). Impact of literacy on oral language processing: Implications for second language acquisition research. Annual Review of Applied linguistics, 25, 77-97.
8. United Nations (1948). Universal Declaration on Human Rights. New York: United Nations.
9. United Nations (1966). International Covenant on Civil and Political Rights Covenant. New York: United Nations.
10. United Nations (1989). Convention on the Rights of the Child. Retrieved January 15, 2009 from: http://www2.ohchr.org/english/law/crc.htm
11. United Nations (1990). International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of their Families. New York: United Nations.
12. United Nations (1992). Declaration on the Rights of Persons belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities. New York: United Nations.
13. UNESCO (2008b). Mother tongue instruction in early childhood education: A selected bibliography. Paris: UNESCO.
14. UNESCO (1960). Convention against Discrimination in Education. Paris: UNESCO.

დიანა ანფიმიადი

სია

საფლავი ჰაერში

როდესაც იმ წითელი აგურის შენობას გვერდით ჩაუვლიდა, თეთრწვერა, მაღალი მოხუცი მხრებში იხრებოდა, მთლიანად საკუთარ ქუდში შეიყუჟებოდა, როგორც კარავში, როგორც თავშესაფარში, სანგარში და ისე დაპატარავებული ფეხს აჩქარებდა, გვერდით არც კი იხედებოდა. ასე იყო ყოველთვის, მას მერე, რაც იმ კლასის მასწავლებელი აღარ იყო, მას მერე, რაც საკუთარ გულში დასრულდა მისი მასწავლებლობა, მხოლოდ გულსგარეთა, ყოველდღიური საქმიანობა დარჩა, რომელიც დღეებს, როდესაც რაიმეს არ წერდა, სწრაფად დაღამებაში ეხმარებოდა. ლექციები უნივერსიტეტში, სხვადასხვა სკოლასა თუ პროფესიულ სასწავლებელში... მაგრამ ეს სულ სხვა იყო, იმ ცოცხალი, რთული, ზოგჯერ საშიში, მაგრამ მაინც ყველაზე ბედნიერი დღეებისგან განსხვავებით, როცა გრძნობდა, რომ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა.

ლიტერატურაშიც ისტორიული ამბები აირჩია, რამდენიმე საუკუნის წინ მომხდარ მოვლენებზე საუბარი, მათში მონაწილეობა გაცილებით მარტივი იყო, ვიდრე ცხოვრება იქ, სადაც მისი საყვარელი ადამიანები მოღალატეებად გამოაცხადეს, მათი სახელის ხსენებაც აკრძალეს, საფლავები აუფეთქეს და ზედ უზარმაზარი, უსახური შენობა აუშენეს.

ის კი ცხოვრობდა, ყოველდღიურ ლიტერატურულ პროცესებში მონაწილეობდა, ახალგამოცემული წიგნებით ხარობდა, მკითხველებს ხვდებოდა, წიგნებზე ავტოგრაფებადაც აწერდა თავის სახელსა და გვარს, თუმცა საკუთარ ფანტაზიაში ხშირად სტუმრობდა პატარა, წარმოსახვით საფლავს, რომელზეც უბრალო, მინდვრის ყვავილებისგან შეკრული თაიგულის მიღმა ჩანდა წარწერა:

ვასილ ბარნოვი
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი.
1918-1921

კლასი

– ჯანდიერი!

– გახლავართ.

– გეტსმანი!

– ვარ..

– ერისთავი!

– ვარ.

– კემულარია!

– ვარ!

– კალანდარიშვილი!

– ვარ!

სიას ყოველთვის არ კითხულობდა, ძირითადად ყველანი იყვნენ, გაკვეთილს არავინ აკლდებოდა. იუნკერთა სასწავლებლის განსაკუთრებულ დისციპლინაზე ჯერ გენერალი კვინიტაძე ზრუნავდა, შემდეგ კი სკოლის დირექტორი – ალექსანდრე ჩხეიძე, წესიერი, მკაცრი, განათლებული კაცი, ნამდვილი სამხედრო.

ესეც რომ არა, სერიოზული მიზეზების გარეშე არავინ აცდენდა სკოლას, აქ მოიჩქაროდნენ, უყვარდათ, მუშაობდნენ, სწავლობდნენ...

– ქართული რომანტიზმი რთული თემაა, ყმაწვილებო, საერთოდ, თუ დავაკვირდებით, ზოგიერთი ავტორი ამა თუ იმ მიმდინარეობას კი ეკუთვნის, მაგრამ, ამავე დროს, გამორჩეული, განსხვავებულია

მასწავლებელიც ვერაფერზე ფიქრობდა, ვერც ქვეყნის მომავალსა და საშიშროებაზე, ვერც დიდი ქვეყნების დახმარების იმედზე, ვერც უზარმაზარ წითელ არმიაზე, ვერც მოღალატეებზე, უკვე მეორე ბანაკში გადაბარგებას რომ მივმავდნენ. ფიქრობდა თავის მოსწავლეებზე, მათ სახეებსა და თვალებზე, მათ ზოგჯერ ჭკვიანურ, ზოგჯერ გულუბრყვილო და უმწიფარ აზრებზე, მათ ყოველდღიურ პროტესტზე, მათ კალიგრაფიაზე და გული უკვდებოდა, იმის წარმოდგენაზე, თუ როგორ შეიძლებოდა რომელიმეს ტყვია მოხვედროდა, ნალმზე აფეთქებულიყო...

მისგან, დიდი პოეტები თან ქმნიან მიმდინარეობებს, თან ვერ ეტევიან ჩარჩოებში და ერთგვარად ანგრევენ მათ, ასეთი იყო, მაგალითად, ჩვენი ტატო – ნიკოლოზ ბარათაშვილი, თითქმის თქვენი კბილა ან კიდევ უფრო პატარა, როდესაც თავის საოცარ სტრიქონებს ქმნიდა. ცნობილია, რომ „შემოღამება მთაწმინდაზედ“ სულ ახალგაზრდამ დაწერა...

– ბატონო ვასილ, შეიძლება, ერთი რამე გკითხოთ?

– დიახ, რასაკვირველია!

– თქვენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძაზე, გრიგოლ ორბელიანზე ლაპარაკობდით ამას წინათ, მისი ლექსებიც წაგვიკითხეთ, წერილებიც, მაგრამ თითქმის არ გისაუბრიათ მის სამხედრო საქმიანობაზე.

– დიახ, ალექსანდრე, ბრძანეთ, რა გაინტერესებთ? – მასწავლებელს აღაფრთოვანებდა ასეთი წუთები, მოსწავლეების ინტერესი, დაძაბულ დიალოგს რომ მოასწავებდა, ზოგჯერ საუბარი კამათსაც ემსგავსებოდა, ამ დროს განსაკუთრებით ცოცხლდებოდა კლასი, სხვაგვარი, საინტერესო ატმოსფერო იქმნებოდა.

– გრიგოლ ორბელიანი ხომ რუსი გენერალი იყო? თქვენ კიდევ გვიყვებოდით, პატრიოტი პოეტი იყოო, „სადღეგრძელოც“ წაგვიკითხეთ, „საღამო გამოსალმებისა“... მე კიდევ ვფიქრობ, რომ მტრის გენერალი სამშობლოს პოეტად არ გამოადგება.

– ისედაც დიდი არაფერი პოეტი იყო, მე თუ მკითხავთ, – მოისმის ხმა მეორე მერხიდან. ეს ყიფიანია, ალექსანდრე, პოეზიის დიდი ტრფიალი, ყველა პოეტს იცნობს, ცისფერყანწელების საღამოებს არ ტოვებს, ლიტერატურულ პერიოდიკას კითხულობს, ჩუმ-ჩუმად წერს კიდეც.

– რა შუაშია, სამხედრო ნიჭი ჰქონდა იმ კაცს და სხვაგან სად გამოიყენებდა? იქნებ როგორი სასარგებლო ყოფილიყო ქართველებისთვის მისი გენერლობა?

– რომელი პოემა გახსენდება „სადღეგრძელოზე“ უკეთესი?

– „მუხამბაზებს“ კი კარგად უმღერი შენს შეყვარებულს და...

ბიჭები ახმაურდნენ, ყველას თავისი აზრი ჰქონდა, ზოგიერთი გრიგოლ ორბელიანს გულშემატკივრობდა, ზოგი, უფრო რადიკალური – მტრად აცხადებდა, ვილაცისთვის ომი და პოეზია სრულიად განსხვავებული ცნებები იყო, რამდენიმე ფანჯარაში იყურებოდა – მშვენიერი, მაისის დარი იდგა, სკოლის ეზოში ცამდე აწვდენილი კიპარისები ირწეოდნენ...

– მეგობრებო, ძალიანაც ნუ ავხმაურდებით! – სულ ოდნავ აუწია ხმას მასწავლებელმა, – ყველა თქვენგანი ძალიან საინტერესოდ მსჯელობს, მათიც მესმის, ვისთვისაც ლექსი და პოლიტიკა სხვადასხვა რამაა, მათიც – ვინც ფიქრობს, რომ მტრის სამსახურში ყოფნა განსაკუთრებით პოეტებს არ ეპატიებათ. მე როგორ მოვიქცეოდი? ვერაფერს გეტყვით. საბედნიეროდ, ახლა ჩვენ ყველას გვაქვს საშუალება, ჩვენს ქვეყანას ვემსახუროთ, ჩვენი ქვეყნისთვის ვწეროთ და ვისწავლოთ... რა იქნებოდა სხვა დროს? არ ვიცი და არც მინდა, ოდესმე გავიგო. თუმცა, ყველას გმირობას ნუ მოვთხოვთ.

ამ საუბარს დიდხანს, დიდხანს იხსენებდა მერე მასწავლებელი – ვასილ ბარნოვი.

სიტყვა

თავიდანვე იცოდნენ, რომ ასე მოხდებოდა, არავინ აცლიდა თავისუფლად ფრენას გალიიდან თავდაღწეულ ჩიტს, ჯერ ჰაერისა და სივრცის მოზომვას, ფრთების უშიშრად გასწორებას რომ ცდილობდა. თავიდანვე იცოდნენ და ეს რაღაცნაირი, წინასწარ განწირული განწყობა კიდევ უფრო მეტი ტრაგიკული შემართებით ავსებდა ბიჭების გულებს. ეს იგრძნობოდა ყველაფერში – მათ დავალებებში, თხრობაში, კითხვებში, მისალმებაში, დამშვი-

დობებაში, საყელოს გასწორებაში, წასაკითხი წიგნების არჩევაში, სიმღერებშიც კი.

თანდათანობით მოიმატა დაძაბულობამ, მოიკლო ლიტერატურისა და ისტორიის გაკვეთილების დრომ, სამაგიეროდ, სამხედრო საქმის კურსმა თუ იარაღის გამოყენებისა და ფიზიკური წვრთნის პრაქტიკუმებმა ლამის მთელი სასწავლო დრო დაიკავა. ახლა ბიჭებს დასაძინებლადაც იშვიათად უშვებდნენ შინ, განსაკუთრებული მდგომარეობა გამოცხადდა სასწავლებელში, მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც სრულიად სხვა რეჟიმზე გადავიდნენ.

ქართული თუ უცხოური პრესა სასიკეთოს არაფერს იტყობინებოდა, ევროპა მხოლოდ შეშფოთებული იყო, პატარა საქართველოსთვის აღარ ეცალა, საკუთარ პრობლემებს ვერ უთავდებოდა, მთავრობა შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, მოღალატე შინაურები, როგორც ყოველთვის, ჩასაფრებულები იყვნენ, ზოგი, არც ჩასაფრებული – მტერს მეთაურად მოუძღოდა. ხალხი გაურკვევლობაში იყო, ნაწილი დამოუკიდებლობას ხავსივით ეჭიდებოდა, მეორე ნაწილი პირად უზრუნველყოფაზე ფიქრობდა, მესამენი ბარგს კრავდნენ სტამბოლში გასაქცევად, მეოთხენი მტრის ენის გრამატიკებში იქექებოდნენ, ენას სწავლობდნენ ყოველი შემთხვევისთვის...

იანვრიდან ყველაფერი კიდევ უფრო გართულდა, თითქოს ძაფივით გაწვრილდა ლოდინი, საშიშროების განცდა, დამარცხებები დამარცხებებს ერთვოდა, გამარჯვებებით სულსაც ვერ მოითქვამდი, თითქოს უნდა გაწყვეტილიყო რაღაც...

თებერვლის დასაწყისში აშკარა გახდა, რომ სულ სხვაგვარი, გადამწყვეტი შეტევა გახდებოდა აუცილებელი, ქართულ ჯარს და დივიზიებს დახმარება დასჭირდებოდათ და სწორედ მაშინ გადაწყვიტეს, ბრძოლაში ჩაერთოთ ქართული სამხედრო ძალის საუკეთესო ნაწილი, ყველაზე ახალგაზრდა და სამხედრო საქმის ყველაზე კარგად მცოდნე – იუნკრების რაზმი.

იმ დღიდან მოსვენება დაკარგეს მოსწავლეებმაც და მასწავლებლებმაც. შეიცვალა ყველაფერი, ყველა სიტყვა, ყველა წუთი, ყველა გაკვეთილი, ყველა წიგნი, ყველა ლექსი თუ ისტორიული თარიღი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა – ომში მიდიოდნენ პატარა ბიჭები, გულის ჯიბეში სასიყვარულო წერილებით, სიზმრების შიშით, სიცოცხლის სიყვარულით, წაუკითხავი წიგნებით, მომავლის გეგმებით სავსეები.

მასწავლებელიც ვერაფერზე ფიქრობდა, ვერც ქვეყნის მომავალსა და საშიშროებაზე, ვერც დიდი ქვეყნების დახმარების იმედზე, ვერც უზარმაზარ წითელ არმიაზე, ვერც მოღალატეებზე, უკვე მეორე ბანაკში გადაბარგებას რომ გეგმავდნენ. ფიქრობდა თავის მოსწავლეებზე, მათ სახეებსა და თვალებზე, მათ ზოგჯერ ჭკვიანურ, ზოგჯერ გულუბრყვილო და უმწიფარ აზრებზე, მათ ყოველდღიურ პროტესტზე, მათ კალიგრაფიაზე და გული უკვდებოდა იმის წარმოდგენაზე, თუ როგორ შეიძლებოდა, რომელიმეს ტყვია მოხვედროდა, ნაღმზე აფეთქებულიყო... ასეთ დროს კარგავდა აზრს მისი საყვარელი ქართული ლიტერატურა და ენაც, ენა, რომელსაც ასე ელოლიავებოდა, ენა, რომელიც შესაძლოა სამუდამოდ დადუმებულიყო რომელიმეს ახალგაზრდულ ბაგეზე, მომკვდარიყო ბოლო, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სიტყვა.

IX დღე

„თოფები მხარზე, სმენაზე გვქონდა აყუდებული. მწყობრის სიზუსტის მოთხოვნილებები საშუალებას არ გვაძლევდა, თავი მიგვებრუნებინა.

შიგადაშიგ თვალების მიტრიალებით თუ ვხედავდი, რა ხდებოდა ირგვლივ. ერთი ასეთი გახედვისას ჩვენს მასწავლებელს, ვასილ ბარნოვს მოვკარი თვალი. თავჩაღუნული, მიწას მიჩერებული, ღრმად ჩაფიქრებული, ჭაღარაწვერიანი მიჰყვებოდა აზვირთულ ტალღას. მისი დანახვა ჩვენთვის ჯანღიან დღეში მზის გამოჩენას უდრიდა. რას ფიქრობდა? ალბათ, ერთი მხრივ, გული დარდით ევსებოდა საქართველოს ავბედობის გამო და, იმავდროულად, ეამაყებოდა, რომ მისი აღზრდილი მხედრები სამშობლოს დასაცავად მიემართებოდნენ“.

იუნკრის მოგონებებიდან

ახლა სხვა კითხულობდა სიას, უფრო მკვეთრი, ცივი, გამჭოლი ხმით. ბიჭები საგანგებოდ გამოწყობილიყვნენ, სრული სამხედრო აღჭურვილობით, იარაღაკიდებულნი, ზედმეტად სერიოზული სახეებით იდგნენ, თუმცა ზოგჯერ ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ და სიცილი აუტყდებოდათ, მერე ამ სიცილის შეკავებას მთელი სხეულით ისე ცდილობდნენ, რომ დაძაბულობისგან ხელები უკანკალებდათ.

– მუჯირიშვილი

– იოსელიანი

– მათიკაშვილი

– კვალიაშვილი

– ანდრონიკაშვილი

– გაბაშვილი

– ზანდუკელი

– ჯამასპიშვილი

– ჯიშკარიანი

ვინც თავის გვარს გაიგონებდა, პატარა ნაბიჯს წინ წადგამდა და თავის დაკვრით ატყობინებდა ხელმძღვანელს, რომ მზად იყო.

გენერალ კვინიტაძეს ხმა ჩახლეჩოდა, ცდილობდა, ღელვა არ დასტყობოდა, თუმცა ხელების ნერვიული მოძრაობა მაინც ამხელდა.

ამ სისხამ დილით ხალხი გარეთ გამოფენილიყო, მშობლები, ოჯახის წევრები, უბრალო თანამოქალაქეები სამხედრო სკოლის მოსწავლეების, აწ უკვე პროფესიონალი სამხედროების გასაცილებლად გამოსულიყვნენ. ყვავილებით, თეთრი ცხვირსახოცების ფრიალით, ათასგვარი გამამხნევებელი შეძახილით, დალოცვითა და მოფერებით სავსე იყო ჰაერი, ქუჩა, იქ მყოფთა თვალები.



– „სამხედრო სკოლა ფრონტზე მიდის!“

– დედა გენაცვალოს, შვილო!

– მშვიდობით დაბრუნდით!

– ნახე, როგორ უხდება ეს სამოსი!

– ვაი შენს დედას, ჩემო ბიჭო! – წამოძახილი ბევრი იყო და სხვადასხვანაირი.

ყველა ბაგიდან წამოძახილი ფრთხებოდა, ჰაერისკენ იწევდა, სხვადასხვა ფერისა და ჯიშის ფრინველებივით, ეს შორისდებულები, საალერსო ფრაზები, გულისწყვეტები და დარდები იქვე, ჰაერში დაფრინავდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ, ფრთხიალებდნენ.



უცებ თოფმა დასჭექა და ყველა სიტყვა და წინადადება ერთბაშად მოსხიპა, მკვდარი მწყერებივით ძირს ჩამოყარა.

ბიჭები მხრებში გასწორდნენ და მზერა ერთ მხარეს მიაპყრეს, ეს ნიშანი იყო, საჯარო გამოსვლები იწყებოდა.

ჯერ გენერალმა კვინიტაძემ ილაპარაკა – სამშობლოს დაცვის აუცილებლობაზე, იმ საფრთხეებზე, რომელთა წინაშეც იდგა სულ ახალგაზრდა, თოთო რესპუბლიკა, ძლივს მოპოვებულ დამოუკიდებლობაზე, საქართველოს მომავალზე.

შემდეგ იუნკერთა საყვარელი მასწავლებლის, დიდი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის ჯერი დადგა. მისი სიტყვა მოკლე და ემოციური იყო:

„შვილებო! ჩემი მოვალეობაა, თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა, ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისკენ მოგიწოდებთ“.

ბოლოს გამოსვლა ქართული ლიტერატურის მასწავლებელს, ვასილ ბარნოვს სთხოვეს, მან კი უარი თქვა. ცრემლები ხმას უხშობდა, აკანკალებულ ბაგეს ვერ იმორჩილებდა, უყურებდა თავის მოსწავლეებს და მზად იყო ეყვირა – გაკვეთილზე, გაკვეთილზე დაბრუნდით ყველანი! უყურებდა ამ სამხედრო ფორმებში ჩაცმულ, გამოწკეპილ, იარაღასხმულ ბიჭებს, ზოგიერთს სამხედრო ქუდიდან მეტისმეტად დიდი ყურები გამოსჩროდა სასაცილოდ, ზოგიერთს ქოჩორი უჩანდა, ზოგიერთს, თავშიშველს, თებერვლის სუსხიანი ნიავი უწეწავდა თმას. ედარდებოდა ყოველი მათგანი, წარმოდგენა არ უნდოდა, რა შეიძლება მომხდარიყო, ახსენდებოდა მათი შესრულებული დავალებები, ალაგ-ალაგ გათხაპნილი მელანი, წიგნებში ფურცლების ჩაკეცვის მავნე ჩვევა, ჩუმად გამხელილი ლექსები. ხვალ შეიძლება აღარაფერი ყოფილიყო, მტრის ტყვიას შესწირვოდა ამ ახალგაზრდების და მათი საბრალო სამშობლოს მომავალი. თვალებში ვერ უყურებდა, თითქოს ნანობდა ყოველი წაკითხული ლექსის გამო, თითქოს ყველაფერმა აზრი დაკარგა. არადა, სული მისდიოდა, ისე უნდოდა, რამე თბილი ეთქვა, სიყვარული გამოეხატა, გაემხნევებინა, დამშვიდობებოდა.. მაგრამ სიტყვა სადღაც ხორხში გაეჩხირა, როგორც ტყვია, როგორც ცრემლი... დამშვიდობება მაინც ვერ მოახერხა.

თანდათანობით იუნკერთა შემადგენლობამ სკოლის ეზო დატოვა, მერე – მიხეილის პროსპექტი, შემდეგ კოჯრისკენ მიმავალ გზას დაადგა ახალგაზრდა მეომრების რაზმი. მასწავლებელი დიდხანს იდგა და ნაკვალევს გაჰყურებდა, იდგა დიდხანს, ერთ ადგილას იდგა მხოლოდ თებერვლის ამ ერთ, სუსხიან დილას კი არა, მთელი ცხოვრების განმავლობაში.

სეფლევი ჰაერში

უბედურების მაუწყებელი ამბები თანდათან, წვეთ-წვეთად გავრცელდა, მერე კი ერთიანად, ცეცხლის წვიმასავით დაატყდა ქალაქს თავს.

მასწავლებელიც ამბავ-ამბავ სუნთქავდა, ჩაისუნთქავდა – ერთის გარდაცვალებას გაიგებდა, ამოისუნთქავდა – მეორის გმირობას.

ფრონტიდან ბევრს არაფერს იწერებოდნენ, ძირითადად ისეთი წერილები მოდიოდა, როგორც მღეროდნენ ხოლმე სკოლის ეზოში, შესვენებაზე – ერთი ამოსუნთქვით, მოსწრებაზე..

თავიდან ვერავინ, ვერც მოღალატე შინაურების მეთაურობამ, ვერც გადაბირებული ახლობლების ღალატმა, ვერც სამხედრო ძალამ, ვერც იარაღმა ვერ გაარღვია მოხალისეებისა და იუნკრების წინააღმდეგობა. ბიჭები იწერებოდნენ, რომ კოჯრის სიახლოვეს ღამ-ღამობით ძალიან ციოდა და ამოორთქლილი სიმღერებით ითბობდნენ გაყინულ ხელებს, რომ ვერაფერი მოახერხებდა მათი სიმტკიცის გატეხვას. ასეც იყო, ყველაზე აგრესიული კომკავშირელებისგან შემდგარი რაზმი, კარგად შეიარაღებული წითელარმიელები, ალყაში მოქცევის უამრავი ცდა – არაფერი შეაშინებდათ კვინიტაძის შეგირდებს.

საოცარი იყო შალვა ერისთავის გმირობა. თბილისში ფეხბურთის საუკეთესო მოთამაშე და შეუდარებელი მორბენალი, 22 წლის შალვა ერისთავი სანგარში შევარდა, ხიშტით განგმირა მემიზნე ოფიცერი და ტყვიამფრქვევი საკუთარი სხეულით დაფარა. ფრონტზე იყო მარო მაყაშვილიც, მშვენიერი და მამაცი მოწყალების და... სხვებიც – ლამაზები, მამაცები, ახალგაზრდები, სულ სხვაგვარი სიყვარულით ანთებულნი...

რამდენიმე შეტევა მოიგერიეს, მსხვერპლი დიდი იყო, მაგრამ იმედი – კიდევ უფრო დიდი. გრძნობდნენ, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში იბრძოდნენ, მათ ახალგაზრდულ ბეჭებზე იყო ქვეყნის დარჩენა-გადარჩენის საკითხი. იბრძოდნენ ბოლო წუთამდე, ბოლო ტყვიამდე, სანამ უკან დახევის ბრძანება არ მიიღეს... მთავარსარდლობამ გადაწყვიტა, რომ სხვა ფაზაში უნდა გადასულიყო წინააღმდეგობა, რომ ასე ბრძოლას აზრი არ ჰქონდა...

რუსთაველის გამზირზე შავ სუდარაგადაფარებული კუბოების პროცესიას მოჰყვებოდა მასწავლებელი. ჩოხიანი ვაჟკაცები და ერთიც – გოგონა, ნაღმზე აფეთქებული... გადარჩენილ იუნკერთა დიდი ნაწილი უკვე სხვადასხვა ქალაქისკენ მიმავალ გემზე იმყოფებოდა, ქვეყანაში დარჩენამ აზრი დაკარგა. ქალაქი დამარცხებას გლოვობდა, შვილებს გლოვობდნენ დედები, თავისუფლების დაკარგვას გლოვობდა ქვეყანა...

მერე უცხოეთიდან მოწერილ წერილებს საგულდაგულოდ წვავდა, ყოველგვარი ურთიერთობისა ეშინოდა მასწავლებელს და ხშირად ესიზმრებოდა – ტაძრის ეზოში სხვა საფლავებთან ერთად მისიც იყო. ისიც მიდიოდა, ყვავილებს აწყობდა და ზუსტად იმ წუთში ტაძარი საფლავებთან ერთად ნამსხვრევებად იქცეოდა, ჰაერში იფანტებოდა და ძირს ცვიოდა, როგორც მკვდარი ჩიტების გუნდი, როგორც ახალგაზრდა ბაგეებს მომწყდარი უთქმელი სიტყვები.

ირმა ტაველიძე

ალმა და ჩალის ქუდი

– არ გიკვირს, ყველამ რომ ყველაფერი იცოდა?

– არ მოსწონდათ და ცნობებს აგროვებდნენ.

– როგორც ჩანს, თავიდანვე აითვალწუნეს.

– თვითონაც შეუწყო ხელი. უცხო სიტყვებს ხმარობდა – საგანგებოდ ნასწავლ ტერმინებს. „ნიმფეტამინი“ დაირქვა და თავისი შიშველი მუხლების ფოტოებს აქვეყნებდა ხოლმე. შიშველი ზურგის ფოტოებსაც.

– გახსოვს, რას ვაკეთებდით მის ასაკში?

უმზეო ცის ქვეშ ზღვის ზედაპირი ვერცხლისფრად ლივლივებდა. ზაფხულის ბოლო დღის დასასრული თხელი ღრუბლებიდან გამოღწეულ შუქს რაღაც ისეთად ექცია, რასაც მხოლოდ გრძნეული მთხრობლის გამოგონილი, ზღაპრული საღამო ეთქმოდა. ეს მოელვარე წყალი ნამდვილი ვერ იქნებოდა. წყლიდან ამოსრიალებული თევზები და ძვირფასი თვლებივით მიმობნეული წვეთები კიდევ უფრო უძლიერებდნენ განცდას, რომ გაცოცხლებულ სურათს ხედავდა – სხვის თავში დაბადებულს, შელამაზებულს. მოციმციმე უსასრულობა. ზედაპირის ქვეშ ჩამუქებული დრო, რომელიც სხმარტალა თევზებს აჩენდა. ამ სურათის შემქმნელს სანაპიროს თითოეული კენჭის მშვენიერებაზეც ისევე ეზრუნა, როგორც ჰორიზონტის ხაზის იდუმალებასა თუ მეთევზეების ტანსაცმლის ზომიერად გახუნებაზე.

აქ მდინარე ზღვას ერთვოდა და სწორედ ამის სანახავად წამოვიდნენ – შესართავის თევზებისა და ფრინველების. ორმოც წელს მიტანებული ორი ქალი ხალხმრავალ სივრცეს გამოერიდა და გეზი უცნობი მიწისკენ აიღო.

ფეხშიშველი მეთევზეები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ – ბადეები ჩაეყარათ, უხვი ნადავლის იმედით იდგნენ და ხმამაღალი გადაძახილებით ამხნევებდნენ ერთმანეთს. დროდადრო უხამსი ხუმრობაც გაისმოდა. იქაურები იყვნენ – მეტყველებაზე ეტყობოდათ. ბადეში მოყოლილების აღსასრული არავის აღელვებდა. მთავარი მათი ამოყვანა იყო – უკვდავების წყლიდან, უსასრულობის ბნელი წიაღიდან. მშვიდად მოლივლივე სივრცე წამიერად იფატრებოდა და ერთად შეყრილი თოლიებიც უმალვე ახმაურდებოდნენ ხოლმე – თავიანთ წილ სიხარულს, ცოცხალი თევზით დანაყრებას ელოდნენ. კაცებს თავს უტიფრად დასტრიალებდნენ, წრეებს ხაზავდნენ, მსხვერპლის გასატაცებლად ხელსაყრელ დროს ელოდნენ. ზოგჯერ მეტისმეტად მსუქან თევზს სტაცებდნენ ნისკარტს და ორიოდე წამში ძირს უვარდებოდათ, იმას კი – იღბლიანს, წყალში დაბრუნებულს – კუდის მოქნევით სიცოცხლის გაგრძელების სურვილის აღნიშვნაღა რჩებოდა.

– ღირდა ამის სანახავად წამოსვლა, – თქვა მოწითალოდ თმაშეღებილმა ქალმა, რომელსაც სურათის სრულყოფილება უკვე მობეზრებოდა და ზღვაში შესასვლელად ემზადებოდა.

მეორე ქალს – ჩალისქუდიანს – არაფერი უთქვამს. წიგნი გადაშალა და ერთხანს თვალგაშტერებული ჩასცქეროდა. კითხვის გაგრძელება არც უცდია. სიტყვები ერთმანეთის მიყოლებით უჩინარდებოდნენ იმ აბზაციდან, რომლის პირველ წინადადებასაც გულში მეათედ იმეორებდა. სანიშნად შერჩეული ჭრელი ბალახის ღერი იქვე ეგდო, კენჭებზე.

მეხუთეკლასელები აფორიაქებულები და შეშინებულები დამდევდნენ, სულ რაღაცებს მეკითხებოდნენ. ჩემი მეხუთე. უცნაურად გულმოდგინეები. ძალიან პატარებს მოუწიათ რთულ კითხვებზე პასუხების ძებნა. ამ ამბავზე მარტო ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. სხვა მასწავლებლებისთვის კითხვების დასმა არც უფიქრიათ. სიმართლე უნდა მეთქვა, ოღონდ ისე, რომ დამნაშავის ძებნა და ასეთი რამეები არ დაეწყოთ. თუ ვინმეს დაადანაშაულებდნენ, იმწამსვე გაწირავდნენ კიდეც, დაუფიქრებლად.

– მაინც რას გეკითხებოდნენ?

– მართლა ორსულად არის თუ არაო? უკეთესი არ იქნება, თავი რომ მოიკლასო? თქვენს გაკვეთილზე რომ დაეწყოს მშობიარობა, რა უნდა ქნათო? სკოლის სახურავიდან რომ გადმოხტეს, მოკვდება თუ არაო? თოთხმეტსართულიანის სახურავიდან თუ გადმოხტა, ხომ ნამდვილად მოკვდებაო?

– ადანაშაულებდნენ.

– არა, უფრო თანაგრძნობა ჩანდა – გამოუვალი მდგომარეობიდან გამოყვანის სურვილი.

რა უნდა ეძებნა უზადო პეიზაჟში? რას ეუბნებოდა მნახველს თხელი ღრუბლებით დაფარული ცა, მიწაზე დაფენილი ნაზი შუქი და წყლის ზედაპირი, ზეციურ სიმშვიდეს, წონასწორობას, მიუკერძოებლობას რომ ირეკლავდა?

არ არსებობს არავითარი ღვთაებრივი მიუკერძოებლობაო, გაიფიქრა და წიგნი დახურა. ამ საღამოს ვერაფერს წაიკითხავდა. შემოქმედს ეს საღამო სხვაგვარად ჩაეფიქრებინა – გულისგამაწყალებელი აღწერებისა თუ ბრძნული შეგონებების გარეშე. ბაცი ფერები, კაცებისა და ფრინველების არეული ხმები, ზღვის ნაცნობი სუნი, მუჭში მოგროვილი კენჭების სიგლუვე – ყველაფერი თავისკენ იხმობდა და საბოლოო დასკვნის გამოტანის აუცილებლობას ახსენებდა.

შეიძლებოდა თუ არა, ბოლო თვეების ყველა კითხვა პასუხგაცემულად ჩათვლილიყო? მალე ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა და კიდევ ერთი წელი ისე გავიდოდა, სარკეში ორ-სამჯერ მშვიდად ჩახედვასაც ვერ მოასწრებდა. საქმე საქმეს დაემატებოდა, საფიქრალი – საფიქრალს. ბადესავით გაშლილი დრო კი შეთვალიერებული მსხვერპლის მოლოდინში გაირინდებოდა.

მის თავს ზემოთ რაღაც აფარფატდა, ქაღალდის ნაკუწივით. ხელი აიქნია და უცებ ყველაფერი ცხადი გახდა: ბოლო სურათს ხედავდა, ფილმის ბოლო კადრს. წამიც და, ტიტრები გამოჩნდებოდა ღრუბლიან ცაზე, საბოლოოდ დამშვიდებულ ზღვაზე კი მსხვილი ასოებით დაიწერებოდა: „დასასრული“. ამას მათი სახელებისა და გვარების გრძელი ჩამონათვალი მოჰყვებოდა, წლების მანძილზე რომ გარჯილიყვნენ, ებრძოლათ, ეშრომათ, წყალი ღვინოდ ექციათ, ახალი ღვინო ახალ ტიკებში ჩაესხათ, ყველაფერი – თითქმის ყველაფერი – სწორად გაეკეთებინათ და რა?

სურათი ყველაფერს ასრულებდა. ცხოვრებას. სირთულეებს. ხმებს.

დავიფიცე, რომ არასდროს დამავიწყდებოდა. როცა დიდი ვიქნებოდი, ყველა წვრილმანი მემახსოვრებოდა, არც ისე მნიშვნელოვანიც და სულ უმნიშვნელოც. ხშირად ვიფიქრებდი, ხშირად გავიხსენებდი, რომ მაშინდელი გაბრაზებისა თუ უბრალო უკმაყოფილების მიზეზები მეხსიერებას ცოცხლად შემოენახა. მაშინებდნენ, მატყუებდნენ, მაიძულებდნენ, უბალიშოდ დამეძინა და რუსულის კერძო გაკვეთილებზე მევლო. ფორტეპიანოზეც. წამების იარაღად ყველაფერი გამოდგება, ყველაზე უწყინარი ნივთებიც კი. ხანდახან მეგონა, რომ მარტო მოსაფერებლად ვუნდოდი – როცა დროს გამონახავდნენ, მაშინ რომ ჩავესვი კალთაში. კატასავით. საკუთარი თავისთვის მიცემულ პირობას ვინახავ და ეს მეხმარება ხოლმე. მართლა ყველა წვრილმანი მახსოვს. იმ ჩვენს გადარეულ გოგოსაც რომ ვუყურებდი, ჩემი გადარევის წლები მახსენდებოდა – აფორიაქება, დაუფიქრებლად მიღებული გადაწყვეტილებები, საყვარელ ადამიანებზე ზემოქმედების სურვილი, რაღაც ისეთის თქმა, რაც სხვებს ჩემკენ მოახედებდა.

– ყურადღების მიქცევა უნდოდა და ამიტომ გააკეთა?

– ალბათ.

კიდევ კარგი, ზღვაში ჩამავალი მზე და გაწითლებული ჰორიზონტის ხაზი არ ჩანდა – სჯეროდა, რომ ასეთ დასასრულს არავინ იმსახურებდა. მერვე ა კლასის დამრიგებელიც კი, რომელმაც მოსწავლის დედას პირში მიახალა: „თქვენი შვილი ორსულადაა. აქამდე როგორ ვერ მიხვდით?“

ამის მერე აღარაფერი იქნებოდა. გაგრძელების შეუძლებლობა ცხადად მოჩანდა. დრო აქ და ახლა მთავრდებოდა. მეთევზეებს შინ დაბრუნება არ ეწერათ. არც ეს ღრუბლები გაიფანტებოდნენ და აღარც დიდრონი ტალღები აგორდებოდნენ ზღვაზე. თვითონაც უკანასკნელად ასცქეროდა ცას, რაღაც დიდს, ნათელსა და მშვენიერს რომ მალავდა.

იმ მდგომარეობისთვის მიეღწია, როცა სურვილები უწინდებურად აღარ გაწამებენ – იცი, რა უნდა გსურდეს და დიდი ძალისხმევის გარეშე ახერხებ ასრულებას. სიხარულის სიმარტივე თუ სიმარტივით გამოწვეული სიხარული დამამშვიდებლად მოქმედებს. თვითგანვითარება. თვითკონტროლი. ცხოვრების ჯანსაღი წესი. ხელმისაწვდომი ჯილდო – ზღვისპირა ქალაქში მეგობართან ერთად გატარებული კვირა.

ალმა – წითლად თმაშეღებილი ქალის სახელი.

ისწავლა, როგორ უნდა დაეზოგა ფული; როგორ უნდა ეზრუნა დედაზე ისე, რომ ზედმეტ ყურადღებას ქალი არ შეეწუხებინა; რომელ თაროებზე უნდა ეძებნა დიაბეტიანებისთვის განკუთვნილი პროდუქტები სუპერმარკეტებში და შინ მისულს როგორ უნდა დაეთანხმებინა დედა საყვარელი ტკბილეულობის ნაკლებად მავნებლით ჩანაცვლებაზე. ხანდახან გაჯიუტდებოდა და არ უჯერებდა ხოლმე, თუმცა ერთხელაც არ აჰყოლია ცდუნებას, რაიმე ფორმით დაესაჯა – საყვარელი თოქშოუს ყურების უფლება არ მიეცა ან შორეულ სამოციან წლებში შავი ზღვისა თუ ბალტიის ზღვის სანაპიროებზე მომხდარი დაუჯერებელი ამბები ბოლომდე არ მოესმინა.

– გახსოვს, რა ფერი დაედო დედამისს?

მეხუთეკლასელები აფორიაქებულები და შეშინებულები დამდევდნენ, სულ რალაცებს მეკითხებოდნენ. ჩემი მეხუთე. უცნაურად გულმოდგინეები. ძალიან ჰატარებს მოუწიათ რთულ კითხვებზე პასუხების ძებნა. ამ ამბავზე მარტო ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. სხვა მასწავლებლებისთვის კითხვების დასმა არც უფიქრიათ. სიმართლე უნდა მეთქვა, ოღონდ ისე, რომ დამნაშავის ძებნა და ასეთი რამეები არ დაეწყოთ. თუ ვინმეს დაადანაშაულებდნენ, იმწამსვე გაწირავდნენ კიდეც, დაუფიქრებლად.

– კარი რომ გაგვიღო, არა? ვერც კი მიხვდა, ჩვენ რაღა გვინდოდა.

– ბოდიში იმავე დღეს უნდა მოგვეხადა. არ ვიცი, რას ველოდებოდით. მაშინაც შევაშინეთ – არ გვინდოდა, მაგრამ ასე გამოვიდა. ამდენი დრო გავიდა და მაინც სულ იმაზე ვფიქრობ, ყველამ რომ ორ წუთში იცოდა, რა და როგორ უნდა მომხდარიყო. ნებისმიერ მძიმე დანაშაულს მიაწერდნენ, დამნაშავის მოძებნის აუცილებლობა რომ გაჩენილიყო.

– ხომ გითხარი, თვითონაც შეუწყო ხელი-მეთქი. თავის შიშველ მუხლებს, შიშველ ზურგს სურათებს ულებდა და ნაცნობს თუ უცნობს აჩვენებდა. კიდევ რაღაც საშინელ ამბებს ჰყვებოდა – ვითომ მეგობრის მამა გაუპატიურებას უპირებდა და გაექცა.

– იქნებ ეს არ გამოუგონია?

– სულ რაღაცას იგონებს. სულ რაღაც არარსებულ საფრთხეებზე ლაპარაკობს.

მარჯვნივ გაიხედა. ვიღაცები შენიშნა – მათკენ მოაბიჯებდნენ. ჯერ ძალიან შორს იყვნენ საიმისოდ, რომ უსათვალოდ კარგად გაერჩია. სათვალის მოძებნა და მორგება კი ზაფხულის ამ მშვიდ, ზღვის სუნით გაჯერებულ, მარტივი მიგნებების იმედით სავსე საღამოს არ უნდოდა. ისევ ტიტრებისა და იმ ერთადერთი სიტყვის გამოჩენას ელოდა. ჩალისქუდიანი გმირის ლოგიკური, ბრწყინვალე აღსასრული. უმოძრაო ღრუბლები. თითქოს უხილავ ხელს ბოლო კადრი მანამდე გაეყინა, სანამ ეს – ქვემოდან მიშტერებული – რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს, ყველაზე არსებითს არ დაინახავდა.

– თვითმკვლელობა?

– როგორ უნდა მოკვდეს ზღვის ნაპირას წამომჯდარი ქალი, რომელიც ჰორიზონტისკენ ნაბიჯის გადასადგმელად ერთ მიზეზსაც კი ვერ პოულობს?

– ლ. უ. – მისი ინიციალები.

– იმასაც მეკითხებოდნენ, თქვენი შვილი რომ ყოფილიყო ორსულად, რას იზამდითო. მეხუთეკლასელები. ეგენი მისვამდნენ ყველაზე გულისგამხეთქავ კითხვებს. როგორ ვცდილობდი, ყველაფერი კარგად ამეხსნა, მაგრამ არ გამომდიოდა. ერთ გოგოს ვიცნობდი, რომელმაც თავი სწორედ ამის გამო მოიკლა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში. მაღალსართულიანი შენობიდან გადმოხტა. კარგი, ჭკვიანი გოგო იყო. ძალიან გამიჭირდა ამის გადატანა. ყველას გაგვიჭირდა. სკოლა დამთავრებული ჰქონდა. ცხრამეტი წლის იყო. წარმოგიდგენია? ალბათ მშობლების შეეშინდა, მითქმა-მოთქმის, ცხოვრების...

– ის ქალი მომეწონა. დედამისი.

– შენი შვილი – ცამეტი წლის ბავშვი – რომ ყოფილიყო ორსულად, რას იზამდი?

თავიდან სამივე ქალი ეგონა. როცა მოუახლოვდნენ, კიდევ ერთხელ გახედა. იმავე წამს გამხიარულდა – როგორ შეესაბამებოდა ეს სამი ახალმოსული ყველაფერს, რაც სურათს თითქმის ხელშესახებ ჩარჩოში მოექცია! მათი ადგილი თითქოს იმთავითვე განსაზღვრული იყო. შორიახლო ჩამოსხდნენ, ზუსტად იქ, საიდანაც ხმის მოწვდენას შეძლებდნენ. ესეც თითქოს ვიღაცას გაეთვალისწინებინა, ყველა წვრილმანი გულმოდგინედ გაეთვალა. უკვე ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მათ გარეშე სრულყოფილი ვერაფრით იქნებოდა ეს საღამო – ზაფხულის ბოლო ზღაპარი, მოულოდნელი სიმარტივითა და მოსალოდნელი ილუსტრაციებით.

ანაფორიანი მღვდელი რაღაცას ახრამუნებდა. მუხლებზე ვარდისფერი ცელოფნის პარკი ედო – იმ რაღაცით სანახევროდ სავსე. მის თანმხლებ ქალს წვრილი ყვავილებით მოჩითული შავი კაბა აეწია და წყალში შესულიყო. ჩამოშლილი მუქი თმა თეძოებამდე სწვდებოდა. წამდაუწუმ უკან იხედებოდა და ამათ უღიმოდა – მაღალ, ტანსრულ კაცსა და თორმეტი-ცამეტი წლის გოგოს, ერთიანად ჭორფლიანს, ჭრელ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილს, კენჭებისა და ერთი ბეწო თეთრი ნიჟარების შეგროვებით გართულს. თითოეული ზუსტად იმას აკეთებდა, რაც არაერთხელ გაეკეთებინა – უბრალოდ, ჩვევის ძალით, დიდი ფიქრისა და გონებაში გამკრთალი ყოველი აზრის გაანალიზების გარეშე.

მოეწონა ისინი. გულის სიღრმეში ამართლებდა კიდეც მღვდელს, რომელსაც ალბათ სურდა, ხალხმრავალი სანაპიროსთვის, უცხო თვალის სიხარბისთვის გამოერიდებინა ცოლ-შვილი. და თვითონ რატომღა გამოერიდა სხვებს? მართლა შესართავთან დატრიალებული დრამატული ამბების სანახავად მოვიდა? იქნებ სულაც მისი – განმარტოების მოყვარული კაცის – იყო ეს სურათი: ცა, ზღვა, გაუმაძღარი ფრინველები, ბედისწერასთან მებრძოლი თევზები, ხმაურიანი მეთევზეები, მთელი გულისყური რომ ბადეებისკენ მიემართათ? იქნებ სხვისი ფილმის ბოლო კადრებს შეესწრო და იმით, რასაც აქამდე ფიქრობდა, ყველა სინამდვილეს ასცდა?

კარგა ხანია, იცოდა: სუსტ მხედველობას არ უნდა ნდობოდა, არც სახელდახელოდ შექმნილ წარმოდგენებსა და ნაჩქარევად გამოტანილ დასკვნებს, არც საკუთარ თავს, მაშინ, როცა ეს უკანასკნელი მონდომებით არწმუნებდა: ცხოვრების თავიდან დაწყება შესაძლებელიაო.

– წავიდეთ?

– სიმართლემ ყველას იმედი გაუცრუა. თითქოს გოგოს დანაშაული კიდევ უფრო დაამძიმა იმან, რომ ორსულად არ აღმოჩნდა. კიდევ უფრო აუტანელი გახდა ვიღაც-ვიღაცებისთვის. სხვათა შორის, მასწავლებლებისთვისაც. დედამისზეც რას აღარ ამბობენ – თითქოს მეორედ გათხოვება დიდი ცოდვა იყოს. იმას კი სხვა სკოლაში გადაყვანა არც უფიქრია – გაივლის დრო და დაავიწყდებათო. დაავიწყდებათ?

– უბრალოდ, ამდენს აღარ ილაპარაკებენ.

– თუ ისევ რაღაც არ მოხდა...

– რა უნდა მოხდეს... მეტ ყურადღებას მივაქცევთ. ამ გოგოსთვის თავიდანვე უფრო მეტი დრო უნდა დაგვეთმო. მერე რა, რომ

კარგად სწავლობს და უცხო ტერმინებით ლაპარაკობს. „ნიმფეტამინი“. ნეტა ეს რომ მობეზრდება, რას დაირქმევს?

– იქნებ, უბრალოდ, თავს ვიმშვიდებთ?

– მივეჩვიეთ თავის დამშვიდებას.

– ჩემი შვილი რომ ყოფილიყო… არა, რა აზრი აქვს წარმოდგენას... წავიდეთ.

გულაღმა იწვა და სულ მცირე უხერხულობასაც კი არ გრძნობდა იმის გამო, რომ ასეთ შეუფერებელ ვითარებაში ესაუბრა უცნობებს უცნაურსახელიან ნისლეულებსა და მარადიული ბუნდოვანებისთვის განწირულ საკითხებზე. არა, სულის უკვდავებაზე არ ულაპარაკიათ. მღვდელმა ვარდისფერი ცელოფნის პარკი გამოუწოდა – ხელისგულისოდენა ორცხობილები შინ გამომცხვარს ჰგავდა. უარი არ უთქვამს – ამასობაში მოშივებოდა კიდეც.

ისეთს ვერაფერს მიაგნო, საბოლოო დასკვნის გამოსატანად რომ გამოადგებოდა.

ადგომა და წასვლა – საკუთარ ცხოვრებაში დაბრუნება – იმაზე რთული გამხდარიყო, ვიდრე წარმოედგინა. ერთხელ ალმამ – სწორედ ამან, მოწითალოდ თმაშეღებილმა – ახლა უკვე წასასვლელად გამზადებულმა და მის ჩალის ქუდთან საყვედურნარევი მზერით მდგარმა – რომელიღაც ციხის ნანგრევებზე აიყვანა და იქ მცირე ხნით დატოვა. ის წუთები უსასრულოდ გაგრძელდა. ზემოდან გადმოჰყურებდა უზარმაზარ ველს და ფიქრობდა, რომ გაჩენის დღიდან ამ ადგილას იდგა. არავის იცნობდა, არაფერი ენახა ადრეული შემოდგომის ნათელი ცის, სასიამოვნოდ შემთბარი მიწის, გაშავებული საუკუნოვანი ლოდებისა და ბალახის ღეროზე აცოცებული ჭიანჭველების გარდა. გრძნობდა, როგორ სუნთქავდა. ცოცხალი იყო – არ იცოდა, რატომ, რისთვის, როდემდე, მაგრამ ეს გაურკვევლობა ოდნავაც არ ანაღვლებდა. მთავარი ციხის ნანგრევებზე დგომა იყო, ველის დამკვირვებლად ყოფნა, ყველა სულიერისა თუ უსულოს ხმის მოსმენა.

ახლაც იგრძნო, რომ საფრთხე ხელშესახები გამხდარიყო. საფრთხედ იქიდან ჩანდა, მეორე მხრიდან. აქედან მხოლოდ იმას ხედავდა, რაც ყოველმხრივ ხიბლავდა და თითქოს არწმუნებდა კიდეც, სამყაროს მშვენიერება, თვალში საცემი კანონზომიერებები შემთხვევითობის შედეგი ვერ იქნებაო. ეს აზრი გულს სიმშვიდით უვსებდა, ორიოდე წუთით მაინც. სულერთი იყო, ვინ მოაწერდა ხელს ამ სურათს, ვინ აღიარებდა, რომ სანაპიროს კენჭების თვლას გადაჰყვა და მომლოდინე ადამიანების სახეები სულ გადაავიწყდა.

რამდენჯერმე სცადა წამოდგომა, მაგრამ თითქოს სხეული უწინდელ მორჩილებაზე უარს უცხადებდა. მის რომელიღაც ნაწილს სურათში სამუდამოდ დარჩენა უნდოდა.

თავი გააქნია.

ცხოვრებას თავიდან დაიწყებდა.

გაბნეულ ნივთებს ნაჩქარევად წამოკრეფდა და უკანასკნელად გახედავდა ზღვის ვერცხლისფერ ზედაპირს – ზაფხულის ბოლო საჩუქარს; უკაცრიელ სანაპიროს, სულ მალე ბინდბუნდის სიგრილეში რომ გაეხვეოდა; დახურულ წიგნს, რომლის მთავარი გმირიც უპასუხო სიყვარულს მოეკლა და ხელის გაწვდენაზე დაგდებულ სანიშნეს – ჭრელი ბალახის ღეროს.

– მაშინვე ვთქვი – მგონი, სულაც შენ გითხარი – ბიჭის გამო გაკეთებდა-მეთქი. ისიც ვიცოდი, რომელი ბიჭის გამოც. ორ წელზე მეტია, მაგათ კლასს ვასწავლი. არა, ისეთი არაფერი შემიმჩნევია, აღნიშვნა რომ ღირდეს. მხოლოდ და მხოლოდ ვვარაუდობდი.

– ყველაზე საშინელი მაინც დამრიგებლის სიტყვები იყო.

– ჰო.

– იცი, სტუდენტობისას ერთი ბიჭის ყურადღების მისაქცევად რა გავაკეთე? ხელი მაჯიდან იდაყვამდე ბინტით შევიხვიე, რომ მოსულიყო და ეკითხა, რა მოგივიდაო? რაღაც სისულელეც მქონდა მოფიქრებული, ჩემი წარმოდგენით, დამაჯერებელი და ამაღელვებელი.

– მერე?

– არაფერი უკითხავს. საერთოდ არ გამოუხედავს ჩემკენ.

– ამას მეტისმეტი მოუვიდა. თავის თავზე ასეთი ხმები როგორ გაავრცელა! თანაც იცოდა, რომ კლასელები ისედაც ალმაცერად უყურებდნენ.

– გახსოვს, რას ვაკეთებდით მის ასაკში?

– როცა სახლიდან ყველა წავიდოდა, თვალებზე შავ ფანქარს ვისვამდი ხოლმე და ეგ იყო.

– კარგად გაიხსენე.

ჩუმად მიდიოდნენ. საღამოს სიგრილეც სიამოვნებდათ და ზღვისპირა ქალაქის პატარა სახლების დანახვაც. იმაზე მეტი ახსოვდათ, ვიდრე სურდათ, ვიდრე სწორი პასუხების პოვნისთვის იყო აუცილებელი. ერთს უზარმაზარი საზაფხულო ჩანთა ეკიდა მხარზე, ძირითადად გამოუსადეგარი ნივთებით სავსე, მეორე კი უბრალო, წვრილზონრიან ჩალის ქუდს მარცხენა ხელით მიაქანავებდა.



ლუკა ბაქანიძე

სად ხარ, ლაზარე...

გეგონება, მე მექნას. მე ვმჯდარიყავი იმ თვითმფრინავში და მეყაროს ბომბები. ისე, ამათ კი დავაყრიდი, რომ რამე. ამ ახვრებს. არადა, ხო მეც ვჭამე. თან ახლა ტელეანძის ძირში ვცხოვრობ და სტრატეგიული ობიექტი ვიყავი, მოკლედ. მეც ვჭამე და რო ვჭამე, მაგიტომ ავითესე თბილისის ზღვაზე. წყნარად და კოხტად გავშალე ანკესი და რომ წამომადგა შავად... ადრე მენახა, აეროპორტში, ან სულ ზევით, ცაში. ან ისერა ზევით – ახალაფრენილი თუ დასაფრენი, მაგრამ ასე ახლოს, ზედ თავზე, თან ნელა, როგორც „ვარსკლავთა ომებში", თითქოს ჩამოვარდება საცა�ა, და მე დაბლა ხო ვჭამე და თან ზევიდან პილოტის თვალით რო ჩამოვყურებდი მიწას და წყალს და წყლისპირას – ერთ კინკილა მეთევზეს: ან იმას ახლა რო დიდი ვეგონო და ეს ანკესი – რამე იარაღი და ხაკისფერებიც რო მაცვია, სამხედროსავით, და უცებ რომ რაღაც გაჰყარა ნაპერწკლებივით და თავზე ხელები დავიფარე, მაგრამ ხმა არაფერი და გამოვიხედე და ყრიდა ეგრე ხანდახან ნაპერწკლებს, – თურმე ბომბებს თუ რაკეტებს იქით ირიდებდა, მერე ნეტში ვნახე, რაცაა ეგ ნაპერწკლები, – გადამიარა და მეთქი მორჩა, გადავრჩი, წავიდა ქალაქისკენ და რომ ფეთქაა... აქაც ყოფილა, გორაკზე, რაღაცა სტრატეგიული, მე იმათი. და ამათი. ან სად რუსეთში წავეთრიო. საიმში არ ვარ რუსულის.

ესენი კიდე მიყურებენ ეგრე მგელივით. მასწავლებელიც, ზარიძეა თუ შმარიძე. ვინც წარმადგინა. თან სახელი რო არ თქვა, მარტო გვარი. არც – აი, ახალი მოსწავლე, სანდრო, და გაიცანით ბავშვებო ან რამე ეგეთი, – არა, – დამაყენა ეგრე ნაძვის ხესავით და საზეიმოდ ამბობს: – პეტროვსკი! ამათ გაეცინათ და წინიდან ერთმა, – მეტსახელი გავიგეთო, მას, და ისე რა ქვიაო და ამან, ზარიძემ, – ხოდა, პეტროვსკიაო გვარად და გაისუსა ეგრევე მთელი კლასი. ბოლოს ერთმა, ისევ იმან, – რუსი ხარო, ბიჭო, და რა უნდა ვთქვა, ვდგავარ და ვიღიმები. მინდა ვუთხრა, რომ სანდრო ვარ, სანდრიკა, რუსი არა კვახი, აზრზე არ ვარ რუსულის, და აგერ ზურგჩანთაში მიყრია ოხრად მზესუმზირა, და მოდი ვჭამოთ, და ქერქები ვისაც გინდა, იმას ვაფურთხოთ, მაგრამ ისე მიყურებენ, ხმას ვეღარ ვიღებ. მერე ზარიძემ ვიღაც წამოაგდო ბოლო მერხიდან და ამოვისუნთქე, მოვჯექი ჩემთვის. ამათ კიდევ კისრები ძვრებათ, ხან ერთი მოიხედავს, ხან – მეორე. ზარიძე სიას ათვალიერებს და უცებ, – სადაააო ლაზარე, – ძაან შეშფოთებული სახით კითხულობს და მთელი კლასი აყვა ეგრევე, – ვახ, სადაააო ნეტა ლაზარე, მე იქ ვნახე ბოლოსო, მე – იქო, და სწუხს ყველა, არა მე გავალ მოვძებნი, არა მეო, ერთმანეთს ასწრებენ. ამ დროს შემოიღო კარი და – აგე, მოვიდაო ლაზარე, – მიესია ყველა, სად იყავი, რო არ ჩანდიო. მე ყურადღებას აღარ მაქცევენ და დავისვენე ცოტა, ისე დაძაბული აღარ ვარ. ახლა მარტო ის მაინტერესებს, ეგ ლაზარე ვინ ჩემისაა. ჯერ ბავშვები ეხვევიან გარშემო, ზარიძეც ტუქსავს, – აღარ დააგვიანოო, ოღონდ რაღაც ძალიან ფრთხილად, დათაფლული ხმით. ცოტა ხანში ზარიძის უკან ვარჩევ ვიღაც დიდთავა ბიჭს, რატომღაც მუხლებზე როა დაჩოქილი და ალბათ ეგაა ლაზარე. ამასობაში კლასიც დალაგდა ნელ-ნელა, ზარიძეც მოჯდა დაფასთან და ლაზარეც წამოვიდა მერხებისკენ, მე კიდევ რაღაც ხუმრობა მგონია: ალბათ, ახალი რომ ვარ, გამიჩალიჩეს, – ვფიქრობ, იმიტომ რომ ეგ ლაზარე ისევ ეგრე, დაჩოქილი მოდის თითქოს და ამ დროს ვხედავ, ზედ მუხლებთან ბოტასები აცვია... ფილმებში მინახავს ადრე ასეთები, არც ვიცი, რა ქვიათ, – ლილიპუტი თუ ჯუჯა, ჩვეულებრივი ტანით, ცოტა დიდი თავით და ეგეთი ფეხებით, თითქოს ეგრევე წვივები მიადგეს ზედო, ბარძაყების გარეშეო. წინა მერხზე მიუჯდა ვიღაც გოგოს, და ასე ჩვეულებრივ ბიჭს გავდა, მეცხრეკლასელს, მაგრამ დაბლა, სადაც ფეხები უნდა ყოფილიყო, ცარიელი ადგილი რჩებოდა: სკამზე, ზედ ტრაკთან მოუჩანდა აქედან თეთრი ბოტასები. მოკლედ, საღოლ იმ გოგოს ნერვებს, ვის გვერდითაც იჯდა. და მჯდარა ლაილას გვერდით, პლანეტაზე ყველაზე მაგარი გოგოს გვერდით.

რეკავს ზარი, მაგრამ რატომღაც გარეთ არავინ გადის, თითქოს ელიანო რაღაცას. არც ზარიძე გადის, ფურცლავს თავისთვის ჟურნალს. ავდექი და ვხედავ, ის ტიპიც წამოდგა, რუსი ხარო, რო მკითხა, და მოდის ჩემკენ კევის ღლაჭუნით. გზადაგზა კიდევ ორნი შემოუერთდნენ და მომადგნენ სამივე. გამოდი აბა აქეთო, – იმან, ღლაჭუნამ და მივდექით კუთხეში, ფანჯარასთან. აქ უკვე შემეშინდა და მოვაღე პირი: – რუსი არ ვარ, ფოთიდან გადმოვედი-მეთქი ერთი თვეა, ფოთელი ვარ და სანდრიკა მქვია, პროსტა გვარი მაქვს ეგეთი, მამაჩემი იყო რუსი და შენ რა გგონია, მაგათმა მეც კი დამბომბეს თბილისის ზღვაზე, – თავი მოვიწონე, თან ცალი თვალით ზარიძეს ვუყურებ, გამოიხედოს ერთი და ალაგმოს შარი. ზარიძეც ეგრე, ცალი თვალით გვიყურებს ხანდახან და ისევ თავის ჟურნალებს უკირკიტებს, ხმას არ იღებს. დანარჩენი კლასი ყაყანებს ლაითად, მაგრამ ვგრძნობ, ყველას ჩვენკენ აქვს ყური, არავინ გადის გარეთ. უცებ ღლაჭუნა ამბობს: – რუსების დედა მოვტყან მეო, და სამივე ცოტა უკან იხევს, ჩემს რეაქციას აკვირდებიან და მე რა, მე რომელი პუშკინი მნახეს, ახლა ამათ რომ გავუხურო. ასი წელი ეგრე იყოს მეთქი, – ვეუბნები, და მაშინ აკრიფა მთელმა კლასმა, რუსებს აგინებს ყველა ცოფიანივით, გოგოიან-ბიჭიანად. გავიხედე იმ თესლი ქალისკენ, ზარიძისკენ და სადღაა ზარიძე, გასულა კლასიდან. მეთქი დამერხა ახლა. ამასობაში მოვიდა ახლოს ღლაჭუნა, სახე ლამის სახეზე მომადო და: – რომ გაგინებენ, ხელს რატო არ წევ ბიჭო, სირი ხარო? და მაგრად არ მინდოდა და მეშინოდა, მაგრამ არის ამბავი, როცა, თუ თავიდანვე არ წყვიტე, მერე შეგადგებიან ზედ მთელი ცხოვრება, ჩემთანაც, ჩემკენაც მინახავს ასეთები, გაფუჭებულები და რა მექნა, დავხუჭე თვალები და ვწყვიტე ყბაში სამიდან ერთ-ერთს, ყველაზე ჩუმს და გაუბედავს, მეც მწყვიტეს და რომ წავიქეცი, მაგ დროს დაიკივლა ვიღაც გოგომ, რაღაცნაირად კაპრიზულად, ყველაფერი რომ ისე იქნება, როგორც უნდა, ეგეთი ხმით: – დაანებეთ ეხლავე თავი! და რომ შემომეცალნენ, მერე დავინახე: გოგო კი არა, ლაზარე იყო, ლილიპუტი თუ ჯუჯა, რავიცი. ამის კივილზე ზარიძეც შემოვარდა და გარეთ, კარებთან იდგა და ყურს გვიგდებდა, დავიფიცები რაზეც გინდა. ეგ ახვარი. ეს ახვრები.

– ჯუჯა რა პონტში ხარ? – ვეკითხები ხოლმე ლაზარეს. ლაზარე შემომხედავს დიდი კაცის თვალებით, ჭკვიანი თვალებით და აქეთ მეკითხება: – შენ რა პონტში ხარო პეტროვსკი? იმას არ სწყინს, მე კიდევ ვჭინჭყლობ და მეათასედ ვუსხნი, რომ არ ვარ რუსი, და საერთოდ, თვითმფრინავებამდე და ამ დამპალ ქალაქამდე წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასე სახიფათო იყო რუსობა, არც ჩემთან, ფოთში მერჩოდა ვინმე და ვიყავი ჩვეულებრივად. აქ კი ყოველ დილით სარკეში ვიხედებოდი, მეთქი რით ვგავარ აბა რუსს. მერე მაგათი ფილმებიც ვნახე და მართლა ვმგვანებივარ რაღაცით, და რატო არ დავემსგავსე დედას, ბლიად, – ხოჭოსავით შავია დედა. შე აფერისტო რუსაკო, – მეტყვის ხოლმე ხანდახან ლაზარე. პირველად ეგ რომ მითხრა, დავცხე, მაგრამ ეგრევე ფეხებში შემივარდა და წამაქცია, მე კიდევ, შეხება კი არა, ვერც ვუახლოვდებოდი თავიდან, ისე მეზიზღებოდა, ჯერ ეგეთი ფეხების და უსახსრო ხელის თითების გამო მეზიზღებოდა და მერე, სკოლაში რომ გამომესარჩლა პირველ დღეს, მაგის გამო ვერ ვიტანდი; რა მჭირდა გამოსასარჩლებელი და თან ვისი – ჯუჯის, თუ ლილიპუტის. მაგრად მიტყდებოდა მოკლედ. მაგრამ, თვალები აქვს ლაზარეს ისეთი, – რაც მე არ ვიცი, რაზეც წარმოდგენაც კი არ მაქვს, თითქოს ეს ყველაფერი იცისო ლაზარემ, და მოგიყვებაო ყველაფერს, ოღონდ, როცა შენ გინდა და დაინტერესდები, მარტო მაშინ მოგიყვება, თვითონ არასოდეს დაიწყებს ტვინის ბურღვას, – აი ეგეთი, კეთილი ბაბუას თვალები აქვს ლაზარეს, ბუხრისპირას თავს გადახდენილ ფათერაკებს რომ უყვება პირდაღებულ შვილიშვილებს. არადა, თავიდან მრცხვენოდა ამასთან ძმაკაცობა, სულ თვალებს ვაცეცებდი აქეთ-იქით, ვინმეს ერთად რომ არ დავენახეთ... სკოლა ორივეს გვძულდა: ლაზარეს იმიტომ, სუნთქვას რომ არ აცლიდნენ, – სადაც

გამოჩნდებოდა: ლაზარე მოვიდა, ლაზარე რამე ხო არ გინდა, ლაზარე რამე ხო არ გტკივა, – ავადმყოფი მგონია ხოლმე თავიო, მე ამათი. მე კიდევ, პირიქით: როცა უამისოდ ვარ, ან თავდაცვით პოზიციაში ვარ ან – საერთოდ არ იმჩნევენ ჩემს იქ ყოფნას. კლასში ლაზარე წინა მერხზე ზის და სიის გარეშეც, პირველად ამის ყოფნა-არყოფნას და გუნება-განწყობილებას ამოწმებენ მასწავლებლებიც და ბავშვებიც. მე ბოლო მერხზე ვზივარ და ჩემს გვარს ისე უცებ ჩაიბურტყუნებენ,

ვერც ვამჩნევ. ის ნაბოზარი ზარიძე, დამრიგებელი კიდე საერთოდ გამომტოვებს ხოლმე სიის ჩამოკითხვისას, თითქოს კლასში არ ვიყო... და მთელ სკოლაში, სადაც გავივლი, სულ მესმის ზურგსუკან ლოზუნგები: – რუსებს რაა? დედის ტყვნა! ან – აგე, პუტინი მოდის! აღარც ვუხსნი არავის არაფერს. ვარ და ვიყო, თქვენი დედაც. დაგბომბეთ და კიდე დაგბომბავთ, ბოზებო.

– სულ ტყუილად გიყვარსო ლაილა, – ლაზარე მეუბნება, – ერთი კრეტინი გოგოაო. მეთქი – ნწ, ყველაზე მაგარი გოგოა ლაილა. – მე შენზე დიდხანს ვიცნობ და დამიჯერეო. ქალის თემაზე ლაზარესთან ვერიდები ლაპარაკს, ისედაც ყველა გოგოს ლანძღავს. ერთხელ სახლში დავპატიჟე, ნეტში მუსიკას ვეძებდით და უცებ ამოაგდო რაღაც პორნოსაიტი, ვიღაც ნაშის სველი ძუძუებით. მეთქი – იფ, რა ქალი, თან მოვიხედე და ვხედავ, ლაზარე კანკალებს მთლიანად, სკამს ჩაბღაუჭებული და შუბლზე ოფლი ჩამოსდის წვეთებად. ჰეი, გაგეთავა,

ბიჭო? – გავეხუმრე და ჩაიკეცა კიდეც სკამიდან, ხალიჩაზე დავარდა. გული წაუვიდა ტიპს. არადა, თვითონაც ხომ აქვს ნეტი, და ნეტი თუ აქვს და პორნოს არ უყურებს, რად უნდა საერთოდ ნეტი, რავიცი. მეც ვადგები ხოლმე სახლში. სანამ გავიცნობდი, მართლა მაინტერესებდა, რა პონტში იყო ჯუჯა: რამე ჭირდა თუ უბრალოდ ისეთი იყო, როგორიც იყო. და-ძმა, დედ-მამაც ჯუჯები ყავს, ნეტავ? ჯუჯების ოჯახია თუ მარტო ეს გამოვიდა ჯუჯა. ერთხელ მოვიდა სკოლაში დედამისი. ჩვეულებრივი ქალი გამოდგა, დაუე მაღალი, და რაც მოვიდა, სულ ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც ლაზარეს უხდებოდა ხანდახან, – რემბო რომ პირველ სერიაში ჭრილობას იკერავს ნემსით, ლამის ეგეთი, გამწარებული თუ ნატანჯი. სახლში რომ დავადექი, მამამისიც ჩვეულებრივი ტიპი გამოდგა, რაღაცის პროფესორი, და ლაზარეს უცხოეთში წასული და რომ ვნახე ფოტოებზე, იმას კიდე ნებისმიერი ჩოხოსანი მოიყვანდა ცოლად, სულ რომ უკანასკნელი ბოზი ყოფილიყო: თითქმის ლაილასავით მაგარი გოგო მოკლედ. შენ რა პონტში გამოხვედი-მეთქი ჯუჯა? – ვეკითხები ხოლმე ლაზარეს. ლაზარე იცინის, – შე აფერისტო რუსაკოვო და მეცინება მეც.

რუსები კი ატრაკებენ. ძაან ატრაკებენ. ხან რა ინფო ვარდება ნეტში, ხან რა, და მე ვეხვეწები დედაჩემს: გადავიდეთ სადმე და შენ გვარზე გადმოვალ-მეთქი. ახლახანს გადმოვედითო, აცადე და გაჩერდებიანო, – დედა ამბობს. არადა, სულ უფრო და უფრო მეტ შარს ვაწყდები სკოლაში. კიდევ ვიღაცა ყოფილა, გოგო, მეთერთმეტეკლასელი შელესტოვა, და – ხან ჩანთას უგდებდნენ ფანჯრიდან გოგოები, ხან მობილს უმალავდნენო, – ლაზარემ. წასულა რუსეთში, მე კი სად ჯანდაბაში უნდა წავიდე და ვაცდენ და ვაცდენ ოხრად გაკვეთილებს. ლაზარეც თან დამყვება. ერთხელ სამასწავლებლოსთან ჩავიარე და ზარიძე ამბობდა: – სუფთა გოგოლის მკვდარი სულები არიანო ეგ ორნი, და აღარ ვუთხარი მერე ლაზარეს. წავიკითხო ერთი გოგოლი, ეგ ჩემისა, და მერე ვეტყვი, თორემ ამას, ლაზარეს, წაკითხული ექნება უეჭველი. წიგნებით აქვთ გამოტენილი მთელი სახლი და კითხულობს ყველა დედაწულიანად.

– რა მაგარი სახელი გქვია, ლაილა! – ვუღიმი და უცებ კევი მივარდება პირიდან. არადა, ნათქვამი აქვს ლაზარეს, ლეილა რომ ქვია სინამდვილეში. თურმე, სახელი ეგოიმება და მაგიტომ დაირქვა ლაილა. ლაილა-ლაილა. ერთი მერე ჩუმად ფოტო უნდა გადავუღო და დავანძრიო. ვაიმე, მადლობაა! – მიწელავს ლაილა და კვდება სიცილით. არა უშავს, კიდე მაქ კევი, – ვბურტყუნებ დებილივით და ის საერთოდ ბუირდება. კეთილ ადამიანებს უყვართ, ზოგადად, სიცილი, – ვამართლებ მერე ლაზარესთან. გამომივიდნენ ტომი და ბეკი! – ქირქილებს ლაზარე, – კეთილი კიდე მარტო მაშინ გახდება, თუ ბოლო მოდელის მობილურს აჩუქებ. ხოო? – დავფიქრდი. – ხო. გეზასავება მერე. ეგრე შვრება ხოლმე. მოკლედ, უეჭველი შურს

ლაზარეს, მე რო ჯუჯა არ ვარ და ქალის დაკერვა ვიცი და მაგიტომ ენამწარობს, არაუშავს. ისე, მერე ამას ჯუჯების პორნო უნდა ვანახო, იქნებ ეგ მაინც გაუსწორდეს. იმ დღეს ნეტში მოვძებნე და ვარწყიე კინაღამ.

– ეი, პუტინ, წამოხვალ სტადიონზე? – ღლაჭუნა მეუბნება. ზედ სკოლასთან შემხვდნენ ეგ და მაგის ბრიგადა, ჩემი კლასელები. ეჰეი, სად ხარ ლაზარე. აღსდექი მკვდრეთით, თორემ დამერხა. მივიხედ-მოვიხედე. აღარ გყავს შენი ჯუჯა? – მიმიხვდა ღლაჭუნა. – იქნებ სხვა ფიფქია იშოვა და შენთვის აღარ ცალია, ჰა? ლაზარეს ზურგ-სუკან როგორ კაიფობენ ახვრები. არადა, ისე სულ ზედ ევლებიან. არ მიყვარს ფეხბურთი, – ვუთხარი და გზა გავაგრძელე. ხო ვამბობ, ეგენი გეები არიან-მეთქი, ეს მართლა მკვდარი სულები! – ზიზღით გააფურთხა ღლაჭუნამ და შეტრიალდა. ზარიძე მარტო სამას-წავლებლოში არ ოხუნჯობს, მაშასადამე. ეგ თესლი. ეს თესლები. წავედით, მოვდივარ! – ვთქვი. დღეს ჟოპასტენკას ვთამაშობთ, – ხელებს იფშვნეტს ღლაჭუნა. ჯერ ფეხბურთი რაა და მერე ეს დე-ბილი თამაში; აეკარი კედელს და გირახუნებენ სიფათში ბურთებს. მაგრამ, არა უშავს, ამათგან რომელიმეს ხო მივასხმევინებ კედელზე თავს ბურთით. ერთს ხო მაინც გავარტყავ, შანსი არაა… მე რომ აღმოვჩნდი მარტო კედელთან, მერეღა მივხვდი, რო მიჩალიჩებდ-ნენ. ჰეი, ლაზარე, აღსდექი რა მკვდრეთით, შეჩემა. ის ტიპი, ჩუმი, მე რო ვწყვიტე პირველივე დღეს, თურმე სერიოზული ფეხბურთელია. ერთი ბურთი ამაცილა და მეორე ჯერზე ზურგში გამარტყა, გვერ-დით, ნეკნებში. სუნთქვა შემეკრა. თქვენი დედა მოვტყან! – მოვას-წარი და წამცხო ეგრევე სამივემ. თუ ოთხივემ.

– ჯერ, რუსი რომ ხარ, მაგიტომ. მერე – სხვაქალაქელი რომ ხარ. არც ამუბნელი და არც სხვაუბნელი. მაშასადამე, არ ექვემდებარები ერთგვარ შიფრს თუ პაროლს, საკვანძო კითხვა-კოდს: „რა უბნელი ხარ?“ არადა, ამ კითხვის ქვეშაა მთელი ქვეყანა, მთელი პოლიტიკა, მთელი მწერლობა, ხელოვნება, რელიგია და საერთოდ, ყველა-ფერი ამ კითხვაშია მოქცეული: ზოგად-ეროვნული, ტოტალური ლოკალის აღმნიშვნელი ფრაზა. მთელი ქართული ყოფის ფონი თუ რეფრენი. ქრონიკული წყევლა. საქართველოს უახლესი ისტორია, სამ სიტყვაში მოქცეული... თან კიდევ, ეს რუსული გვარი. ასეთ დროს. ვინ გაპატიებს, ვინ შეგარჩენს... – ბურტყუნებს თავისთვის ლაზარეს მამა, თან ფინგალებზე ცივი წყლის საფენებს მიცვლის. ამანაც რომ გაახურა, ბლიად. არაა რუსი, გვარი აქვს მარტო ეგეთი, – უხსნის მეორე ოთახიდან ლაზარე. სიცხე აქვს და წევს, გარეთ ვერ გამოდის. მერე, გვარია ყველაფერი, – აგრძელებს ლაზარეს მამა. – ფუნდამენტი. ქვეცნობიერში დაგროვილი გენური ბალასტი. საკუთარი გვარის რატომ უნდა გეშინოდეს, საკუთარი თავი რატომ უნდა უარყო და დამალო მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობენ ერთი მუჭა ნაძირალა ადამიანები, რომლებიც ანგრევენ და ანადგურებენ, აფეთქებენ და წვავენ, – როცა არაფერი გაქვს მათთან საერთო, როცა ჯერ მხოლოდ მოზარდი ხარ, და მხოლოდ სიცოცხლე გიყვარს და გინდა. ადამიანებთან, თანატოლებთან მეგობრობა გიყვარს და გინდა, რუსი იქნება, ზანგი თუ ებრაელი... და ამ დროს მთელი ქვეყანა, მთელი ერი, ბერი თუ საგანმანათლებლო სისტემა გაყალი-ბებს და გზრდის პოტენციურ ქსენოფობად, პოტენციურ ჰომო-ფობად... – ლაზარეს ოთახს გახედა და ჩუმად დაამატა: – ძალით თავსმოხვეული სათნოება და კეთილმოსურნეობა, უკიდურესად ხაზგასმული ყურადღება და ზრუნვა, თითქოს სასიკვდილოდ გადა-დებული ავადმყოფი იყო, – ეს სიკეთეც ხომ გულისამრევია, ხომ იმის მინიშნებაა, რომ გჭირს რაღაც, რომ სხვა ხარ, რომ მათ არ გავხარ, – ჰომოფობიის ყველაზე საშინელი, ფარული ფორმა... მომბეზრდა და გავაწყვეტინე: – ასე რომ გარეთ გავიდე, სახეზე ძაან მეტყობა რამე? არა უშავს, ვითომ რინგზე იყავი, – მიღიმის და თავზე ხელს მისვამს. ამ ბებრებმა რო იდიოტური ხუმრობა იციან, ნუ იტყვი.

– ლაილა, იცი, მე კლაუსტროფობია მჭირს, ოღონდ არავის უთხრა, – ვეუბნები. გოგო როცა გიყვარს, გულწრფელი უნდა იყო და იმაზე ელაპარაკო, რაც ყველაზე ძალიან გაწუხებსო, – ნეტში წავიკითხე ვიღაც ნიუ-იორკელი ჟიგოლოს დღიურები და ახლა ლაილაზე ვტესტავ. ეგ ისაა ხო, ჩაკეტილ ოთახში რო ვერ ძლებენ, – ჩაფიქრ-და ლაილა. მე გამიხარდა: – კი, ლაილა, ეგაა! ვერც ლიფტში და ეგეთ ადგილებში; ბავშვობაში ლიფტში გავიჭედე ვიღაც ეპილეფ-ტიკ ძიაკაცთან ერთად და მაგის მერე მჭირს, – დავამატე რიხი-ანად. ლაილამ თანაგრძნობით შემომხედა: – ვაიმეე, რა ცოდო ხარ, სანდრიიკ! ვახ, გვარით არ მომმართა სხვებივით. სახელი დამიძახა. აი, მესმის ინტიმი! ამიდგა. მგონი, შევუყვარდი ლაილას! – მივახარე ლაზარეს. – რა აჩუქე რო ამისთანა? – ჩაეცინა. არაფე-რიც არ ვაჩუქე, ისე შევუყვარდი, – მეწყინა. ეს შურიანი განდონი ჯუჯა. თესლი გოგოა ეგ შენი ლაილა, და კრეტინი! – რაღაც ძაან ბოროტად თქვა ლაზარემ. ეჰაა. ერთ მერხზე ხო ზიან. თან, კაი ხანია კლასელები არიან. ამასაც ხომ არ უყვარს, ნეტავ... უცებ წარმოვიდგინე, როგორ ანძრევს ლაილას ფოტოზე ეს მახინჯი, და ტანში გამაჟრიალა. შენი ჯუჯა დედა მოვტყან! – დავუღრი-ალე ბოლო ხმაზე, ყბაში ვწყვიტე და თავდასაცავად მოვემზადე, რო მაშინდელივით ფეხებში არ შემვარდნოდა და არ წავექციე, მაგრამ არც განძრეულა და არც ხმა გაუღია. შემომხედა, რემბო რო პირველ სერიაში ჭრილობას იკერავს, ეგეთი, საგვარეულო თვალებით, გატრიალდა და წავიდა.

იმიტომ ასწორებდა ფოთი. ზღვა. რამე გეწყინება, რაღაც ისე ვერაა და მოისროლე ანკესი და მორჩა, – ერთი ლიფსიტა ბარა-ბულის ჩარტყმაც აზრზე მოგიყვანს წამში, სტავრიდა-კეფალებზე

რომ არაფერი ვთქვათ. ეგ ერთი კაი რამე კი მასწავლა მამაჩემმა, სანამ გაქრებოდა სადღაც. ვზივარ თბილისის ზღვაზე და ვთევზაობ. ოღონდ, რუსებმა რო დამბომბეს, მაგ მხარეს კი არა – აქეთ, პლაჟზე. შემოდგომაზე ჩემსკენ გახურებული სათევზაო სეზონია ახლა, აქ კიდე ჩემი ფეხები. თან კაციშვილი არაა. ქარია. ზურგსუკან, გორაკზე შეფენილ ფიჭვნარში უნთიათ მარტო ცეცხლი ვიღაცეებს. კვამლის სუნი და მძიმე როკის ხმა მოაქვს ჩემთან ქარს; მაგნიტოფონით ან ცენტრით არიან, ალბათ. ალბათ, ეგენიც ყვირიან: რუსებს რაა? დედის ტყვნა! ხო მთელი სკოლა მაგას ყვირის, მთელი ქვეყანა. მთელი პლანეტა. მთელი გალაქტიკა. ყველა კედელზე ეგ წერია. ყველა პლაკატზე. მე კიდე რუსი გამოვდექი. ჩემიანებმა დაბომბეს აქაურობა და მე მაგინებს სუყველა, იმიტომ, რომ მტერი ვარ... მაგრამ, ხო მეც, მეც ვჭამე მაშინ თბილისის ზღვაზე, აქ – ხო მეც დამიშვეს იმ ნაბოზრებმა! ვერაფერი გავიგე, მოკლედ. კიდევ კარგი, ლაილას მოვწონვარ, ლაილა-ლაილას.

და ისევ ვარწყევ. ამ დროს წინ, შარაზე, აყენებს ჯიპი, იქიდან ღიპიანი მასტი გადმოდის, ხელში ყუთით, შიგ ცეცხლში შემოდის და ყვირის ბაზრის გამყიდველივით: – აბა დავაი, დავაი, დროზე, ნახეთ თუ ვარგა! თან აქეთ-იქით იყურება, ყუთს აჯანჯღარებს და ყუთი კნავის რატომღაც. ვიღაცამ ჩახედა და დანარჩენები ეკითხებიან: – შავია? შავია. – ეს პასუხობს. კნუტია? – არა, არაა კნუტი. სხვა არ ქონდათ, – პიჯაკიანი უხსნის და ისევ თვალებს აცეცებს. – ეგეც წავა, ფული მიეცით, – ლაილასავით მაგარი გოგოს ხმა ლივლივებს კვამლში და ჯიპი მიდის. მე ყუთში ვიხედები და იქიდან მიყურებს დიდი, ყვითელი, შეშინებული თვალები. ფიშო ფიშო, კარგო ფიშო, ნუ გეშინია, – შიგნით თითს ვყოფ და ვცდილობ მოვეფერო. მიყვარს კატები. – ამოვიყვანო? ყუთში ცოდოა, – და გარშემო ისე ბჟირდებიან, სულს ძლივს იბრუნებენ. ჯერ მანდ იყოს, შეგვეჩვიოს, თორე გაგვექცევა, – ლაილასავით მაგარი გოგოც თითს ყოფს შიგნით, დანარჩენებიც ბაძავენ: –

რეკავს ზარი, მაგრამ რატომღაც გარეთ არავინ გადის, თითქოს ელიანო რაღაცას. არც ზარიძე გადის, ფურცლავს თავისთვის ჟურნალს. ავდექი და ვხედავ, ის ტიპიც წამოდგა, რუსი ხარო, რო მკითხა, და მოდის ჩემკენ კევის ღლაჯუნით. გზადაგზა კიდევ ორნი შემოუერთდნენ და მომადგნენ სამივე...

გაქვს სიგარეტი? – ვიღაც ტიპი მეკითხება, გრძელთმიანი. თავი გავიქნიე, – ნწ, არა, არ ვეწევი. სპორტსმენი ხარ, ბიჭო? – გაეცინა, მაგრამ ეს „ბიჭო“ ისე არა, როგორც სკოლაში, ნემსივით. თან, ეს უფროსია. შარის სუნი არ მცემს, მაგრამ მაინც ვაჯახე ჩემი სტატუსი: – სპორტსმენი არ ვარ, რუსი ვარ, რუსაკი! ტიპმა ყურადღებით შემათვალიერა და მეუბნება: – ამოხვალ ცეცხლთან? ქარია. გაიყინები შორტებში. ცეცხლთან სხვა გრძელთმიანი და შავებში ჩაცმული მასტები ზიან, ჩემზე უფროსები, და ერთი გოგო, თითქმის ლაილა – ისეთი მაგარი გოგო, ოღონდ დიდი, – ქალი, პრინციპში, – მაწვდის ბოთლს და მეუბნება ხავერდოვანი, ჩამბალი ხმით: – მოსვი! და ვსვამ. ვსვამ. მერე ვარწყევ და მერე კიდე ვსვამ. ცეცხლის ტკაცუნში, კვამლში, მივჩერებივარ ლაილასავით მაგარი ქალის სახეს. მერე სახე ქრება და გარშემო იცინიან ნაგიჟრებივით. უცებ ცეცხლიდან გამოდის ხელი, სახეზე მეფერება და ვიღაცა ამბობს, როგორც ტელევიზორში, რეკლამებში ამბობენ ხოლმე, ეგეთი ხმით: – პრობლემები გაქვს, ბიჭუნი? პრობლემებს ღმერთი ქმნის, ღმერთი გაწვალებს, ჰოდა, შენც ადექი და შეიძულე! რამეთუ მხოლოდ სიძულვილშია ძალა, სხვა ყველაფერი მონობაა და სიბეჩავე! ალბათ, ცენტრიდან ისმის... ფისო-ფისო! – ეფერებიან, თან იგუდებიან სიცილით. ყველაფერი ხუთიანზეა, კაი ხალხი ჩანს, მაგრამ ცოტა მეშინია რატომღაც და ისევ არყის ბოთლს ვეძებ. ვსვავ და აღარ ვარწყევ. ესენი ახლა წკნელებს უჩხიკინებენ ყუთს, კატა კნავის და ვბრაზდები: – ეეე, ეგრე არა, რა პონტია. – ვბლუკუნებ და ვცდილობ, ყუთს თავსახური ავხადო. ცეცხლიდან ისევ გამოდის ხელი, ხელზე მიჭერს მაგრად, კვამლისკენ მექაჩება და თვალები მეწვის, ცრემლს მაყრევინებს კვამლი, ჩემი ხელი კიდევ რაღაც რბილს ეხება. მოგწონს? – მეკითხება ლაილასავით მაგარი გოგო და ვხვდები, რომ ჩემს ხელს შიშველ მკერდზე ისვამს. მიდგება. შეხედვა მინდა და ვერ ვხედავ, ცრემლით მაქვს თვალები სავსე. გინდა, სხვაგანაც? – ისევ მეკითხება შემპარავად. თავს ვუქნევ. უცებ ხელში მხვდება რაღაც ბალნიანი და ლაილასავით გოგო მბრძანებლურად ამბობს: – არ გაუშვა! ეგრე გეჭიროს! კვამლში თვალს ძლივს ვახელ და ვხედავ, ყუთიდან გამოჩრილი კატის კუდი ჩამიბღუჯავს მაგრად ხელში, გარშემო კი იცინიან კრეტინებივით. თქვენ შიგ ხომ არა გაქვთ, ხალხო, – ნაძალადევად ვიღრიჭები, – რას მიჩალიჩებთ, ვითომ! ამ დროს მეორემ, ვინც თავიდან სიგარეტი მთხოვა, დანა მომაჩეჩა მეორე ხელში, ყველა გაისუსა, მუსიკაც მოტეხეს და გავიგე კატის დაგუდული, გაბრაზებული ბღუილი. და ლაილასავით მაგარმა ქალმა თქვა: – დამიჯერე!

კვამლის სუნით ვყარვარ და თავი მისკდება. ესე იგი, გუშინ რაც იყო, მთლა სიზმარიც არ ყოფილა. ძაან მურტალი სიზმარი. არადა, ხომ შანსი არაა, რომ სიზმარი არ ყოფილიყო. ცხოვრებაში პირველად დავთვერი. თან არაყი. ფუ მაგის. სად ხარ ლაზარე, სად დაიკარგე… პირდაპირ, მტკიცე ნაბიჯით მივდივარ სკოლაში. უკანა შესასვლელს ვუახლოვდები, სტადიონის მხრიდან. აქაა იმ პროჭების ბირჟა. აქ ეწევიან სიგარეტს და კარტს თამაშობენ, მაგრამ მკიდია. შევალ ახლა, მივაჭრი ლაილასთან და ვეტყვი, რომ მიყვარს. ძაან მიყვარს. და მერე ლაზარეს მოვუხდი ბოდიშს, ჩემს ძმას და მეგობარს, და ჩავიხუტებ: ასე მგონია, ყველაფერი ის რომ გავაკეთო, რისი გაკეთებაც მაგრად მრცხვენია და მეშინია, რასაც სხვა დროს ასი წელი ვერ გავაკეთებდი, – ჩამოვირეცხავ, მოუსავლეთში გადავკარგავ გუშინდელ დღეს, გუშინდელ ახვრულ სიზმარს. კამეჩივით თავდაღერილი მივადექი ბირჟას სტადიონთან, უკანა შესასვლელთან და ეგრევე წამოხტნენ, წინ გადამიდგნენ. ჰეი, პუტინ, საით მიგეჩქარება? მოდი, ჯერ კარტი მოვცხოთ მე და შენ, – მთავაზობს ღლაჭუნა. არ მევასება კარტი! – ვეუბნები დერსკად და თვალებში ვუყურებ. ვახ, შენ რა არაფერი გევასება, ტო! – იცინის. – აბა, ლოტოს თამაშობდი შენთან, რუსეთში? თუ თქვენ მარტო ბომბების სროლა გევასებათ, ჰა? კი, ბომბები გვევასება და კიდე დაგბომბავთ, სუყველას დედებს მოგიტყნავთ, თქვე ნაბიჭვარო გრუზინებო! – ვეუბნები და ვგრძნობ, როგორ მომეშვა გულზე, ძალა მომეცა. ისე საკაიფოდ ვარ, სულ აღარ მაინტერესებს, ახლა მაგრად რომ მომხვდება. ვიღიმები. მტერი ვარ და ვიყო მტერი, ამის დედაც. მშვენიერი ყოფილა, როცა მტერი ხარ. ესენი კი არ მირტყამენ რატომღაც, ერთმანეთს უყურებენ და ძაან ჩათლახურად იღიმებიან. კაი, პეტროვსკი, ეგრე იყოს, – ბედს დამორჩილებული კაცივით, წყნარად თქვა ღლაჭუნამ, სიგარეტი გადააგდო და წამში მეცა ყველა ერთად. ოღონდ, არ მირტყამენ. ხელები გამიკავეს და სადღაც მივყავართ. ერთი ხოშიანი წიხლი გავიქნიე, ვიღაცას ვწყვიტე და მაშინ წამაქციეს და ეგრე წამათრიეს, ტომარასავით. სტადიონზე გადამახოხიალეს და იქვე, დაკეტილ თუ მიტოვებულ მანქანების სახელოსნოსთან – ბოქსებთან გაჩერდნენ. მუხლები ამეწვა. გადამეყვლიფა. გამიშვით, ბოზებო! – ვყიყინებ. ყელში ბურთი მაქვს გაჩხერილი და ძლივს ამომდის ხმა, თან, თვალებს სწრაფად ვახამხამებ, ცრემლები რო დავმალო. იმ პილოტად გადამაქცია ახლა, და ის თვითმფრინავი მომცა, მე ამათი. გაგიშვებთ, პუტინ, აბა რას ვიზამთ, – კეთილად ამბობს ღლაჭუნა, – მაგრამ, ჩიტმა ამბავი მოგვიტანა, კლაუსტროფობია ჭირსო, და ჯერ უნდა შეგამოწმოთ! და უცებ რაღაც ორმოში გადამიშვეს, ვიწროში და მართკუთხედში – მანქანებს რომ შემოაყენებენ ხოლმე და ქვეშიდან არემონტებენ, – იმ ორმოში. მერე იქვე მიგდებული, სტადიონის ძველი და ჟანგიანი, უზარმაზარი ჭიშკარი გადმოათრიეს შუსტრად და ორმოს დაამხეს. დაბნელდა.

სად ხარ, სად ხარ… აღსდექი რა მკვდრეთით, ლაზარე, ძმაო ჩემო, თორემ მოვკვდები, არ შეიძლება ჩემი აქ ყოფნა. შენ ხომ არ იცი, როგორია, როდესაც შვიდი წლის ხარ, და გაჭედილ ლიფტში, სიბნელეში, ნახევარი საათი კედლებს ეხლები, ხელიდან რომ დაუსხლტე შარდის და ოფლის სუნით აქოთებულ, დაპანიკებულ ბებერ ნაბიჭვარს, ჯერ ლიფტის კარებს რომ კაწრავს, ისე ხმამაღლა კაწრავს, თითქოს რკინის ფრჩხილები ქონდეს და მერე შენც რომ მოგიხელთებს, თან ღრიალებს და მერე ძირს, იატაკზე ვარდება, ისე, რომ ხელს არ გიშვებს და ძაგძაგებს, ძაგძაგებს, როგორც ტრაქტორის მოტორი, და ხავის და ბღავის ისეთ ხმაზე, მიმსგავსებულიც რომ არაფერი მოგისმენია ცხოვრებაში არასოდეს და არსად, და ლიფტის შახტაც რომ აორმაგებს და საზარელ ექოებად გაყრის და გამხობს თავზე უსაშველო შიშს, იმიტომ, რომ შვიდი წლის ბავშვი ხარ, იმიტომ, რომ ცხოვრებაში პირველად წააწყდი ეპილეფსიის შეტევას, თან სიბნელეში, გაჭედილ ლიფტში… და აქაც ხომ ბნელა. აქაც ხომ ლიფტია. და ზემოდან, თუჯის ჭიშკარზე, აქაც ხომ ბღავის და ბრაგუნობს მთელი ეს ახვარი სკოლა, თავისი წაკლა, ჩამშვები ლაილიანად. მთელი პლანეტა, მთელი ეს დედამოტყნული სამყარო ყმუის და ხარხარებს ჩემს თავზემოთ. მე კიდევ, ვუსმენ, ოფლში და ცრემლში აზელილი, და სადღაც შორს, უკან მიმათრევს შიში, ბავშვობაში, ლიფტის შახტებში. მორევს ჩაყოლილი მოცურავესავით ვიქნევ ხელებს სიბნელეში, რომ არ წამიყოლოს, რომ მოვეჭიდო რამეს… და უცებ საიდანღაც, კვამლიდან მესმის: – არ გაუშვა! ეგრე გეჭიროს! და მთელი სიცხადით შევიგრძნობ ხელში კატის კუდს, და მეორე ხელში დანას. ისევ გაუბედავად, ბურანში მყოფივით ვუსმევ დანას კუდზე, ყუთის კიდესთან. შიგნით კატა ჩხავის და ფართხალებს, მე კიდევ ნელ-ნელა ეშხში შევდივარ და ვუსმევ და ვუსმევ ბირდაბირივით, სანამ ყუთი განავლის სუნს არ აუშვებს, და კატის გაშვლეპილი, სისხლიანი კუდი არ შემრჩება ხელში…

მშვიდად, თავისუფლად ვსუნთქავ. ვზივარ სიბნელეში და ველოდები. ველოდები იმათ – იქ, ზევით. ჭიშკარი ოდნავ გადახოხდა და დღის შუქი ჩამოიჭრა. თვალებს ვიჩრდილავ. აქ ხარ, პეტროვსკი? სად ხარ, პეტროვსკი… – ჩურჩულებს ლაზარე. ავყურებ ლაზარეს სილუეტს და ცოტა ხანში საკუთარი ხმა მესმის, უცხო და შემპარავი ხმა: – პრობლემები გაქვს, ბიჭუნი?

მაია ინასარიძე

აღმოჩენის გზით სწავლება — პასუხი თანამედროვე გამოწვევებზე

ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად საგანმანათლებლო პრინციპად აღიარებულია, რომ სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას, უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (ესგ, მუხლი 9.). ამ პრინციპების განხორციელება საქართველოში მასწავლებლებს ავალდებულებს, გამოიყენონ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, შესაბამისი აქტივობების საშუალებით განუვითარონ მოსწავლეებს ამ მიდგომით გათვალისწინებული უნარ-ჩვევები და ჩამოუყალიბონ სწავლის მიმართ დადებითი განწყობა-დამოკიდებულება.

ყველასათვის ცნობილია, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის თეორიული საყრდენი კონსტრუქტივიზმია. კონსტრუქტივიზმი აღიარებს მოსწავლის არსებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მნიშვნელობას ახალი ცოდნის შექმნის პროცესში, მასწავლებელი კი, ადგენს რა მოსწავლის საჭიროებებს, ინდივიდუალურ თავისებურებებს, მონიტორინგს უწევს ამ პროცესს და ხელს უწყობს მოსწავლეთა არა მარტო შემეცნებით, არამედ პიროვნულ განვითარებასაც.

კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წარმომადგენელი ჯეიმს ბრუნერია, რომლის შესახებაც არაერთხელ დაიწერა თუნდაც ჩვენს ელექტრონულ ჟურნალში (მაგალითად, იხ. მარინე ჯაფარიძე, ჯერომ ბრუნერი. აქტიური პრაქტიკული გამოცდილების როლი სწავლის პროცესში, ჟურნალი maswavlebeli.ge, 3 ნოემბერი, 2014).

„შეიძლება თუ არა, ასე მოვიქცეთ და იქნება თუ არა მართებული, ბავშვებს თავდაპირველად მივაწოდოთ მინიმალური ინფორმაცია და აღვუძრათ მათ ისეთი ცნობისმოყვარეობა, რომ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით თვითონვე გამოიტანონ დასკვნების მაქსიმუმი?“ – სვამს ბრუნერი კითხვას და თავადვე გვაძლევს პასუხს. მისი აზრით, ნებისმიერი საგნის დაუფლება მოიცავს სამ ეტაპს, რომლებიც თითქმის ერთდროულად მიმდინარეობს: ეს არის 1. ახალი ინფორმაციის მიღება, რომელიც უპირისპირდება ან აზუსტებს (ავსებს) იმ ცოდნას, რომელიც მოსწავლეს მანამდე ჰქონდა; 2. ცოდნის ტრანსფორმაცია, როდესაც მოსწავლე ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გარდაქმნის არსებულ ცოდნას და იყენებს მას ახალი ამოცანების გადასაჭრელად და 3. შემოწმების პროცესი, როცა მოსწავლე ამოწმებს გამოტანილ დასკვნებს, უსვამს საკუთარ თავს კითხვებს ახალმიღებული ცოდნის გასააზრებლად. ასეთ პროცესში მასწავლებლის დანიშნულება, ერთი მხრივ, სწავლისთვის ისეთი პირობების შექმნაა, რომელიც ხელს შეუწყობს აღმოჩენას, მეორე მხრივ კი აღმოჩენის პროცესის გონივრული მართვა.

სტატიაში შევეცდებით, გაგიზიაროთ პრაქტიკული გამოცდილება, როგორ შეიძლება მარტივად და განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე ვაქციოთ სწავლა აღმოჩენად და დავაკმაყოფილოთ მოსწავლეების ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა და ინტერესი, ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის სურვილი.

ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური პრაქტიკიდან ბევრი რამ მაქვს

ყველასათვის ცნობილია, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის თეორიული საყრდენი კონსტრუქტივიზმია. კონსტრუქტივიზმი აღიარებს მოსწავლის არსებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მნიშვნელობას ახალი ცოდნის შექმნის პროცესში, მასწავლებელი კი, ადგენს რა მოსწავლის საჭიროებებს, ინდივიდუალურ თავისებურებებს, მონიტორინგს უწევს ამ პროცესს და ხელს უწყობს მოსწავლეთა არა მარტო შემეცნებით, არამედ პიროვნულ განვითარებასაც.

გასახსენებელი. ერთ-ერთი ის მეხუთე კლასია, რომელშიც პირველად მომიწია შესვლა (დიდხანს მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან მიწევდა ურთიერთობა). ახლაც მახსოვს მეხუთეკლასელების გაკვირვებული მზერა, როცა კლასში დიდი ფორმატის ფურცელი შევიტანე წარწერით – „ჩვენი აღმოჩენები“ და ვუთხარი, ჩვენ ყოველ გაკვეთილზე რაღაცას აღმოვაჩენთ და ასეთი ბევრი ფურცელი დაგვჭირდება-მეთქი.

მაშ ასე, აღმოჩენა პირველი. სწორედ იმ დღეს ხალხურ ლექსს „მუმლი მუხასაო“ უნდა გასცნობოდნენ. ლექსის წაკითხვის შემდეგ ვკითხე, იცოდნენ თუ არა, რა არის მუმლი. მოსწავლეებმა ადვილად გასცეს პასუხი (ამოიკითხეს ლექსიკონიდან), ქინქლაო. შემდეგი კითხვის დრო დადგა:

- თუ მუმლი და ქინქლა ერთი და იგივეა, რატომ გამოიყენა ქართველმა კაცმა ლექსში მუმლი და არა ქინქლა?

ხანმოკლე საერთო სიჩუმის შემდეგ ერთი-ორმა წამოიძახა:

- იმიტომ, რომ ასე უფრო ლამაზია. უფრო მუსიკალურია.

ახლა შემდეგი შეკითხვის დროც დადგა:

- რატომ არის უფრო ლამაზი და მუსიკალური?
- იმიტომ, რომ ბევრი „მ“ გროვდება.
- ესეც თქვენი პირველი აღმოჩენა, რომელიც შეგვიძლია ფურცელზე დავწეროთ. შევეცადოთ, წესად ჩამოვაყალიბოთ.

რამდენიმე ვერსიის განხილვის შემდეგ „ჩვენი აღმოჩენების“ ქვეშ ასეთი წესი გაჩნდა: ერთი და იმავე ბგერების გამეორება ლექსს უფრო ლამაზსა და მუსიკალურს ხდის. ამის დასტურად რამდენიმე მაგალითი მივაწოდე მხოლოდ (მეხუთეკლასელებისათვის ალიტერაციის განმარტება ჯერ ნაადრევად მივიჩნიე, მაგრამ ამისათვის ისინი უკვე მომზადებულები იქნებიან შემდეგ კლასებში). მთავარი ის დადებითი მუხტი იყო, ის კმაყოფილების განცდა, რომელიც აღმოჩენით მოგვრილმა სიხარულმა და სიამაყემ ერთდროულად აღძრა მოსწავლეებში. აი, რატომ აღვნიშნეთ ზემოთ, რომ შემეცნებითთან ერთად აღმოჩენის გზით სწავლება პიროვნულ განვითარებასაც უწყობს ხელს. საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, მოლოდინი იმისა, რომ ნებისმიერს შეუძლია არსებული ცოდნისა და გამოცდილების, ინტუიციის საფუძველზე რაღაც ახალი აღმოაჩინოს, ზრდის მოტივაციას, ამაღლებს თვითშეფასებას.

ამის შემდეგ ჩემი მეხუთეკლასელები ინტერესითა და ხალისით ელოდნენ ყოველ გაკვეთილს, რათა რაღაც ახალი (თუნდაც უკვე მრავალგზის აღმოჩენილი) აღმოეჩინათ. მალე შეივსო ფორმატის ფურცელი, ერთი, მეორე...

ერთსაც გავიხსენებ. ახლა ხშირად გვესმის საყვედური: გრამატიკის სწავლება გაქრა ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამიდანო. მე თუ მკითხავთ, გრამატიკული წესების დასწავლასა და მოსაწყენად ერთფეროვან სავარჯიშოებზე, დიახაც, უნდა გვეთქვა უარი, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი გზების ძიებას მასზე საერთოდ უარის თქმა სჯობს, ასე უფრო ადვილია. იმის ნაცვლად, რომ ფუნქციური გრამატიკის სწავლების გზები და საშუალებები მოგვეძებნა, მოსწავლეთა მშობლიური ენის ფლობის არსებული დონე გამოგვეყენებინა გრამატიკული წესებისა და კანონების აღმოსაჩენად, ქართული ენის ბუნებისა და შესაძლებლობების გასააზრებლად, მართლწერისა და მართლმეტყველების ძირითადი ნორმების დასაუფლებლად, გრამატიკა საერთოდ გავაქრეთ სასწავლო პროგრამიდან.

მახსოვს, ერთხელ გაკვეთილზე ტესტური დავალებები შევიტანე კუმშვისა და კვეცის მართებულად გამოყენების წესების აღმოსაჩენად. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა ჩასვეს გამოტოვებული სიტყვები სწორი ფორმით, ვთხოვე, წყვილებს ერთმანეთის ნამუშევრები შეესწორებინათ და სადავო საკითხები ერთობლივად განგვეხილა (შესადარებლად და საკუთარი შეცდომების დასადგენად თავად შევთავაზე სწორი პასუხები). ამის შემდეგ ვთხოვე, სწორი პასუხები გადაეტანათ ცხრილში. საბოლოოდ ცხრილმა ასეთი სახე მიიღო:

ა-ზე დამთავრებული სახელები, რომლებიც იკვეცება	ა-ზე დამთავრებული სახელები, რომლებიც არ იკვეცება	ე-ზე დამთავრებული სახელები, რომლებიც იკვეცება	ე-ზე დამთავრებული სახელები, რომლებიც არ იკვეცება
ძმა	ჩიტუნია	ხე	ჟელე
ცა	დედოფალა	კიბე	ატელიე
ჭალა	ცანცარა	ტყე	კუპე
ჩალა	უქნარა	რძე	კაშნე
კაბა		ვაკე	კანაპე
დედამიწა	მძინარა	ღელე	
ფაფა			

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი ხომ ის არის, რომ არასოდეს გავაკეთოთ მასწავლებლებმა ის, რის გაკეთებასაც მოსწავლე თავად შეძლებს. შეძლებით კი მათ ბევრი რამ შეუძლიათ. მთავარია, მივცეთ ამის შესაძლებლობა.

ცხრილში მოქცეულ მაგალითებზე დაკვირვებით მოსწავლეებს თავად უნდა აღმოეჩინათ წესი და პირველი „აღმოჩენაც“ ადვილად გაკეთდა:

- მასწავლებელო, ე-ზე დამთავრებული უკვეცელი სახელებიდან ყველა უცხოურია.
- მოდით, ახლა ეს წესად ჩამოვაყალიბოთ.

რამდენიმე ვერსიის შემდეგ ფურცელზე ახალი „აღმოჩენა“ გაჩნდა: უცხო ენიდან შემოსული ე-ზე დამთავრებული სახელები არ იკვეცება.

შედარებით დიდხანს იფიქრეს (მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი მახასიათებელია: მასწავლებელი უსვამს მოსწავლეებს ღია შეკითხვებს და აძლევს დროს პასუხის გასაცემად), მაგრამ მაინც მიაგნეს:

- მასწავლებელო, ყველა ეს სიტყვა მოფერებით ან დაცინვით არის ნათქვამი (სტილი დაცულია).

ახალი ტერმინის შემოტანის დროც დადგა: კნინობით-ალერსობითი სახელები. ამის შემდეგ წესის ჩამოყალიბებაც არ გასჭირვებიათ წინა წესის ანალოგიით. კიდევ უფრო საინტერესო პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ: არის თუ არა კნინობით-ალერსობითი სახელები ტოროლა, ენძელა, ბიცოლა და ა.შ.? ესენიც ხომ უკვეცელია. გამოითქვა ბევრი საინტერესო ჰიპოთეზა, მაგალითად, „ალბათ, ტოროლა იგივეა, რაც ტრიალა, ის ხომ ტრიალ-ტრიალით მიდის ცაში“, „ენძელა, მასწავლებელო, ძილთან ხომ არ არის დაკავშირებული, როგორც მძინარა?“ და ყველაზე უცნაური ახსნაც: „ბიცოლა ალბათ ნაკლებად უყვარდა ამ სიტყვის მომგონს და დააკნინა“...

ცხადია, ამის შემდეგ „მყისიერი“ სწავლებით[1] მასწავლებელი უნდა ჩაერიოს და მეცნიერულად მართებული ვერსია შესთავაზოს, მაგრამ შესთავაზოს მარტივად, გასაგებად.

მავანი იტყვის, ამდენი დროის დაკარგვას განა არ სჯობდა, პირდაპირ მიგვეწოდებინა წესები და შემდეგ სავარჯიშოებით განგვემტკიცებინაო. მაგრამ შეიქმნებოდა ასეთ შემთხვევაში გარემო, რომელშიც დაკმაყოფილდებოდა მოსწავლის სურვილი, გამოეცადა საკუთარი ძალები, ეგრძნო რთული სამუშაოთი გამოწვეული კმაყოფილება? მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი ხომ ის არის, რომ არასოდეს გავაკეთოთ მასწავლებლებმა ის, რის გაკეთებასაც მოსწავლე თავად შეძლებს. შეძლებით კი მათ ბევრი რამ შეუძლიათ. მთავარია, მივცეთ ამის შესაძლებლობა.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ბრუნერი გამოყოფს აზროვნების ორ სახეს: ინტუიციურს და ანალიზურს. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ორივე ფორმა იყო გამოყენებული. ისინი ავსებენ ერთმანეთს. მხოლოდ ანალიზურ აზროვნებაზე ორიენტაცია და ინტუიციურ აზროვნებაზე უარის თქმა, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი სწავლებისათვისაა დამახასიათებელი, ვერ ჩამოაყალიბებს გამბედავ, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულ და წარმატებაზე ორიენტირებულ თაობას (ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევები კი სწორედ ასეთ ადამიანებს ითხოვს).

[1] „მყისიერი“ სწავლება – ეს არის სწავლების ისეთი სტრატეგია, რომლის დროსაც მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას (ლექციის, ახსნა-განმარტებისა თუ საკითხავი მასალის სახით) მათ მიერ დამოუკიდებლად განხილულ საკითხზე იმისათვის, რომ შეამოწმონ საკუთარი ვარაუდები, მსჯელობები, ის, რაც იკვლიეს. მასწავლებელი ამით „იცავს“ მოსწავლეებს მცდარი დასკვნებისგან. „მყისიერი“ სწავლება შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად, მცირე ჯგუფებში ან მთელ კლასთან იქიდან გამომდინარე, რა საჭიროება დგას საკითხის შესწავლისას.

მარიამ მოდუაძე

უკუკავშირი წინსვლისთვის

მოსწავლეებს მარკვეული მოთხოვნები აქვთ მასწავლებლების მიმართ, ამიტომ მნიშვნელოვანია, ასეთ ბავშვებს დავანახოთ სასწავლო მიზნები და ვასწავლოთ მათი მიღწევის გზები. თუ ასე არ მოვიქცევით, ჩავაქროობთ მათ შთაგონებას და შინაგან მოტივაციას.

მასწავლებლის მართებული უკუკავშირი თითოეული მოსწავლის წინსვლის საწინდარია. მთავარია, ვიცოდეთ, როგორ ვუწინამძღვროთ აღსაზრდელთა წარმატებას. ხშირად გვავიწყდება, რომ მოწაფეთა შეცდომების ხაზგასმა უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, თუ რა ისწავლეს მათ. აღიარებულია, რომ მოსწავლის სწავლისთვის, მისი წინსვლისთვის გადამწყვეტია სწორი, მართებული უკუკავშირი.

არსებობენ პედაგოგები, რომელთა მოსწავლეები დამოუკიდებლად ახერხებენ სწავლას. ეს კი, ჩვენი დაკვირვებით და აღიარებული თეორიების თანახმად [ენგი და როუზი, 2012], სწორედ უკუკავშირის დამსახურებაა. მოსწავლეებს სჭირდებათ დრო და ხელშეწყობა სირთულეების დასაძლევად. მასწავლებლის ყურადღება, დახმარება და გამოცდილება მოსწავლეთათვის სარგებლობის მომტანი უნდა გახდეს, რადგან დღესდღეობით ჩვენი მთავარი გამოწვევა მოსწავლის ცოდნის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის მათი დახმარებისთვისვე გამოყენებაა.

ცხადია, მოსწავლეებს გარკვეული მოთხოვნები აქვთ მასწავლებლების მიმართ, ამიტომ მნიშვნელოვანია, ასეთ ბავშვებს დავანახოთ სასწავლო მიზნები და ვასწავლოთ მათი მიღწევის გზები. თუ ასე არ მოვიქცევით, ჩავაქრობთ მათ შთაგონებას და შინაგან მოტივაციას [გოდუაძე, 2016]. განათლების ექსპერტები ამაოდ როდი გვირჩევენ, კომენტარები მხოლოდ მოსწავლის აზრებზე დაყრდნობით გავაკეთოთ.

გულდასაწყვეტია, როდესაც ნიჭიერი თაობები (ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობა) სკოლაში დროის გასაყვანად დადიან ან იმიტომ, რომ შინ სკოლის დირექცია ურეკავს და ბევრი გაცდენის გამო სკოლაში მისვლას ავალდებულებს. როდის ვუშვებთ შეცდომას? დაწყებით კლასებში წარჩინებული მოსწავლეები ხშირად ზედა საფეხურზე გადასვლისას კარგავენ მოტივაციას. სასწავლო პროცესში მათი მონაწილეობა აღარ არის აქტიური. მასწავლებელი, რომელიც ასახსნელი მასალის მხოლოდ და მხოლოდ გადმოცემაზეა ორიენტირებული, მათთან ერთად ვეღარ განიხილავს საგნის თემას და ამოცანებს, ბავშვებს არ რჩებათ დრო სხვადასხვა სტრატეგიის გაცნობისა და ექსპერიმენტებისთვის. მოსაუბრე პარტნიორების როლი კნინდება და სულაც განილევა. ამას ემატება სოციალური აქტივობების დეფიციტიც, თანამშრომლობითი სამუშაო მეთოდების ინიციატივის კლება და, შესაბამისად, ისეთი სასწავლო აქტივობები, რომლებიც ინკლუზიურ კლასებში აზროვნების უმაღლეს უნარებს აამოქმედებს, მცირდება. ოდესღაც წარჩინებული, ნიჭიერი მოსწავლე თამაშს გარეთ რჩება. ასე გრძელდება მანამდე, სანამ მშობელი ბავშვს საგნის პედაგოგთან არ მოამზადებს და თუ ეს არ მოხდა, მოსწავლე განწირულია. ამგვარი დამოკიდებულება კონკრეტული პედაგოგის, დირექციის კრახია, თანამედროვე სკოლას კი ამის აღიარება არ უნდა უჭირდეს.

მერვეკლასელი ბიჭი, რომელიც შინ გულით სწავლობს ორგვერდიან ლექსს, გააზრებული აქვს



რადგან უკუკავშირი მართავს სწავლა/სწავლების რთულსა და ხანგრძლივ პროცესს, იგი იმ პრეპარატივითაა, რომელსაც ერთდროულად შეუძლია წამლისა და საწამლავის ფუნქციის შესრულება. მთავარია, ისეთი მასწავლებლის ხელში აღმოჩნდეს, რომელიც მოსწავლის წინსვლას უწინამძღვრებს და არა პირიქით — მის მოკვდინებას შეუწყობს ხელს.

თითოეული სიტყვა, ფრაზა და გრძნობს ტექსტურ ქსოვილს, შინ გულდაწყვეტილი ბრუნდება იმის გამო, რომ გაკვეთილზე მოყოლისას ერთხელ შეფერხდა და ამის გამო თხრობა შეაწყვეტინეს. თუკი არ არსებობს უკუკავშირი, თუკი სახელმძღვანელოში მოცემული ფაქტების დაზეპირებით და ჩვენეული მეთოდების კოპირებით შემოვიფარგლებით, მოსწავლეები ვერ შეძლებენ ცოდნის ტრანსფერს, რაც იმთავითვე გააზრებული უკუკავშირის ნაწილად მოიაზრება.

გაკვეთილსა თუ ლექციაზე ბავშვების აქტიურობა ინფორმაციის წყაროდ ფასდება. მიგვითითებენ, რომ ამაზე დაყრდნობით მოვახდინოთ სწავლების ადაპტაცია და დავაკმაყოფილოთ სტუდენტთა/მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროების სპექტრი [როუზი და ენგი, 2012]. მოსწავლეთა გადაწყვეტილება სასწავლო მიზნებისა და ნასწავლის გადმოცემის შესახებ, მასწავლებლმა მათი დაკვირვების, მიზნებისა და სტრატეგიების კრიტიკულად განხილვის განსავითარებლად უნდა გამოიყენოს, რაც კლასში ინკლუზიური გარემოს შექმნის წინაპირობად მოიაზრება.

მოსწავლისაკენ მიმართული მასტიმულირებელი უკუკავშირი განათლების, წინსვლის წინაპირობაა და იგი სასწავლო შედეგზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს. თუკი პედაგოგი ავლენს სასწავლო სტანდარტით გათვალისწინებული კომპეტენციის ღრმა ცოდნას, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ სწავლობენ მისი მოსწავლეები/სტუდენტები, იცის, როგორ დაამყაროს თბილი და პოზიტიური ურთიერთობა ყველა მოსწავლესთან, იმავდროულად, კარგად ერკვევა, ცოდნის რა ეტაპზე არიან ისინი და არასოდეს დაუშვებს ჩამორჩნენ, ამოვარდნენ სასწავლო პროცესიდან, ასეთი პედაგოგი მისაბაძია, რადგან იცის, როგორ უხელმძღვანელოს თითოეული მოსწავლის წინსვლას. როგორ დავემსგავსოთ მას?

არსებობს რამდენიმე რჩევა, რომლებიც ეფექტური უკუკავშირის საშუალებას მოგვცემს და მოსწავლეთა/სტუდენტთა წინსვლაშიც დაგვეხმარება.

- ეფექტური უკუკავშირი დაბალანსებული, სპეციფიკური და კონკრეტულია და არა ზოგადი. იგი კარგად შესრულებული ქცევის აღწერას მოიცავს, იმავდროულად, გვაძლევს მიღწეული შედეგების გაუმჯობესების საშუალებას. ყურადღებას ვამახვილებთ ადამიანის სიძლიერის მაჩვენებელ ასპექტებზე. ასპექტები არ შეიცავს მხოლოდ ქებას, ბუნებრივია და რეალობის ამსახველი. თუკი მოწაფეს/სტუდენტს ვთხოვთ, თავად აღწეროს სამი ასპექტი, რა გამოუვიდა კარგად, ხოლო შემდეგ მიუთითოს 2 სფერო, რომელშიც საჭიროა გაუმჯობესება, ის უმეტესად სწორად ასახავს რეალობას და ობიექტურად შეაფასებს თავის საქმიანობას.
- ეფექტური უკუკავშირი ობიექტურია, ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტებსა და ქცევებს, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს. კონკრეტული ქცევის შეცვლა, უფრო ადვილია ვიდრე ზოგა-



გამოყენებული ლიტერატურა და ელ-რესურსები:

1. გოდუაძე, მ., მოტივაცია და შთაგონება, გაკვეთილი, როგორც ჰიპნოტური სტიმულაცია, ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“, 2016.
2. ენგი კ. რ., და როუზი რ., შეფასება სწავლისთვის ინკლუზიურ სკოლებში, 2012.
3. Cohen, G. L., & Steele, C. M. (2002). A barrier of mistrust: How negative stereotypes affect cross-race mentoring. In J. Aronson (Ed.), Improving academic achievement: Impact of psychological factors on education (pp. 303-328). San Diego: Academic Press.
4. Dweck, C. (2002). Messages that motivate: How praise molds students' beliefs, motivation, and performance (in surprising ways). In Aronson, J. (Ed.), Improving academic achievement: Impact of psychological factors on education (pp. 37-60). San Diego, CA: Academic Press.
5. Jackson, P.& McKergow, M. (2002). The Solutions Focus, the SIMPLE way to positive change. Nicolas Brealy Publishing
6. http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/58822-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/93/user:%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%20%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:show:channel

დი დამოკიდებულებების, ამიტომ უკუკავშირი არ უნდა ახდენდეს ფოკუსირებას თვალსაზრისებზე, მოსაზრებებსა და დამოკიდებულებებზე მოვლენათა თუ ადამიანთა მიმართ.

- ეფექტური უკუკავშირი უნდა ფოკუსირდეს იმ საგანზე ან უნარზე, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაშია წარმოდგენილი. მაგალითად, თუ უკუკავშირს ტრენინგის სესიაზე ვაძლევთ და იგი ეხება ასერტიულობას, შეუსაბამოა კომენტარები მოსმენის უნარის შესახებ.
- უკუკავშირი გასაგები უნდა იყოს და არ უნდა ჩამოყალიბდეს სამეცნიერო ტერმინების ან ჟარგონის გამოყენებით. რათა დავრწმუნდეთ, რამდენად სწორად იქნა გაგებული ჩვენი ნათქვამი, ვთხოვოთ უკუკავშირის სამიზნეს, მოახდინოს ჩვენი მიმართვის პერიფრაზირება ან მაგალითი მოიყვანოს იმისა, თუ როგორ მიუსადაგებს ჩვენს უკუკავშირს სიტუაციას.
- უკუკავშირი თანამონაწილეობის შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს. ამისათვის შეიძლება შევთავაზოთ, მოგვაწოდონ იდეები, თუ როგორ განხორციელდეს ცვლილება ჩვენი ნათქვამის შესაბამისად.
- უკუკავშირის ეფექტურობისათვის კარგია, თუ ის შეიცავს შედარებას წინა საქმიანობასთან.
- უკუკავშირი უნდა გულისხმობდეს კონკრეტულად შესასრულებელ ქმედებას, რომელიც ჩვენს უნარებს და ძალას შეესაბამება. ფრაზას „უფრო თავდაჯერებულად მოიქეცით!“ – ნამდვილად სჯობს კონკრეტული მოქმედების შეთავაზება: „ უფრო ასერტიულად (თავდაჯერებულად) რომ მოიქცეთ, დაასრულეთ საუბარი საკვანძო საკითხების შეჯამებით“.
- უკუკავშირი უნდა იყოს აღწერითი და არა შეფასებითი. შეფასებითი პოზიცია განაპირობებს თავდაცვით რეაქციას და ნაკლებ თანამშრომლობას, ამასთან, ფოკუსირებული უნდა იყოს ჩვენს განცდაზე და არა პიროვნებაზე.
- უკუკავშირი უნდა იყოს იერარქიულად დალაგებული. ადამიანს შეუძლია, კრიტიკის მხოლოდ გარკვეული ოდენობა მიიღოს. ერთ სესიაზე მხოლოდ 3-4 ასეთი დებულებაა ეფექტური. უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს თითო ჯერზე ერთი ან ორი ასეთი დებულება შევთავაზოთ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები – პირველ ნაწილში. სასურველია გავითვალისწინოთ და გულდასმით ვადევნოთ თვალყური, არ იქნეს გადაჭარბებული თითოეული პიროვნებისთვის კრიტიკის მიღების ზღურბლი.

უარყოფილია ძალიან კრიტიკული უკუკავშირიც. სასურველია მოვერიდოთ „დადებითი შეფასება/კრიტიკა/დადებითი შეფასება“ – სენდვიჩის გამოყენებას, როდესაც დამკვირვებელი ეუბნება ადამიანს რაიმე კარგს, შემდეგ – არასასიამოვნოს და ბოლოს ამთავრებს ისევ დადებითით. ასეთ ვითარებაში როგორც ქება, ისე კრიტიკა უარყოფილია, ამ ადამიანს უჩნდება მანიპულირების განცდა, ფიქრობს, რომ მხოლოდ კრიტიკის შესარბილებლად აქებენ. ხშირად დადებითი შენიშვნები ძალიან ზოგადი და ბუნდოვანია, ჟღერს არაგულწრფელად და მცირე ინფორმაციას აწვდის ადამიანს. ამიტომ პოზიტიური კომენტარები კონკრეტული და ბუნებრივი უნდა იყოს.

ვინაიდან უკუკავშირი მართავს სწავლა/სწავლების რთულსა და ხანგრძლივ პროცესს, იგი იმ პრეპარატივითაა, რომელსაც ერთდროულად შეუძლია წამლისა და საწამლავის ფუნქციის შესრულება. მთავარია, ისეთი მასწავლებლის ხელში აღმოჩნდეს, რომელიც მოსწავლის წინსვლას უწინამძღვრებს და არა პირიქით – მის მოკვდინებას შეუწყობს ხელს.